საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და
გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი

ზვიად მიმინოშვილი

# ისტორიის სულიერება

## ისტორიის საზრისის სწავლება სკოლაში

(მასწავლებელთა დასახმარებლად)

თბილისი

1998

ზვიად
მიმინოშვილი

# ისტორიის სულიერება

საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და
გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი

ზვიად მიმინოშვილი

# ისტორიის სულიერება

## ისტორიის საზრისის სწავლება სკოლაში
## (მასწავლებელთა დასახმარებლად)

თბილისი
1998

№ 22 : 93/99
მ 683

წიგნში ასაკობრივი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის გათვალისწინებით წარმოდგენილია ისტორიის საზრისის სწავლების ეტაპები. გამოკვეთილია სულიერ ძალთა მოქმედებისა და გავლენის მნიშვნელობა ისტორიის სარბიელზე, „ქართლის ცხოვრების“ სიბრძნე. აგრეთვე, განხილულია ევროპელი ფილოსოფოსების მოსაზრებები ისტორიის რაობის შესახებ.

განკუთვნილია საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

რედაქტორები: რ ე ვ ა ზ ს ი რ ა ძ ე
გ ი ა მ უ რ ღ უ ლ ი ა

რეცენზენტები: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ვ ლ. გ ა გ უ ა
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

© გამომცემლობა „სკოლა“
© ზ. მიმინოშვილი

*ვუძღვნი*
*მერი კორძაიას*
*ნათელ ხსოვნას*

# შესავალი

დროის წარმავლობაში მარადიულობის განჭვრეტის საიდუმლოებას ისტორია ეწოდება. ბერძნული სიტყვა ιστορημα(ιστορια -ისტორია; ისტორემა) მოთხრობას, თხრობას აღნიშნავს. ის, უსათუოდ, სიტყვასთან არის დაკავშირებული. სიტყვიერების სიცოცხლე და სულიერება კი მწერლობაშია გაცხადებული.

ისტორია არის მოძღვრება ადამიანის ცხოვრების შესახებ. თვით ადამიანში ჰარმონიულადაა შეზავებული მიწიერი და ზეციური, რეალური და იდეალური, მატერიალური და სულიერი, მხეცური და კაცური, ეშმაკისეული და ანგელოსური სახეები. ადამიანიც და მისი ცხოვრებაც ამ ძალების ზეგავლენას განიცდის. ადამიანი, ამირანის მსგავსად, მიჯაჭვულია ემპირიულ რეალობას. ამ უკანასკნელის ბატონობა ადამიანზე, მიზეზობრიობის კანონიდან მომდინარეობს. სული, მიზეზობრიობის კანონთა და ემპირიული სამყაროს გადამლახავია, ანუ ის მიჯაჭვული ადამიანის გამათავისუფლებელია. წმ. იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „სცნათ ჭეშმარიტი და **ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ**“ (იოანე., 8,32). მაცხოვრის თქმით, ჭეშმარიტების შეცნობა მაშინ მოხდება, „უკეთუ თქვენ **დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა**“. (იოანე., 8,31). „სიტყვა“ (ლოგოსი) იყო ღმერთი: „პირველთაგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და **ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი**“ (იოანე., 1,1). ღმერთი სულია: „**სულ არს ღმერთი**“ (იოანე, 4,24). სიტყვა არის ქმედება, ცხოვრებისა და აზროვნების წარმართვა. ამრიგად, „სიტყვა“ (ლოგოსი) – ღმერთი -სული ერთია. ის გამათავისუფლებელია და ჭეშმარიტებაა.

უმთავრესი, რაც ადამიანს თავის სახეს უმკვიდრებს, ესაა სული. ადამიანის გონიერი და მოაზროვნე სული ღმერთისაგანაა შთაბერილი. ამით ემსგავსება იგი უზენაესს. ღმერთმა თავის ხატისამებრ შექმნა ადამი. ამიტომ ადამიანის ბუნება გონიერი და თავისუფალია. ადამიანი სიკეთის ქმედებით ემსგავსება ღმერთს.

ადამიანი ორი ბუნების (სულისა და სხეულის) მთლიანობაა.

**„ადამიანის სული არის ცხოველი არსი, მარტივი და უხორცო;** იმგვარი ბუნების მქონე, რომ ხორციელი თვალებით **უხილავია, უკვდავია, დაჯილდოვებულია გონიერებითა და ჭკუით,** ამასთან, არა აქვს განსაზღვრული სახე;

იგი მოქმედებს ორგანოებით აღჭურვილი სხეულის მეშვეობით **და ანიჭებს ამ სხეულს უნარს სიცოცხლისა, ზრდისა, გრძნობისა და ძალას შობისა.**

**გონება სულის კუთვნილებაა,** არა როგორც სხვა რამ, გარედან მიღებული, არამედ როგორც საკუთრივ მისი განუყოფელი ნაწილი. რაც თვალია სხეულისათვის, იგივეა გონება სულისათვის.

**სული თავისუფალი რამ არსებაა,** რომელსაც აქვს უნარი ნებისმიერად მოქმედებისა“.[1]

რადგან ადამიანის არსებაში სული უმთავრესია, შეუძლებელია მისი ცხოვრება სულიერების გარეშე განვიხილოთ. ისტორია მხოლოდ დროსა და სივრცეში განვითარებული პროცესი კი არ არის, ის უპირველეს ყოვლისა, სულიერ სამყაროში მიმდინარე მოვლენების გამოხმაურება და ანარეკლია. ხილულ სამყაროში ფაქტი ეთიკური ნორმების მიხედვით განისაზღვრება.

ისტორია თავისი ბუნებით ტელეოლოგიურია. ტელეოლოგია არის სწავლება მიზანმიმართულების, მიზნის მიღწევის შესახებ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ესაა მოძღვრება განხორციელების შესახებ. ქრისტიანული განმარტებით, ესაა „ხორცშესხმის“, „შობის“ სწავლება.

მიზანი ღირებულებადი რამბაა. მაგალითად: ცოტნე დადიანის მიერ მოყვასისათვის გამოხატული თავგანწირვა, როგორც მიზნის

---

[1] წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, წიგნი II, თავი XII; სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991, გვ. 288.

განხორციელება, უსათუოდ გარკვეული ღირებულებებით იყო ნასაზრდოები. სწავლებას ღირებულებების შესახებ აქსიოლოგია ეწოდება. ისტორიის მიზნის ღირებულება სულიერებაა. ისტორიის საფუძველი სულიერი ღირებულებაა. აქსიოლოგია ისტორიულ მოვლენებს განიხილავს, როგორც ღირებულებითს და მას ტელეოლოგიური შემეცნების სფეროში ათავსებს. აქსიოლოგია შეისწავლის ადამიანთა ცხოვრების ნორმებს ისტორიის სარბიელზე.

ისტორიის ღირებულების „ხილვა", მისი განჭვრეტა გარკვეულ განცდებთანაა დაკავშირებული. თუ ღირებულებას არ განვიცდით, ვერასოდეს მივალთ მის ჭეშმარიტ გაგებასთან, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ღირებულება მხოლოდ განცდა არაა. ღირებულებაა: ცოდნა, გამოცდილება, განწყობა, სიკეთე, მშვენიერება, ღირსება, სამართლიანობა, მორალი, სინდისი, თავისუფლება და სხვა.

ეთიკურად დაკავშირებული სულიერი და მატერიალური სამყაროები — რეალობაა. ამ სამყაროთა შორის ეთიკურად გაფორმებული კავშირი ისტორიულ სინამდვილეში წარმოჩნდება.

ყველა საზოგადოებას ღირებულებების საკუთარი იერარქია აქვს. მათ გამოჩენილი ადამიანები, რეალური ისტორიული პირები ნერგავენ ცოცხალ ეროვნულ ისტორიაში. ქართველი ხალხის ეროვნულ ხასიათზე წარმოდგენას გვიქმნიან კონკრეტული ისტორიული პირები, რომლებიც კერძო პირის საზღვრებს გასცდნენ და ღირებულებით ფენომენებად იქცნენ. გამოჩენილი მამულიშვილები თავიანთი ხალხის სულის გამწვრთნელნი და დამხვეწნი არიან. უფრო მეტიც, ისინი სულიერი ტაძრის მშენებლები არიან. ტაძრისა, რომელიც ღირებულებათა ეროვნულ-ფენომენური სახეებისაგან აიგება. ისევე როგორც, სული, ეს „ტაძარიც" უხილავია და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა სულიერი ხილვა იწყება. აქედან გამომდინარე უხილავი „ტაძარი" მხოლოდ მაშინ აღჩნდება ჩვენი სულიერი სამყაროს წინ, როცა სულიერებას ვძლევით, საზრისში ვვარდებით.

სკოლის და ისტორიის საგნის ფუნქციაა მოსწავლეებში აღძრას აზროვნებითი პროცესი. ისტორიის მასწავლებელი, რომელიც იმავდროულად, სულიერების მასწავლებლადაც გვევლინება, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას. მას მოსწავლისათვის სულიერი თვალის ახელაც შეუძლია და დავსებაც.

ვფიქრობთ, ისტორიის მასწავლებლებმა უნდა შეძლონ: წარსულის,აწყმოსა და მომავლის გამამთლიანებლის მისიის შესრულება, დროსა და სივრცეში დამსხვრეული კულტურების ერთიან მოზაიკად წარმოჩენა, ამ მთლიანობაში სულიერი ძალების შემოქმედებითი და მაფორმირებელი იმპულსების აღქმა.

ისე როგორც ყველა და ყველაფერი, საქართველოში ისტორიის სწავლებაც განახლების გზასაყარზე დგას. ისტორიულობაში სიცოცხლის სულის აღქმის დიდი გამოცდილება აქვს ჩვენს ქვეყანას. მთელი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ამის დამადასტურებელია. ჩვენის აზრით, ისტორიის მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა ზიარება ისტორიის სულიერებასთან.

თანამედროვე ქართულ ისტორიოსოფიაშიც შეინიშნება გარკვეული ნაკადი ისტორიის საზრისის წარმოსაჩენად. მის ხელშეწყობად უნდა ჩაითვალოს, დასავლეთ-ევროპელი მეცნიერების (არტურ და როზმარი პიკოკების, რიჩარდ ჰარისის, ოლდე სენტ პოლის, ენი გრაიმენის, ლებერის, ალტე ჰაგეს, მაიერის, შილერის, გოეთეს, ტაიჰმანის, კაუფმანის, ჰუმელის და სხვათა) მიერ, ჩვენს ქვეყანაში წაკითხული ლექციებისა და მოხსენებების ციკლები. მათი გათვალისწინებითაც, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ისტორიის ზოგიერთი აქტუალური საკითხის სწავლება სკოლაში.

# 1. სწავლება და აღზრდა

დღევანდელი სკოლის უმაღლესი იდეალი აღსაზრდელებისათვის შინაგანი, ინდივიდუალური თავისუფლების პირობების შექმნაა. მოზარდის ფიზიკურ განვითარებას არაფერი არ უნდა აბრკოლებდეს. ცნობილი დებულებაა, რომ სასკოლო ასაკის მოზარდების არასწორი აღზრდა მრავალგვარ ავადმყოფობებს წარმოშობს. სულაც არაა აუცილებელი არასწორი აღზრდის შედეგებმა მოზარდობაშივე იჩინოს თავი, მაგრამ უდავოა, რომ შემდგომი ფიზიკური და ასაკობრივი განვითარების გზაზე ისინი დაბრკოლების ლოდებად იქცევიან. ადამიანთა ფსიქოლოგიური კომპლექსების 80% მოზარდობის ასაკშია ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა უმეტესობა იმ ფსიქიკურად არასრულფასოვან პიროვნებათა მიერაა ჩადენილი, რომელთაც ბავშვობის ასაკში არასწორი აღმზრდელობითი რეჟიმის წნეხი, ადამიანური ურთიერთობები და სქესობრივი უკუღმართობანი გადაუტანიათ. XIX საუკუნის ცარისტულმა კოლონიურმა საგანმანათლებლო სისტემამ ისე დაამახინჯა ათასობით ადამიანის სულიერი სამყარო, რომ XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურ კატასტროფად დაატყდა თავს რუსულ მეტროპოლიასაც და გაუბედურებულ კოლონიებსაც. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლშევიკური რევოლუციის შემოქმედნი უმეტესად იმ გიმნაზიის აღზრდილები იყვნენ, სადაც „საღვთო სჯული" სავალდებულო სასწავლო საგნად ითვლებოდა. სწავლება მხოლოდ ცოდნისათვის და ცოდნა მხოლოდ სახელმწიფო საჭიროებისათვის – ეს პრინციპი იყო გაბატონებული რუსეთის იმპერიაში. ცოდნა, რომელიც არ განამტკიცებდა, განაძლიერებდა და ახალ სასიცოცხლო ძალებს არ შეჰმატებდა იმპერიულ მიზნებსა და იდეოლოგიას გამოუსადეგარი იყო. ამ თვალსაზრისით იმპერიული საგანმანათლებლო დაკვეთა უდიდეს ყურადღებას უთმობდა საკითხს: რა ვასწავლოთ. დღეს არავის შეეპარება ეჭვი, რომ „საღვთო სჯულის" სწავლება, თავისთავად მისაღები და სულთა მარგებელი საგანი იქნებოდა და იქნება. პრობლემა ის იყო თუ როგორ ისწავლებოდა ეს საგანი. საქართველოში ამ საგნის მასწავლებლად, ძირითადად, ქართველთა, როგორც ისტორიულად, ისე კულტურულად და ეთნო-

ფსიქოლოგიურად სრულიად არმცოდნე, რელიგიური ჩინოვნიკები იყვნენ გამწესებულნი. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ქართული ენა იდევნებოდა არა მარტო სასწავლებლიდან, თვით ეკლესიიდანაც კი. საქართველოს ისტორია (აღარაფერს ვამბობ ქართული ეკლესიის ისტორიაზე) საერთოდ არ ფიგურირებდა სასწავლო დისციპლინათა რიგში. ქართული სასულიერო მწერლობა დაცინვისა და ქილიკის საგნადღა რჩებოდა პოლიტიკური და ისტორიული სიტუაციებით განებივრებული პარტიებისა და დაჯგუფებებისაგან. უპატრონოდ მიტოვებული ქართული ხელნაწერები დასაღუპად იყო განწირული. ასეთმა მუხანათურმა იმპერიულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოაყალიბა. შეუძლებელია, რომ ეროვნული ნიჰილიზმი თუნდაც იოტისოდენად რგებდეს საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის სიმტკიცეს. პირიქით, მოსალოდნელია, რომ ეროვნული ნიჰილიზმით გამსჭვალულმა ადამიანმა ზოგადსაკაცობრიო საქმეს დიდი ზიანი მიაყენოს.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ისტორიული გამოცდილებით ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად გვაქვს ჰუმანიტარული დისციპლინების მახინჯი მეთოდით სწავლების შედეგები.

ყველა სასკოლო საგანმანათლებლო საგანს, იმავდროულად, ეკისრება აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. ფართო და ყოვლისმომცველი მეცნიერული დისციპლინის – ისტორიის სწავლება მოზარდების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს.

## 2. ისტორიის სწავლების საკითხები ელემენტარულ სკოლაში და ბავშვთა ფსიქიკურ-ასაკობრივი მდგომარეობა

ისტორიის საგნის შესწავლა V–VI კლასებიდან იწყება. სწავლების პირველ საფეხურზე გათვალისწინებულია ისტორიის ელემენტების და ზოგადი ნიუანსების გაცნობა. უკვე III კლასის პროგრამაში არის მოკლე, ისტორიული თემატიკის მოთხრობები. ასეთებია: წმინდა ნინო, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ნადირ-შაჰის ხმალი, დავით

ალმაშენებელი, თამარ მეფე, ფიროსმანი, კახეთის მხსნელი გმირები და სხვა. რვა წლის ბავშვები უფრო მეტად ემორჩილებიან სასწავლო - აღმზრდელობით გავლენას. ამ დროს სასურველი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს ბავშვის ჩვევების ჩამოყალიბების პროცესი. გამომუშავდება ბავშვის ხასიათისა და ტემპერამენტის ძირითადი თვისებები, და, რაც მთავარია, ამ ასაკიდან იწყება მეხსიერების ინტენსიფიკაცია. მეხსიერება კი ისტორიზმის დამახასიათებელი თვისებაა. მაშასადამე, ბავშვი ამ ასაკიდან ისტორიულ აზროვნებას იწყებს. მას განსაკუთრებულად უძლიერდება ინტელექტუალური ფუნქციები. ამ ასაკობრივ საფეხურზე ცოდნის წყურვილი, რომელიც საფუძვლად ედება ბავშვის სწავლის მოთხოვნილებას, ფიზიკური ენერგიის დაძაბვით, კიდევ უფრო ძლიერდება. ფიზიკური ძალების აქტივაცია „მოზარდის ცნობისმოყვარეობისა და მისი ინტელექტუალური ფუნქციების ინტენსიური ამოქმედების ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენს"[1]. „ალალუმპას " ექსპერიმენტმა* ცხადჰყო, რომ უცნაური ფორმის ფიგურის შესახებ ყველაზე მეტი შეკითხვა ცხრაწლიანებს გაუჩნდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდწლიანთაგან უცნობის, ახსნის დროს განცდილი შიში რვა – და, განსაკუთრებით, ცხრაწლიანებში უფრო და უფრო ითრგუნება ცნობისმოყვარეობით. „შვიდწლიანთა გაკვირვების ნიადაგზე აღმოცენებული ცნობისმოყვარეობიდან ცხრა-ათწლიანთა ცნობისმოყვარეობის ინტერესამდე ცხადი განვითარების ხაზი დასტურდება."[2] დ. უზნაძის დასკვნით – ცნობისმოყვარეობა შვიდი წლის ასაკში აღწევს განვითარების უმაღლეს დონეს, შემდეგ რთულდება და 8-9-10 წლის ასაკში ნამდვილი ცოდნისმოყვარეობის სახეს ღებულობს."[3] რვა წლის ასაკიდან იწყება აზროვნების განვითარება, ამიტომ, მიზანშეწონილია, ამ ასაკიდან მათზე სახეებით, მაგალითებით, ფანტაზიის შეგნებული წარმართვით ზემოქმედება.[4] რვა წლის ბავშვი დამჯერია, მას ამორჩეული ჰყავს თავისი გმირი, თავისივე წარმოსახვის ოცნების გზის მოგზაურია. ამ დროს, სასურველია, გავაცნოთ დიდი ისტო-

* სხვადასხვა მასალიდან ერთი უცნაური ფორმის ფიგურა დაამზადეს. მიაწოდეს ბავშვებს და უთხრეს: ესაა ალალუმპა. ექსპერიმენტი აფიქსირებდა ბავშვების შეკითხვებს და საერთოდ აზრს ამ ფიგურის შესახებ.

რიული პირების სახეთა მხატვრული დახასიათებები. მაგრამ ეს დახასიათებები მოკლებული უნდა იყოს აპოლოგეტურ, პათეტიკურ, აპრიორულად იდეოლოგიზირებულ პათოსს. უფრო მეტიც, სახეთა მხატვრული წარმოსახვანი მთლიანად განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენებისაგან. ამ თვალსაზრისით, IV კლასის პროგრამა სერიოზულ ცვლილებას ითვალისწინებს. IV კლასის, დღემდე მოქმედ, პროგრამაში ისტორიის ელემენტების სწავლება, გამოჩენილ პირთა მწირი მხატვრული დახასიათებით შემოიფარგლება. აქ, წარმოდგენილია წმინდა გუნდი ცამეტთა კაბადუკიელთა მამათა, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუქნადინის დამარცხება, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, მოთხრობილია შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟას, აკაკის ბიოგრაფიების შესახებ და სხვ. სწავლების ამ ეტაპზე ბავშვს მიბაძვის სურვილიც უძლიერდება, რაც უფრო იდეალური, ამაღლებული და მაღალზნეობრივია სახე, მით უფრო ძლიერია მიბაძვის სურვილიც. აქ, არ უნდა გამოგვრჩეს თვით გადაცემის მეთოდი, რადგან, რაოდენ მიმზიდველი სახეც არ უნდა იყოს, თუკი პათეტიკით, აპოლეგეტურად, წინასწარ გამოკვეთილი იდეოლოგიური ქარგით მივაწვდით, მოვახდენთ თვით ამ სახის გაუცხოებას და გაქვავებას. მოზარდის აზროვნებამ თვითონ უნდა იპოვოს და აღმოაჩინოს ის დაფარული „რისიც არ ითქმის სახელი“. იგი უნდა დაადგეს მიხვედრის გზას. მხატვრულმა სახემ უნდა მოახერხოს საღერღელი აუშალოს ფიქრის, აზროვნების და, უფრო მოგვიანებით, მსჯელობისა. აქ, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა გამოგვრჩეს ბავშვის ასაკობრივი შესაძლებლობანი და თავისებურებანი. გაკვეთილის არასწორი წარმართვა, ბავშვებზე ღრმა სულიერ და ფიზიკურ გავლენას ახდენს. ის შეიძლება გაფითრდეს ან გაწითლდეს. ბავშვის გაფითრება მისი მეხსიერების ძლიერი გადაღლის ნიშანია, გაწითლება კი- გონებრივი შესაძლებლობების არასრული ინტენსიფიკაციის. ყველაზე ცხადად ეს 12 წლის ბავშვებში შეინიშნება. თუ ამ ასაკის ბავშვებს ზომაზე მეტ ისტორიულ მასალას მივაწვდით, ისინი ფერს დაკარგავენ — გაფითრდებიან.

## 3. „საღვთო წერილი“ და ისტორიულობა

10–12 წლის ბავშვებს ისტორიული სახეები ხატის სახით უნდა წარმოვუდგინოთ. ისტორიული ხატის სახით წარმოდგენილი პირველნიმუშები კი, უპირველეს ყოვლისა, სახარებაშია. ტყუილად როდი ამბობდა გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი, რომ “Христианство – религия историков”[6] იგი გამოდიოდა იმ გაგებიდან, რომ ქრისტიანების წმინდა წიგნები ეს იყო ისტორიული წიგნები. ღმერთის მიწიერი ცხოვრების ეპიზოდები, ეკლესიის და წმინდანთა ისტორია მათი ლიტურგიის უმთავრეს საგანს წარმოადგენს. მარკ ბლოკი ამბობს: „ქრისტიანობა ისტორიულია სხვა, შეიძლება კიდევ უფრო ღრმა, აზრითაც: კაცობრიობის ბედი-ცოდვადაცემიდან განკითხვის დღემდე – ქრისტიანობის ცხოვრებაში წარმოიდგინება როგორც რაღაც ხანგრძლივი მოგზაურობა, რომელშიც ყოველი ადამიანის ბედი, ყოველი ინდივიდუალური „მიმოსვლა“ თავის მხრივ ანარეკლია; ყოველგვარი ქრისტიანული განსჯისა და ფიქრის ცენტრალური ღერძია ცოდვისა და გამოსყიდვის დიადი დრამა, რომელიც დროში ანუ ისტორიაში ვითარდება.“

სახარებისეული ისტორიული და ზეისტორიული ხატი სახეებისა: შობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა, ხარება, ხორციელად შობა იესო ქრისტესი, მირქმა, ნათლისღება –განცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; ფერიცვალება; ბზობა, დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; ამაღლება; სულიწმიდის გადმოსვლა; მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა; მსოფლიო ჯვართამაღლება. აქ წარმოდგენილია თორმეტი ძირითადი დღესასწაული, უდიდესი ქრისტიანული ზეიმი კი აღდგომაა. ისტორიულად, დროში მომხდარი, ზემოთ ჩამოთვლილი ხატები, წარმოადგენენ წარმავალი დროის დათრგუნვის, განქარვების და მარადიულობის დამკვიდრების გზას. ეს გზა, ჩვენთვის, განკაცებულმა იესო ქრისტემ განვლო. ყველა მის მიმდევარს, კი ღმერთთან მისასვლელი გზა გაუხსნა. ის, რაც მრავალი ასეული წლის წინ მოხდა დღესაც ხდება, სიმბოლურად კი არა, არამედ რეალურად, ნამდვილად. სწორედ ეს აქვს მხედველობაში მარკ ბლოკს როცა ქრისტიანულ ლიტურგიაზე საუბრობს.

წმ. იოანე ზედაზნელი

წმ. შიო მღვიმელი

## 4. მასწავლებელი და მოსწავლე

იგივე შეიძლება ითქვას ისტორიული თემატიკის გადმოცემისას. როდესაც ვცდილობთ 9-10 წლის მოზარდებს მოვუთხროთ იოანე ზედაზნელის შესახებ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ წმ. იოანეს იკონოგრაფიული სახე. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში" რამდენიმე ეპიზოდია ხატისებურად წარმოდგენილი. — ესაა 1. იოანე ზედაზნელი და შიო მღვიმელი. წმინდა შიო დაახლოებით 20 წლის ასაკში მივიდა განდეგილ იოანესთან და მას შემდეგ არ მოშორებია. მათი ურთიერთობა იდეალური მეგობრობის გამოხატულებაა. წმინდა შიო იოანესთან საღვთო შურმა და სახმილმა მიიყვანა. ღვთის დიდი სიყვარული (საზეო სიყვარული), სოფლად, ადამიანის დიდი სიყვარულით გამჟღავნდა. იოანე ზედაზნელი წმინდა შიოსათვის ღვთის შესამეცნებელი ცოცხალი წიგნი იყო. როდესაც მოსწავლე უყურებს მასწავლებელს, მან იცის რომ მასწავლებლისგან უნდა ისწავლოს ის, რაც მასწავლებელმა იცის. როგორ მოახერხებს

მოსწავლე სწავლას? I. მოსწავლეს უნდა უყვარდეს ის, რაც მასწავლებელს უყვარს. II. მოსწავლეს უნდა სწამდეს, რომ მასწავლებელს სწამს. III. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, ხვდებოდეს, იმედოვნებდეს, რომ მასწავლებელი გრძნობს და ხვდება. ამის შემდეგ განიმსჭვალება მოსწავლე სიყვარულის, იმედის, რწმენის და მასწავლებლის მიმართ მოკრძალების და მოწიწების გრძნობით. შემდეგ, მოსწავლე აკვირდება მასწავლებელს და სწავლობს მისი სიყვარულის, იმედის, რწმენის ობიექტს. მასწავლებელი კი მოსწავლის მიმართ შემდეგნაირადაა განწყობილი. მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეში საკუთარი თავი განჭვრიტოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მასწავლებელი ცდილობს საკუთარი „მე“ დაინახოს შენში. ეს „მე“ ერთსა და იმავე დროს, ერთადაც და ცალ-ცალკეც, იქნება **შენიც** და მასწავლებლისაც. ქართულ სიტყვაში „მაშენებელი“ (მე-შენ→ მე-შენ-ებელი→ მეშენებელი→ მაშენებელი), სწორედ მასწავლებლის არსი და მნიშვნელობა დევს.[8] ამ კონტექსტში მოხმობილი სიტყვა – „მაშენებელი“ ძალაუნებურად იწვევს ტაძრის მშენებლის ასოციაციას. „ტაძრის მშენებელთა“ რაინდულ -მისტიკური ორდენი ცნობილია შუა საუკუნეების ჯვაროსანთა დროიდან. მათ „ტამპლიერებსაც“ ეძახდნენ. საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო ლიტერატურაში „ტამპლიერები“ სოლომონის ტაძრის აღდგენისათვის მებრძოლ რაინდებად არიან წარმოდგენილნი. და ეს, ასეცაა. ოღონდ დავაზუსტებთ, რომ ხილული ტაძარი კი არ იგულისხმება, არამედ სოლომონის „სიბრძნის ტაძარი“, სოფიის ტაძარი („სიბრძნე სოლომონისა“), უხილავი, სულიერი ტაძარი, რასაც აგებდნენ კიდეც ზემოხსენებული რაინდული ორდენის წევრები, მსგავსად იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელისა. ეს ტაძარი, იმავდროულად, იყო ზეციური იერუსალიმის ტაძარიც. მაშასადამე, მათი მშენებლობა ზეცისკენ, აღმა მიმართულებით მიმდინარეობდა. ამდენად, ისინი თამამად შეიძლება იწოდებოდნენ აღმაშენებლად.

ქართულ ისტორიულ ონომისტიკაში, „აღმაშენებელი“ – დავით IV-ის ზედწოდებადაა დამტკიცებული. ქართული ქრისტიანული

კულტურის პირველი აღმაშენებლები კი იოანე ზედაზნელი და შიო მღვიმელი იყვნენ.

მასწავლებელმა იცის, რომ არსებობს გზა-რომელიც ღმერთთან მიდის. ეს გზაა იესო ქრისტე, და თვით ეს გზაა ღმერთი. მასწავლებელი ხვდება თუ როგორ უნდა იაროს ამ გზაზე და სწამს კიდევაც, რომ მიდის ამ გზაზე. იგი იმედოვნებს, რომ ღმერთთან ჰგიებს. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ გრძნობა, მიხვედრა ესაა გულის გონება და სიყვარულადაც იწოდება.*

კიდევ ერთი პარალელი: სიყვარული შეიძლება შევადაროთ წარსულს, რწმენა-აწმყოს, ხოლო იმედი მომავალს. შემთხვევითი არაა, რომ წარსულის განმაიდეალებელ რომანტიკულ ლიტერატურულ ნაკადში ცენტრალური ადგილი სიყვარულს ეკავა. ისიც ცნობილია, რომ ღირებულებათა მსხვრევის ეპოქაში ის, რაც კაცობრიობას სრული კატასტროფისაგან იხსნის — იმედია.

კაცობრიობისა და მთელი სამყაროს უდიდესი აღმშენებელი თვით ღმერთია — იესო ქრისტე. იგია იდეალური მასწავლებლის სახე. იოანე ნათლისმცემელი ის ერთგული მოწაფეა, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ იყო ქრისტეს მიმდევარი, სანამ ის საქადაგებლად და სამოღვაწეოდ გამოვიდოდა. იგი იყო პირველი ქრისტიანი.

იესო ქრისტე შიო მღვიმელის პარადიგმული სახეა, ხოლო იოანე ნათლისმცემლი იოანე ზედაზნელისა. თვით სახელი შიო ასურულ ენაზე ბერძნულ სვიმონს ნიშნავსო, წერს მიხ. საბინინი „ცხოვრების" ტექსტის კომენტარებში.[9] სვიმონ მესვეტე იოანე ზედაზნელის და მისი

---

* აგიოგრაფიაში „სიბრძნე"— სოფია პერსონიფიცირდება, როგორც სამი თეოლოგიური სათნოების დედა. ეს სათნოებანია: სიყვარული, რწმენა, იმედი. წმინდა სოფიის ალეგორიულ სახე-სიმბოლოდ აღიქვამენ რომში II საუკუნეში აღსრულებულ მოწამეს სოფიას. იგი თავის ქალიშვილებთან (**Вера**— რწმენა; **Надежда** — იმედი; **Любов** — სიყვარული) ერთად უწამებიათ ქრისტეს სჯულისათვის.ხატწერაში წმ. სოფიის მსახურებად ზოგჯერ გამოყვანილია სამი პიროვნება (ნოვგოროდული ხატი, შესრულებული 1548 წელს), რომლებიც აღნიშნული სათნოებებს გამომხატველნი არიან: სიყვარულის, რწმენისა და იმედისა.

მოწაფეების მოძღვარია. იგი განდეგილობდა მესვეტეობით. სვეტი უფლის გამოცხადების ერთ-ერთი სახეა: „წინ მოუძღოდა მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით“ (გამ. 13, 21). სვეტი, როგორც ღვთის გამოხატულება, იხსენიება ძველი აღთქმის წიგნებში (გამ. 14, 19-20;24; 33, 9-10; რიცხ. 9, 15-16; 22; ფს., 77, 14; 104, 39. და სხვ.). ღმერთი როგორც ცხოველი „ეკლესია ღმრთისა ცხოველისა“ ნახსენებია პავლეს ეპისტოლეში (I ტიმ, 3, 15). ქართული ქრისტიანული კულტურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სვეტი-ცხოველი. იგია იესო ქრისტე. „მაცხოვარი“ –იესო ქრისტეს ქართული სიმბოლოა. ამ სიტყვის ბერძნული შესატყვისია Σωτηρ (სოტერ), რუსული კი **спаситель** (სპასიტელ). ქართულად – მაცხოვარია. ეს სიტყვა ცხოვრების, ცხოველის დეფინიციასაც გვაძლევს.[10] „სიტყვის კონაში“ განმარტებულია, როგორც „ცხოვრების მოქმედი.“[11] სვეტი -ცხოველი სულიერად არსებული რეალობაა. „შიოს ცხოვრებაში“, ეკლესიის აგების ეპიზოდში მოთხრობილია, თუ როგორ შესწირა ღმერთს საკმევლის მსხვერპლი წმ. შიომ მარცხენა ხელის ნებზე, რათა ეჩვენებინა ტაძრის ასაშენებელი ადგილის მდებარეობა. „ხოლო კუამლი იგი საკუმევლისა აღვიდა ჰაერთა შინა, ვითარცა სუეტი აღმართ ზეცამდე“[12]. ღმერთმა დაანახა ტაძრის ასაშენებელი ადგილი წმინდა მამებს „ხედვიდეს საკმეველსა მას, ვითარცა ძეგლსა რასმე ეგრე მდგომარესა.“[13] **„ სუეტი იგი საკმევლისა“** შეესაბამება ძველი და ახალი აღთქმის „სვეტთ“. კონკრეტულად, დღისით ებრაელთა გზამკვლევ და უდაბნოს სიცხისაგან დამცავ ღრუბლის სვეტს, ახალი აღთქმის ეპოქის ეს სვეტი ღრუბლისა როდია, არამედ საკმევლისა, თუმც დღისითაა, ისიც ადგილის გასაკვლევად გარდამოსული.საკმევლის სვეტი ახლადასაგები ტაძრის საკურთხევლის ადგილას იყო აღმართული. ეს სვეტი იყო ღვთის სული.

იოანე ზედაზნელის მიერ შიო მღვიმელში საკუთარი თავის განჭვრეტის შედეგი იყო წმინდა შიოსთვის იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობელი მარიამის გამოცხადება.

იოანე ზედაზნელის ქართლში მოსვლის მთავარი მიზანი „ახალნერგი ქვეყნის“ სარწმუნოებაში განმტკიცება იყო, ანუ ნათლობის

წმ. ნინოს წარვლენა

ღვთიშობლის მოხედვა
წმ. შიოსადმი

მადლის განახლება. ასეთია იოანე ზედაზნელის და შიო მღვიმელის სახეთა მეტყველება.

ყოველივე იმის შესახებ, რაზედაც ჩვენ ახლა ვისაუბრეთ, ბავშვებს პირდაპირ კი არ მოვუყვებით, არამედ მხატვრული სახეებით, მათთვის გასაგები და დასამახსოვრებელი ენით.

მეორე ხატის მნიშვნელობითი ეპიზოდი „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში" არის იოანე ზედაზნელის მიერ ღვთისმშობლის ხილვა საქართველოში გამომგზავრების წინ. აქ, მოზარდებს უნდა მიეწოდოს ცოდნა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი კვართი განისვენებს სვეტიცხოველში. ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და წმ. ნინო დედა ღვთისას ბრძანებით მოიწივნენ საქართველოში.

მესამე ხატის მნიშვნელობითი ეპიზოდია სნეულთმკურნალობანი წმინდისა იოანესი.

მეოთხე— თასის დამყარება ჰაერში; იოანეს, შიოს და ისსე წილკნელის მიერ ჰაერის, ცეცხლისა და წყლის სტიქიათა დამორჩილება.

მეხუთე— მთაზე წყლის აღმოცენება, რაც კიდევ ერთხელ ცხად-

ყოფს იოანე ზედაზნელის და იოანე ნათლისმცემლის სახეთა ნათესაობას.

მეექვსე – ცხოველთა (დათვის) დამორჩილება.[14]

მეშვიდე – იაკობის კიბის ხილვა.

ყველა ეს ეპიზოდი ისტორიულად, დროში მომხდარი ფაქტებია. ამ ფაქტებს თვითონ, თავისთავადვე გააჩნიათ მასწავლებლის ფუნქცია. ოღონდ ისე, რომ მოსწავლის ფაქტორი პირდაპირ კი არ არის გაცხადებული, არამედ იგულისხმება. ეს ფაქტები მთლიანად ღვთისაკენ მიემართებიან. ანუ მეორენაირად რომ ვთქვათ, ამ ფაქტებით მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლის პოზიციაა დაფიქსირებული მასწავლებლის მიმართ. მასწავლებლის მოსწავლისადმი დამოკიდებულება აქ არ ჩანს. არადა ცხადია, რაც უფრო კარგად განჭვრეტს მასწავლებელი თავის თავს მოსწავლეში, მით უფრო გადიდდება შენების ფაქტორი. „ცხოვრების" აღმწერელი იოანე ზედაზნელის (მასწავლებლის) მიერ განჭვრეტილი შიო მღვიმელის (მოსწავლის) სახით, წარმოდგენას გვიქმნის იოანე ზედაზნელზე (მასწავლებელზე), როგორც მაშენებელზე, შიო მღვიმელზე (მოსწავლეზე) კი-როგორც აშენებულზე (ტაძარზე). წარმოვიდგინოთ, რომ სარკეში ვიყურებით და, თან კიდევ, ერთი მაყურებელი, მხატვარი გვადევნებს თვალს. ამ დროს ჩვენი სამი გამოსახულება იქნება წარმოდგენილი: ერთი თავად ჩვენი სხეულის მიერ შექმნილი, მეორე სარკეში არეკლილი და მესამე ის, რომელსაც მხატვარი ქმნის.* მხატვარს შეუძლია სამი სახის ნახატი შექმნას: I. მხოლოდ სარკეში არეკლილი გამოსახულება; II. მხოლოდ ჩვენი სხეულისაგან შექმნილი გამოსახულება და III. ჩვენი და სარკის ორივე გამოსახულება ერთად.

იოანე ზედაზნელის მოწაფეების აღწერის შემთხვევაში „ცხოვრების" ავტორი (მხატვარი) ზოგჯერ მხოლოდ მოწაფის სარკეში არეკლილი გამოსახულების დახასიათებას იძლევა, ზოგჯერ კი მასწავ-

---

* არის კიდევ ერთი გამოსახულება, ეს თვით ჩვენივე ჩრდილია. ამ შემთხვევაში, ჩრდილი და სხეულის მიერ შექმნილი გამოსახულებები იგივდება. აქვე დავსძენთ, რომ სარკეში მიღებული გამოსახულება თავის ჩრდილს არ იძლევა.



წმ. იოანე ზედაზნელი და მის თორმეტი მოწაფე

ლებლისა და მოწაფის ერთდროულ დახასიათებას. ორივე ამ შემთხვევაში და მაშინაც, როცა მარტო მასწავლებელს აღწერს, ავტორი თვითონვე აღიქვამს მასწავლებელს იმად, რაც ის არსებითად არის (მასწავლებლად). ვინ იცის მასწავლებელი არსებითად, თუ არა მოწაფემ. მხოლოდ მან იცის ვინ არის მასწავლებელი. ამდენად, ცხოვრების აღმწერელი თვითონაც მასწავლებლის მოწაფეა.

10–12 წლის ასაკში მოზარდებს სურათ–ხატებს მივაწვდით. 14–15 წლის ასაკში მათ შორის კანონზომიერების ახსნაზე უნდა გადა–

ვიდეთ. მოზარდისათვის სურათ-ხატების დანიშნულება უნდა იყოს გულისა და გრძნობების გათბობა, განათება.

## 5. „ქართველთა მოქცევის“ სწავლების საკითხი

როგორც აღინიშნა, ისტორიის ელემენტების სწავლება III-IV-V კლასებიდან იწყება. „დედა ენა“ და „რელიგია და კულტურა“ 8-9-10 წლის ასაკის მოზარდებს უკვე აზიარებენ ისტორიულ ცოდნას.

ავიღოთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების თემა. როგორ უნდა მივაწოდოთ ბავშვებს ამ ასაკობრივ საფეხურზე (ვთქვათ V კლასში) ეგოდენ მნიშვნელოვანი ცოდნა? ამისი თქმა ყველაზე უმჯობესი და მოსახერხებელია ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი თქმულებებით. როგორაა ფოლკლორში „ქართველთა მოქცევა“ დაფიქსირებული? საკითხი ამ მიმართულებით არაა შესწავლილი და, მით უმეტეს, სასწავლო სახელმძღვანელოებისათვის არაა გადამუშავებული ფოლკლორული მასალა.

„ქართველთა მოქცევა“ ფეოდალურ ხანაშივე ჩამოყალიბდა თეორიულ-ლიტერატურულად და საგანმანათლებლოდ. ამის მაგალითია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ღეონტი მროველი, X ს-ის 70-იან წლების გადამწერი - იოანე ბერაჲ („შატბერდის კრებული“) და ჭელიშის კრებული, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში აერთიანებს ორ თხზულებას. ესენია: I. „მეფეთა ცხოვრება“ -ანუ „ქრონიკა“ ქართლის მოკლე ისტორია ალექსანდრე მაკედონელიდან ჩვენი წელთაღრიცხვის IX ს-მდე. II. „ნინოს ცხოვრება“ - ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. კლასიკური ფეოდალიზმის ხანაში, მოქცევის საკითხი ქართველთა ისტორიული განვითარების ცენტრალურ, დამაგვირგვინებელ თემად აღიქმებოდა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანაში ქართლში მცხოვრები ტომების უწმინდეს ადგილს წარმოადგენდა არმაზის მთა. ამ მთაზე ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი განისვენებდა, რომელიც ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის შთამომავალი იყო. ალექსანდრე მაკედონელის დროს არიან-

ქართლის მეფისწულმა, აზონმა ქართლოსის საფლავზე აღმართა ოქროს და ვერცხლის კერპები. მათ გაცი და გაიმი ეწოდებოდათ. ქართლის მამასახლისის ძმისწულის, ფარნავაზის მიერ აზონისაგან წართმეული ხელისუფლების დაბრუნების შემდეგ ამ კერპებს შორის აღიმართა არმაზის კერპი. ზოგი ვარაუდით, არმაზის კერპი აჰურა-მაზდას, ცეცხლის, მზის თაყვანისცემის გამოხატულებაა (ნ.მარი, ო.გ. ფონ ფეზენდოკი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, ლ. მელქისეთბეგი). არმაზს მზის ქვეშევრდომად მიიჩნევს რ. სირაძე[15]. ზოგი ვერსიით; არმაზი მცირე აზიური ღმერთი იყო ცის, ხინათლის, ატმოსფერის, წვიმის, ჭექა-ქუხილის და ელვის – თეშუბ,[16] ზოგიერთი მეცნიერი კი მიიჩნევს, რომ არმაზი მთვარის ღვთაება იყოო (შ. ამირანაშვილი [17], ა. ბოლტუნოვი [18], გ. მელიქიშვილი [19], კ. გრიგოლია [20], ა. აფაქიძე [21], გ. გიორგაძე [22]). ეს მოწმობს, რომ ქართველთა წინაპრები მნათობებს და სტიქიურ, თუ ბუნებრივ მოვლენებს სცემდნენ თაყვანს.

მუხის, კედრის ხეები მათთვის ისეთ ადგილს წარმოადგენდა, სადაც ღმერთების ნახვა შეიძლებოდა. ტყეს და ტყის წესრიგს ღვთის სულად და საღვთო წესრიგად აღიქვამდნენ. ქართველნი, წარმართი ქურუმის მეშვეობით, ფოთოლთა შრიალისა და ჩქამების საშუალებით საღვთო ნებას შეიტყობდნენ. ფშავ-ხევსურებს მუხის ანგელოზის დიდი რიდი ჰქონდათ. დღემდე შეხვდებით ქართლის ბევრ რეგიონში ფერად-ფერადი ძაფებითა და ფსკვნილებით მორთულ ხეს. თეძმის ხეობაში კი განთქმული იყო „რკონი“ – აქაც მუხის თაყვანისცემას უნდა ჰქონოდა ადგილი[23]. საღვთო ე.წ. „ხატის“ ტყეები საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში იყო. განსაკუთრებით თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, სვანეთში, მთიან სამეგრელოში, აფხაზეთში. ამ უკანასკნელში, გაზაფხულის პირველი ყვავილობა ტყეთა უფლის („მიზიტხუ“) დიდი ზეიმი იყო. სადღესასწაულო ზეიმის წინაღამ, მზის ამოსვლამდე, ქალები და ვაჟები ტყეში გადიოდნენ ხუთყურა ყვავილის და განძის საძებნელად*. მზის ამოსვლა გრანდიოზული ცერემონიული

---

* ეს დღესასწაული ძალიან გავს ზაფხულის ბუნიობის სლავურ ხალხურ, ივან კუპალას (იოანე ნათლისმცემლის ხალხური ზედწოდება) ზეიმს, რომელსაც 23-24 ივნისს (ძვ. სტილი) აღნიშნავენ.[24]

სვლით აღინიშნებოდა. ალბათ, მშვენიერი იყო ტყიდან სოფლისკენ მომავალი ყვავილებითა და ხის რტოებით დაფარული პროცესია, რომელსაც საზვარაკო ირემზე შემჯდარი, მუხის ფოთლების გვირგვინით შემკობილი, თეთრწვერა მოხუცი მოუძღვოდა. ქართველნი განადიდებდნენ ანატორის, ოჩოპინტრეს, ბოჩის, დალის, აფსადს, ტყის ანგელოზს, ტყაშ მაფას, მესეფის, მინდორთ ბატონს და მის ასულს, ნადირთა და მონადირეობის, ხეთა და ტყეთა ღვთაებებს.

არმაზის მთებზე კი საღვთო ზეიმი აგვისტოს დასაწყისში იმართებოდა. ეს იყო ლომის ზოდიაქოს თვე, როცა მზე თავის ძლიერების მწვერვალზე დგას. აღმოსავლეთის ხალხთა წრეში, მათ შორის საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული ებრაული კალენდარი, რომლის პირველი თვე იყო მარტი, ხოლო მეექვსე თვის მეექვსე დღეს აღინიშნებოდა არმაზის[25] დიდი დღესასწაული. „მაშინ დღესა ერთსა აღიძრეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფეოდ, მცხეთად, მოვაჭრებად საჭმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა.“ ... „და აჰა, ესერა, ხვალისა დღე იყო ჭმა ოხრისა და საყვრისა; გამოვიდა ერი ურიცხჳ, ვითარცა ყუავილნი ველისანი, და ზარი საშინელი გამოვიდოდა. და ვითარცა მოიწია ჟამი, იწყო სოვლტოლა და მიდამო მალვა ყოვლისა კაცისა, შიშითა საფარველსა თჳსსა შეივლტოდა. და აჰა, მყის გამოვიდა ღედოფალი ნანა, და ნელიად მოვიდოდა ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვთოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა“. „და აღივსნეს მთანი იგი დროშებითა და ერითა, ვითარცა ველნი ყუავილითა“[26] „დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი და ჴელთა მისთა აქუნდა ჴრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ჴელთა შინა. უკეთუ ვინმე შეეხებან, თავი თვისი სიკუდილად განწირის და იტყჳნ: „მ ჩემდა, ნუ უკუე და – სამე–ვაკლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმაზისსა, ანუ შე– სამე –ვსცეთ სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა და რომელ იტყჳან უცებნი უცხოსა ვისთჳმე ღმრთისა, ნუ უკუე პოოს რამე ბიწი და მცეს მე მახჳილი იგი მისი, რომლისგან ეშინის ყოველსა და შიშით თაყუანის–ცემენ მას“.

წმ. ნინო მოციქულთა სწორი და
ქართველთა განმანათლებელი

„და კუალად იყო მარჯვენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა და სახელი მის გაიმ, რომელნი – იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა.[27]

აი, ამ სამყაროში გამოჩნდა ნათლით მოსილი ერთი ახალგაზრდა მონაზონი ქალი ვაზის ჯვრით ხელში, რომელიც ქართველთა წმინდა დედად და ემბაზად იქცა. განსაკუთრებული ადგილი უკავია წმინდა ნინოს ქართველი ერის ისტორიაში.

ქართლში წმინდა ნინოს შემოსვლა არის ქართული სულიერების აღმავლობის, განათლების დიადი ხანა. საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ამაზე უფრო ბრწყინვალე ეპოქა. თვით ეს ისტორიული ფაქტი ესთეტიზირებულ ფორმადაც იქცა, რომელმაც განსაზღვრა შემდგომი ცხოვრებისა და აზროვნების პერსპექტივები.

წმინდა ნინო **მოვიდა, ნახა, დამწუხრდა, შერისხა, ახარა და გაანათლა.** ეს ეტაპები თავისი მნიშვნელობით უნდა გამოცალკევდეს და ცალკე სურათ-ხატებად თანმიმდევრულად წარმოუდგეს მოზარდს.

წმინდა ნინომ ახარა ქართველთ უხილავი ღმერთის შესახებ, რომელიც უფრო ძლიერია, უფრო მოწყალე, უფრო ბრძენი და უფრო მორჭმული მეუფე, ვიდრე მათი არმაზი, გაცი და გაიმი ერთად. წარმოვიდგინოთ, რამდენს იცინებდნენ არმაზის კერპისაგან შიშით დაზაფრული ქართველები და როგორ გააქილიკებდნენ წმინდა ნინოს, ქადაგების ლოგიკური გაგრძელება და დასასრული სხვაგვარი რომ ყოფილიყო. იმდროინდელ ქართველებს, ალბათ ეგონათ, რომ ხმალ-აპყრობილი არმაზის დამარცხება მხოლოდ მახვილით და ომით შეიძლებოდა. წმინდა ნინოს კი თავისივე თმით შეკრული ვაზის ჯვარი გააჩნდა მხოლოდ. თუნდაც მახვილი ჰქონოდა, განა რამეს გახდებოდა სპილენძისა და ქვის წინააღმდეგ? რა იცოდნენ წარმართმა ქართველებმა, რომ ჯვარი ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის ყველაზე საიმედო, ერთადერთი იარაღია, რომ სახარების სიტყვას საღვთო ძალა გააჩნია, ხოლო ადამიანთა გულებში დასამკვიდრებლად – საღვთო მადლი.

წმინდა ნინომ წარმოთქვა ლოცვა (ამ ლოცვის მნიშვნელობის შესახებ მოწაფეები უფრო უკეთ შეიტყობენ VIII–IX კლასებში, თუმც მოცემულ საკითხზე (ლოცვაზე), III–IV კლასებში ექმნებათ გარკვე-

ული წარმოდგენა). ლოცვის დამთავრებისთანავე დასავლეთის ქარმა ატეხა ჭექა-ქუხილი და „მოიღო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი“[28] ე.ი. სეტყვის მარცვლები ლიტრას იწონიდნენო. დასეტყვა მხოლოდ კერპთა საყოფელი ადგილი. კერპნი დაიმსხვრნენ და ზღუდენი დაინგრნენ. ვერავინ გაბედა შინიდან გამოსვლა. მეორე დღეს - კი ველარ იპოვნეს მრისხანე ღმერთები. ამ დღიდან მოყოლებული ქართლში იესო ქრისტეს დიდება ფარულად აღარ ითქმოდა.

ზემოთ მოთხრობილი ისე უნდა მივაწოდოთ მოზარდებს, რომ სიყვარულით გავუთბოთ მათ გული და გრძნობები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს შინაარსის – „ახლა ბავშვებო ჩვენი გაკვეთილის თემა იქნება საქართველოს გაქრისტიანების ისტორია“ დეკლარირება. სათაურის მკვეთრად გამოტანა თხრობის საერთო ქარგიდან, შეიძლება მოხდეს მეხუთე კლასის ბავშვებთან. III-IV კლასებში ისტორიის მიზანია სინათლე და სითბო შეიტანოს მოზარდის გულსა და გრძნობებში.

## 6. სამშობლოსმცოდნეობა. სვლა თანადროულობიდან დროული სიღრმეებისაკენ.

V კლასში ისტორიის ელემენტები სამშობლოსმცოდნეობის ხასიათისა უნდა იყოს. სასურველია, რომ ამ პერიოდში მოზარდებს მივაწოდოთ მასალები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. მოთხრობები ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, მარიამ დედოფლის, ალექსანდრე ბატონიშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. პედაგოგი, აქ, დიდი ამოცანის წინაშე დადგება, რადგანაც ისტორიული მოვლენა ფაქტოლოგიური ცოდნის თვალსაზრისით ბოლომდე არ არის ცნობილი და შესწავლილი. მასწავლებელს მოუწევს ფანტაზიის მოხმობა. არადა, დიდი გამოცდილება და უტყუარი ალღოა საჭირო, რომ გადაჭარბება არ მოხდეს და ფანტაზიის წყალობით აბსურდამდე არ მივიდეთ.

კარგი იქნებოდა გვესაუბრა საქართველოში საბეჭდი დაზგის შემოტანის და წიგნის კაბადონების, ბეჭდვის დაწყების შესახებ. ეს საქმე დაკავშირებულია ტრაგიკული ბედის ქართველ კაცთან.

ოსმალებმა, რომლებიც ფულს იყვნენ დახარბებულნი, XVII–XVIII საუკუნეებშიც კი ვერ მოიშალეს ადამიანების მოტაცება და მონათა ბაზრობები. ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ერთი პატარა ქართველი, რომელიც 8–9 წლის, ან კიდევ უფრო უმრწემესი იქნებოდა, ოსმალ მეკობრეთა მსხვერპლი შეიქმნა. ჭაბუკისთვის მშობლებს, იესო ქრისტეს მოწაფის და მოციქულის ანდრია პირველწოდებულის საპატივცემულოდ, ანდრია დაურქმევიათ. იგი სტამბულის ტყვეთა ბაზრობაზე გაყიდეს როგორც მონა. (აქ შეიძლება კ. თათარაშვილის (უიარაღო) „მამლუკის" მხატვრული სახეების გახსენებაც). ბედად ყმაწვილს იერუსალიმის პატრიარქი გადაეყარა. მან გამოისყიდა პატარა ანდრია საშინელი ადამიანების ტყვეობიდან. პატრიარქმა იერუსალიმში, წმინდა მიწაზე წაიყვანა ანდრია და, ღვთისმეტყველებასთან ერთად, უამრავი სასარგებლო რამ ასწავლა. ანდრია ძლიერ ნიჭიერი ყმაწვილი გამოდგა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მან მალე შეისწავლა თურქული, ებრაული, არაბული, სირიული, ასევე ბერძნული, ლათინური, ფრანგული და ევროპის სხვა ენები. როცა წამოიზარდა, ზოგჯერ უხდებოდა ევროპის ქვეყნების მონახულებაც იერუსალიმის პატრიარქის დავალებით. და კიდევ უფრო იღრმავებდა ევროპული ენების და კულტურის ცოდნას. მან ევროპაში შეისწავლა წიგნის ბეჭდვა. ვლახეთის გოსპოდარმა (მთავარმა) კონსტანტინე ბრინკოვიანუმ, რომელიც თავისი ქვეყნის კულტურის აყვავებას ცდილობდა, ანთიმოზ ივერიელი თავისთან მიიწვია.[29] ანთიმოზ ივერიელმა რუმინეთში 4 სტამბა დააარსა, სადაც იბეჭდებოდა მის მიერვე ილუსტრირებული და მინიატურირებული წიგნები. ლითონის ლიტერებისაგან მისი ხელით აწყობილი საბეჭდი ფორმები მშვენიერი სანახავი იყო. წიგნები იბეჭდებოდა რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ, თურქულ ენებზე.

ანთიმოზ ივერიელის მოწაფეებმა არაბული სტამბა დააარსეს სირიაში (1706 წ.) ვახტანგ VI-ის ინიციატივით და ანთიმოზ ივერიელის აქტიური ძალისხმევით*, მისმა მოწაფემ მიხაილ იშ-

---

* მან ჩამოასხა ქართული ანბანის, სამივე სახის (მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული) შრიფტები. დახატა ქართული ანბანის ასოები, ვინიეტები, თავსართ-ბოლოსართები და სხვა.

ტვანოვიჩმა საქართველოში დაარსა პირველი სტამბა (1709 წ). ახლადდაარსებულ სტამბაში პირველად „სახარება“ დაიბეჭდა. დიდ კულტურულ მოვლენასთან ერთად, ასე ჩაეყარა საფუძველი რუმინელთა და ქართველთა მეგობრობასაც.

აქ, მოსწავლეებს მარტივად, მათთვის გასაგებად ვუხსნით წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიას. რაც უფრო თვალსაჩინოდ მოვახდენთ ამის ილუსტრირებას, მით უფრო კარგია. მეტიც, სადაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობს, მოსწავლეები შეიძლება ჩავრთოთ საგამომცემლო საქმიანობაში (შრომის გაკვეთილებზე).

კარგი იქნება, და ალბათ ეს უფრო მომავლის საქმეა, სკოლამ მოახერხოს თეორიის და პრაქტიკის, ცოდნისა და გამოცდილების შერწყმა. მოზარდი ამ ასაკიდანვე გრძნობადით, განცდით, თვალსაჩინოებით უნდა მივიყვანოთ კონკრეტული საქმის კეთებასთან: წიგნის გამოცემასთან.

* * *

მეექვსე კლასიდან შესაძლებელია ისტორიული ცნებების კონტურების წარმოჩენა. სახელმძღვანელო რომლითაც დღეს-დღეობით მეხუთე კლასები სწავლობენ, ვფიქრობთ, რომ სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს.

მთლიანადაა შესაცვლელი ისტორიის საგნის სწავლების პრინციპი. ამ ასაკში ბავშვის შინაგანი მოთხოვნილებაა გაამხატვრულოს ყველაფერი ის, რაც გარესამყაროშია. ისინი ისწრაფვიან ყოველივე სურათ-ხატებაში, მხატვრულად აღიქვან, ამიტომაც მათთვის აღმზრდელი, მასწავლებელი მხატვრული ფანტაზიის წყაროდ უნდა იქცეს.[30] წარმოუდგენელია მშრალად, მხატვრულობისაგან დაცლილად მოუყვე 10 წლის ბავშვებს მითი, ლეგენდა, ზღაპარი თუ თქმულება. ურიგო არ იქნებოდა, რომელიმე მწერალს ან პოეტს მოეკიდა ხელი ამ ასაკის ბავშვებისათვის ისტორიის სახელმძღვანელოს შესაქმნელად. სწორედ მწერლური, პოეტური, მხატვრული ალღო და გეშია საჭირო, და არა მეცნიერული ტიტულატურა, იმისათვის, რომ უაღრესად საინტერესო და მსუყე საგნისაგან გუდაფშუტა არ შეგვრჩეს ხელთ.

## 7. ძველი მსოფლიოს ეპოქა

მესოპოტამია, ეგვიპტე, ირანი, საბერძნეთი აი, ის კულტურულ-ისტორიული თანმიმდევრობა, რომელსაც განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება VI კლასში. ქართულ სამყაროს ყველა მათგანთან მეტნაკლები ურთიერთობა ჰქონია.

მოზარდების უნდა გავაცნოთ ზემოთ ნახსენები კულტურულ-ისტორიული პერიოდების უმნიშვნელოვანესი მიჯნები. ჩრდილოეთ და სამხრეთ ეგვიპტის გაერთიანება[31], შუმერული ცივილიზაციის განადგურება[32], პროტოინდოევროპელების ერთმანეთისგან განს-ხვავებულ ორ (ინდოარიულ და ირანულ) ეროვნულ შტოდ გაყოფა[33] ერთი და იგივე დროს ხდება. ესაა ძველი წელთაღრიცხვის საბედის-წერო III ათასწლეული

აქ ხაზი უნდა გაესვას ირანის არა სახელმწიფოებრივი ცხოვრების დასაწყისს, არამედ იმას, რომ ინდოევროპული შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელნი, ირანელნი, სამხრეთ რუსეთის სტეპებში, ვოლგის აღმოსავლეთში მცხოვრები მრისხანე მომთაბარეები იყვნენ. მათი საზოგადოება მკვეთრად დიფერენცირებული იყო და შედგებოდა ქურუმთა, მეომართა და მეჯოგე მწყემსთაგან. მომთაბარეების მკვიდრ სამიწათმოქმედო ცხოვრებაზე გადასვლა ისტორიაში ცნობილია „ირანულ პერიოდად". ეს პერიოდი ემთხვევა ძვ.წ.აღ.-ის III-II ათას-წლეულებს. წინარექართველური საერთო ფუძე-ენიდან ქართველურ ენეთა გამოყოფაც სწორედ III-II ათასწლეულებში დაიწყო. მომთა-ბარეობიდან მკვიდრ, სამიწათმოქმედო კულტურაზე გადასვლა კერ-ძო საკუთრების გაჩენას მოასწავებდა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვ-ლენაა კაცობრიობის ისტორიაში. მომთაბარეობისას არ არის კერძო საკუთრების არც საჭიროება და არც მოთხოვნილება. ასეთი საზო-გადოება მუდმივად მოძრაობს. ქონება მთელი საზოგადოებისაა. ქონების პატრონი მთელი ჯგუფია. ისინი თავს ირჩენენ ნადირობით, მეთევზეობით, შემგროვებლობით, ცხოველთა მოშენებით და მათ-თვის, საძოვრების ძებნაში, აქეთ-იქით ხეტიალით. მკვიდრი, ბინა-დარი კულტურის მიმდევარი ხვდება, რომ ის, ვინც მომთაბარეობას მისდევს, მისი მტერია. იქ სადაც ბინადარი კულტურაა წესრიგი სუფევს. იქ ყველაფერს თავისი ადგილი და დრო აქვს. მომთაბარე კი

არად დაგიდევთ ამ წესრიგს. მისი მიზანია გაიაროს სწორედ ამ ლანდშაფტზე.

იმისათვის, რომ ადამიანთა საზოგადოება მკვიდრი სამიწათმოქმედო კულტურის აღიარებამდე მისულიყო არავის უტარებია საერთაშორისო კონფერენციები და საყოველთაო რეფერენდუმები. ეს გადაწყვეტილება ხალხს გამოუცხადა უმაღლეს ღვთაებრივ სიბრძნეს ზიარებულმა, ხელდასხმულმა–ბელადმა.

კერძო საკუთრების ცნების და მისი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოზარდი VI კლასიდანვე იგებს. პამირ–მესოპოტამიის გეოგრაფიულ–გეოისტორიული არეალი, ამ ასაკში, მათ უნდა აღიქვან, როგორც კაცობრიობაში კერძო საკუთრების დამკვიდრების ეპოქა — „ირანული ეპოქა".

აქვე უნდა დაიწყოს მიწათმოქმედებისა და საქალაქო ცივილიზაციების სამეურნეო–საზოგადოებრივ წესრიგთა გარჩევა. საილუსტრაციოდ შუამდინარულ პოლისურ კულტურას მოვიხმობთ. შუამდინარეთი თვით ბუნებამ მიიყვანა დიდი დასახლებული პუნქტების შექმნამდე. მხოლოდ ქალაქი შეიძლებოდა გამკლავებოდა მდინარეთა თავნებობას. ევფრატი და ტიგროსი, აქ მცხოვრები ხალხების ძალისხმევით, უწყინარ მდინარეებად იქცნენ. ეს შესძლო ქალაქურმა წესრიგმა, სადაც შრომა გადანაწილებული იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე. ქალაქში გაჩნდნენ კაშხალის მშენებელი ოსტატები, მმართველები, მუშები, კულტის მსახურები, მოსამართლეები და სხვა.

ქალაქური ცხოვრების შემდეგ უნდა ვისაუბროთ სახელმწიფოებრივი კულტურის დამკვიდრებაზე. სახელმწიფო მმართველობა ქალაქურ წესრიგთან შედარებით მეტად გაფართოებული ფორმაა. ეგვიპტური სახელმწიფო ორიენტირებული იყო მეფე–ღმერთზე, ფარაონზე. ეს უაღრესად საინტერესო ეპოქაა. ამ ეპოქის ადამიანების დაყოფა

ფარაონი ზეციურ ძროხასთან

მხოლოდ ტირანებად და მონებად (მონათმფლობელებად და მონებად) დაუშვებელია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეგვიპტელთა შეხედულებაში მეფე და ღმერთი ერთია. ეს, არაჩვეულებრივი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში.

რელიგიათა კლასიფიკაციაში ეგვიპტური სარწმუნოება სახელმწიფოებრივი ძალაუფლების და მისი აღმსრულებელი ხელისუფალის გაღმერთებად უნდა განიხილებოდეს. ათასწლეულებიდან მოყოლებული ადამიანი ხან ბუნების მოვლენებს აღმერთებდა, ხან უსულო საგნებს (ფეტიშიზმი), ხან მცენარეულობას, ხან ცხოველებს და ხანაც კერპებს. სახელმწიფოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო ძალაუფლების გაღმერთება კი ეგვიპტეში მოხდა. მოსწავლეები უნდა გაეცნონ იმ განცდას, რომელიც ეგვიპტელს გააჩნდა და რომელიც წარმოშობდა მასში ფარაონისადმი მორჩილების იმპულსებს. თუ არა ეს განცდა, შეუძლებელი შეიქმნებოდა ასე ვრცელი და მრავალრიცხოვანი არეალის მართვა. ეგვიპტური სახელმწიფოებრივობა ამ სახით არქაულ ხანაში (ძვ. წ. 3100-2780 წ.წ.) ჩამოყალიბდა, ხოლო კლასიკური სახე მიიღო ძველი სამეფოს პერიოდში (ძვ. წ. 2780-2280 წ.წ.). ეგვიპტელთა ასეთი რელიგიური განცდა რაღაც გაგებით, XX საუკუნეში სტალინმაც აღორძინა. ბოლშევიკური სახელმწიფო აპარატი ცრუ ღმერთის მსახურთა ინსტიტუტად, ხოლო სახელმწიფო მეთაური — ცრუღმერთად მოგვევლინა.



**მზის ღმერთი რა ზეციურ ძროხაზე**

* * *

საბერძნეთის შესწავლით აზიური სამყაროდან შევდივართ ევროპულ სამყაროში. საბერძნეთის ისტორია კონკრეტული ადამიანების ისტორიაა.ბერძენი ერის კულტურის ხასიათის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ჰომეროსის პოემები: „ილიადა" და „ოდისეა". „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ

ჰომეროსის ეპოსი გადაიქცა მთელი ელინური ცივილიზაციის, ბერძენთა აზროვნების წესის და ხასიათის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელად"[34]. ეს პოემები მოგვითხრობენ ტროას ომის და, შემდეგ, გმირთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. „ილიადაში" ჰომეროსი მოგვითხრობს ტროას ომის მეათე წლის ერთი ეპიზოდის შესახებ, რომელიც ამ ომის მთელ მიმდინარეობაზე გვიქმნის წარმოდგენას.

ტროას ომი ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. ამ ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების და სულის შესახებ უკეთესად ვერავინ ისაუბრებდა თუ არა ჰომეროსი.

სასურველია, მოზარდები ვაზიაროთ მხატვრული ენით გადმოცემული პოემის მოკლე შინაარსს.[35]

კონკრეტული ადამიანების და მათი თავგადასავლების თხრობა მისაწვდომიცაა ბავშვის ცნობიერებისათვის, საინტერესოც და გრძნობათა აღმძვრელიც.

იმთავითვე უნდა გამოიკვეთოს, რომ არც აქილევსი და არც ოდისევსი, როგორც გმირები, არ უპირისპირდებიან საზოგადოებას. რომ გმირი და საზოგადოება ორგანულად და განუყოფლად დაკავშირებული ჩაკეტილი სისტემაა. ბერძნული სამყაროს ამ გმირებს აქვთ ბედი, მაგრამ არა პიროვნული ბედნიერება, აქვთ პიროვნული აზროვნების ელემენტები – და არა პიროვნული აზროვნება, აქვთ პიროვნული ფსიქიკის ნიშნები – და არა პიროვნული ფისქოლოგია.[36] „ჰომეროსთან გმირებს აქვთ „მე", მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ ემანსიპირებული პიროვნული „მე"[37]. ოდისევსის და ჰომეროსის სხვა გმირები კერძო ადამიანები არიან და არა ინდივიდუუმები. ამ კერძო ადამიანებს მართალია ახასიათებთ პიროვნული ნიშნები, მაგრამ ისინი ინდივიდუალობის სიმაღლემდე, პიროვნულობამდე ჯერ ვერ ამაღლებულან.

მოვიყვანოთ მაგალითი „ოდისეადან". *ღმერთისგან დევნილი ოდისევსი კიკლოპთა ქვეყანაში მოხვდა. კიკლოპები და მათი ცხოვრების წესი ძალიან ჰგავდა ზოგიერთი ზარმაცი ქართველის ყოფას: „არც ხნავდნენ, არც თესავდნენ, არც კი იცოდნენ რა იყო ჭირნახული. რაც თავისთავად მოდიოდა ბარაქიან მიწაზე, იმას სჯერდებოდნენ. არც სამსჯავრო ჰქონდათ, არც სამართალი, ყველა თავისთვის ცხოვ-*

რობდა. ზღვაოსნობისა არა იცოდნენ რა, ამიტომ სხვათაგან არ უსწავლიათ მიწის დამუშავება."[38] კიკლოპთა უმდიდრესი ქვეყნის მკვიდრთა ნახვა და გაცნობა მოიწადინა ოდისევსმა. და მათივე საცხოვრებელ გამოქვაბულში დაელოდა. მალე აუხდა საწადელი. ქვაბში უზარმაზარი არსება შემოვიდა და კარები, 22 ურემი ხარი რომ ვერ დაძრავდა, იმხელა ლოდით დაგმანა. აღარც დილით და აღარც საღამოს კიკლოპი ლოდს არ აცილებდა ქვაბს. დამწყვდეული ჰყავდა ოდისევსი მის მეგობრებთან ერთად და ყველას შეჭმას უპირებდა თვით ზევსის მიერ დადგენილი სტუმართმოყვარეობის კანონის აბუჩად ამგდები. მეორე დღეს, როცა მესამე და მეოთხე მეგობარიც შეჭამა, კიკლოპმა, ოდისევსმა, ღვინო შესთავაზა და დაათრო. სახელიც „გაუმჟღავნა" თავისი, „არავინს" მეძახიანო — მოატყუა. მთვრალ და მძინარე კიკლოპს ოდისევსმა და მისმა მხლებლებმა ერთადერთი თვალიც დაუბნელეს წამახული, ნედლი ზეთისხილის, უზარმაზარი მორით. საშინელი ტკივილისაგან გამძვინვარებული კიკლოპი ღრიალით ქვეყანას აქცევდა — „არავინ მომერია ცბიერებითაო". ისევ ოდისევსის საზრიანობითა და ხერხიანობით, მან და მისმა მეგობრებმა, მოახერხეს ვერძის მუცლებზე მიკრულები გამოპარულიყვნენ გამოქვაბულიდან. კიკლოპი კი ვერძების მხოლოდ ზურგებს სინჯავდა ხელით, რათა არ გაპარვოდა მისი დამღუპველი. ესეც არ აკმარა ოდისევსმა და მთელი ცხვრის ფარა მოსტაცა თვალდავსებულ ურჩხულს. მაშინ კიკლოპი პოლიფემე შეევედრა მის მამას, მიწისმრყეველ პოსეიდონს: „სამშობლოში ნუ დააბრუნებ ითაკელ ოდისევსს და გზაში ყველა მეგობარი გაუწყვიტეო". ასე დაიწყო ოდისევსის ხეტიალი და დიდხანს ვერ ეღირსა თავის ჭერქვეშ დაბრუნებას.

ოდისევსი კიკლოპთან

ამ თქმულებიდან კარგად ჩანს თუ როგორ იწყება ინტელექტის გაღვიძება ადამიანში. იწყება გაგება და განსჯა მოვლენებისა. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჰომეროსის ნაწარმოებიდან, თუნდაც ტროას ცხენის ამბავი და სხვა.

როდესაც ადამიანი მძიმე, ერთი შეხედვით გამოუვალ ვითარებაშია მშველელად იხმობს ინტელექტს, ხერხს, ეშმაკობას, ხუმრობას, იუმორს. იწყება **თამაში რეალობაში,** ფანტაზიის ამოქმედება, განსჯა და საბოლოოდ ადამიანი იმარჯვებს.

მას შემდეგ როცა ადამიანები შესძლებენ განსჯას, აზროვნებას შეიძლება მათ მივაწოდოთ ცოდნა ფულის წარმოშობის და მისი დანიშნულების შესახებ. ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში პირველი მონეტის მოჭრა მიეწერება ლიდიას[39]. ეს მაშინ მოხდა, როცა ლიდია განთავისუფლდა ფრიგიის ქვეშევრდომობისაგან. ლიდიელთა ფული უფრო საკრალური მნიშვნელობის იყო, ვიდრე სავაჭრო-სასაქონლო ოპერაციებისათვის გამოსადეგი რამ. ამას მოწმობს თვით მონეტაზე ამოკვეთილი სიტყვა **„Valvel“**, რაც შესაძლოა ნიშნავდეს „ვადიდებ“ ან „ადიდე“. ბერძნებმა ფულის მნიშვნელობა ფინიკიელებისაგან გაიგეს და დარწმუნდნენ, რომ ფული ვაჭრობას შეუწყობდა ხელს.

ძველ სამყაროში დასმული კითხვები დღესაც მთელი აქტუალურობით მეორდება. იმთავითვე ცდილობდნენ მთელ რიგ საკითხებზე პასუხის გაცემას ბერძნები. ეს იყო სიკვდილისა და სიცოცხლის, მშვენიერების, ღვთაებრივის, სიყვარულის, სამყაროს წარმოშობის შესახებ დასმული დიდი გამოცანები.

ზედმეტი არ იქნება თუ მოზარდებს, სწორედ ამ ასაკში, მცირე დოზით მივაწვდით ფილოსოფიის ელემენტებსაც. ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოში მხოლოდ არისტოტელეს შეხედულებათაგან ერთ-ერთია ციტირებული. უმჯობესი იქნებოდა სხვა ფილოსოფოსების (სოკრატე, პლატონი) შესახებაც მოგვეშველიებინა, რაიმე მარტივი მაგალითი, რომელიც მათ აზროვნებას წარმოაჩენდა. მით უმეტეს, რომ ქართველი მკითხველი, ბაჩანა ბრეგვაძის მშვენიერი თარგმანებით ნაზიარებია პლატონის ნაწარმოებებს.

სასურველი იქნებოდა გარკვეული ადგილი დაგვეთმო ჰერაკლიტე ეფესელისთვისაც (520-460). ბავშვები გაიცნობდნენ რამდენიმე ფრაგმენტს ჰერაკლიტეს დებულებებიდან.

„მზე სიფართით კაცის ტერფის ოდენა გვეჩვენება“ (ფრაგმენტი 3)

„მზე არა მარტო მარადდღე ახალია, არამედ მარად ახალიც“ (ფრაგმენტი 6)

„ვირები ბზეს არჩევენ ოქროს“ (ფრაგმენტი 9)

„სიკვდილია ყოველივე ის, რასაც მღვიძარენი ვჭვრეტთ, ხოლო ის, რასაც მძინარენი ვხედავთ, არის სიზმარი“(ფრაგმენტი 21).

„ოქროს მაძიებელნი ბევრს თხრიან და ცოტას პოულობენ“ (ფრაგმენტი 22)

„რა ელის კაცს სიკვდილის შემდეგ?– რასაც არ მოელის და ოცნებითაც ვერ წარმოიდგენს“ (ფრაგმენტი 27)

„მარადისობა ბავშვს ჰგავს, კენჭებით მოთამაშეს“ (ფრაგმენტი 52)[40] და სხვ.

ქალაქ ათენის მაგალითზე ბავშვებს შეიძლება ვესაუბროთ დემოკრატიის ცნების შესახებ. ათენის დემოკრატია, რა თქმა უნდა, განსხვავებულია ახლანდელი დემოკრატიისაგან, მაგრამ მის ელემენტებსაც შეიცავს. დემოკრატია, როგორც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, არც ახლაა სრულყოფილი და არც ათენში ყოფილა, მაგრამ სხვა სახელმწიფოებრივი იდეებიდან ყველაზე უკეთესია. ათენის დემოკრატიის ჩამოყალიბების ფაქტორები იყო საზღვაო კავშირის ლიდერობა ხმელთაშუა ზღვის აუზში, სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბება, საშუალო შეძლების გლეხობის სიმრავლე და მათი თანდათანობით დაჩრდილვა ვაჭარ-ხელოსანთა პოლიტიკური პარტიების მიერ. ათენში სახელმწიფოს ბედს წყვეტდა არა მიწათმოქმედი, არამედ ვაჭარი, ხელოსანი და მეზღვაური. ათენის მიწათმოქმედებს არ შეეძლოთ თავის გამოკვება პურითაც კი. ამიტომ ათენში მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შემოდიოდა პროდუქცია. ათენის დემოკრატიის სისუსტე მონების სიმრავლე იყო. 10–12 მონა თითქმის ყველა შეძლებული ბერძენის სახლში იყო. ხოლო ზოგიერთი (ძალიან მცირე ოდენობა) წარჩინებული 600 – 1000 მონის მფლობელი იყო *. ცნობილია ისტორიული ფაქტი, ძვ. წ. 413 წელს ათენში შეჭრილ სპარტანელების მხარეს ქალაქის 20. 000 მონა[41] გადავიდა. ათენის დემოკრატია თავისუფლად დაბადებული 20 წელზე

---

* ქალაქ ნიკეას წარჩინებული 1000 მონას ამუშავებდა ლავრიონის მაღაროებში, ხოლო იმდროინდელი „მილიონერი“ ვინმე ჰიპონიკი 600 მონას ფლობდა.

უხნესი მამაკაცების დემოკრატია იყო. ეს უმცირესობა წარმოადგენდა ათენის მოქალაქეებს. პოლიტიკური უფლებები წართმეული ჰქონდათ ქალებს, ემიგრანტებს, რომელთაც არ ჰქონდათ მოქალაქეობა და მეტეკებს, 100 000-მდე ვაჭარ- ხელოსანთა ფენას. მაშასადამე, ათენის მოსახლეობის 28-30%-ილა თუ იყო ხმის უფლების მქონე.

აქ, მნიშვნელოვანია თვით იდეა დემოკრატიისა. ათენელებს ღრმად სწამდათ, რომ არქონტისა და სტრატეგის მოვალეობის შესრულება შეუძლია ათენის ყველა მოქალაქეს (ლაპარაკია ათენში მცხოვრებთა 28-30%-ზე). უმაღლესი სახელისუფლო პირები იყვნენ არქონტ ეპონიმი, რომელიც თვალყურს ადევნებდა საოჯახო და სამემკვიდრეო წესების დაცვას და არქონტ ბასილევსი, რომელიც საკრალურ, ასევე, სასამართლო პროცესთა თავჯდომარის ფუნქციებს ასრულებდა. სამხედრო საქმეს განაგებდა არქონტ პოლემარქოსი და 10 სტრატეგი. 10 სტრატეგის გარდა ირჩევდნენ 10-10 ასტიანომს და აგრონომს. პირველნი ქუჩებისა და მშენებლობის საქმეს აგვარებდნენ, მეორენი კი-საქონლით და პროდუქციით ბაზრის მომარაგების საქმეს. აღმსრულებელი ხელისუფლება ხუთასთა საბჭოს – პრიტანიის ხელთ იყო.

სოლონის რეფორმებს სახელმწიფო პოლიტიკური მექანიზმის ტიმოკრატიული* გარდაქმნა დაედო საფუძვლად. ქონების ოდენობა პიროვნების ამა თუ იმ კლასში მოქცევას და მის პოლიტიკურ უფლებასაც განსაზღვრავდა. ამის მიხედვით ათენში გაჩნდა 4 კლასი.

I. 500 მედიმნიანები** – „პენტაკოსიომედიმნოი“ – უმაღლესი ჩინოსნები

II. 300 მედიმნიანები –„ჰიპეის“– მხედრები

III. 200 მედიმნიანები – „ძევგიტები“– ჰოპლიტი მეომრები.

IV. 200 მედიმნოსზე დაბალი შემოსავლის მქონე ათენელი მოქალაქეები –„გიმნეტები“– მსუბუქად შეიარაღებული მეომრები.

---

* ტიმოკრატია(ბერძ) –ძალაუფლება პატივის მიხედვით.

** ერთი მედიმნოსი 52 ლიტრ პურის მარცვალს უდრიდა. ამდენი პური სოლინის ეპოქაში 1 დრაქმად-შეისყიდებოდა.

ძველი ათენის დემოკრატიიდან ჩვენი ეპოქის ახლანდელ დემოკრატიამდე კაცობრიობამ განვითარების ხანგრძლივი პერიოდი განვლო და, ალბათ, ძნელი არაა იმის თქმა თუ მმართველობის რომელი ფორმაა უმჯობესი.

* * *

ბერძნული ეპოქის დასასრული ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელების მიერ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების განადგურებით დასრულდა. ეს მოხდა ძვ. წ.აღ.-ის 338 წელს. ამას მოჰყვა ელინიზმის აღორძინება ყველა თავისი შედეგით.

ქართული საზოგადოებრივ-ისტორიული აზრის განვითარებაში მაკედონური, მსოფლიოს დაპყრობითი, პროცესები მნიშვნელოვანია. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ისტორიული მასალები მოგვითხრობენ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის ამბავზე. დღემდე შემონახული ხალხური ლექსი —

| | |
|---|---|
| „მზე დედაა ჩემი<br>მთვარე მამაჩემი<br>მოციმციმე ვარსკვლავები<br>და და ძმაა ჩემი“, | „ბჟა დიდა-რე ჩქიმი,<br>თუთა — მუაჩქიმი,<br>ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი<br>და დო ჯიმა ჩქიმი“ |

იმდროინდელთა რელიგიურ წარმოდგენებსაც ასახავს. „უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივს სცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, ჰმსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“[42].

ისტორიკოსთა ვარაუდით, ქართლში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლა არ დასტურდება. ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს აზროვნების ის მიმართულება, რომელიც საქართველოს განიხილავდა მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი პროცესების განუყოფელ ნაწილად. ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

„ძველი მსოფლიოს ისტორიის“ ახლადშექმნილი სახელმძღვანელო, ჩვენი ქვეყნისათვის აგრერიგად მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ ორიოდ ბწკარედს უთმობს[43].

მაკედონელის იმპერიის დაშლის სწავლებისას ყურადღება უნდა დაეთმოს ახლად წარმოქმნილ იმპერიებს და განსაკუთრებით სელევკიდების სამეფოს. მისი გახსენება კვლავ მოგვიწევს რომის ისტორიის შესწავლისას.

კიდევ ერთ მომენტზე უნდა გამახვილდეს მეექვსე კლასელთა ყურადღება ისტორიის საგნის შესწავლისას. ესაა კულტურათა და მსოფლმხედველობათა შერწყმის ხანა, რომელიც ცნობილია ელინიზმის სახელწოდებით. ელინისტები 12 ოლიმპოელი ღმერთის პანთეონს უხამებენ აღმოსავლეთში აღმოჩენილი ღმერთების სახელებს. თვით აღმოსავლეთის სამყარომ, მანამდე ერთმანეთის გვერდი-გვერდ მყოფი იზოლირებული, ჩაკეტილი საბრძანებლები ურთიერთგანმსჭვალავ, შერეულ, ზოგად სახელმწიფოებად შეცვალა. ელინისტურ ეგვიპტეში, მისმა მმართველმა,* მცირეაზიური კულტი სერაპისისა ეგვიპტურ ღმერთ აპისთან გააიგივა. ეს ღმერთი იდენტური იყო ბერძნულ ზევსთან, ჰელიოსთან და ასკლეპიოსთან. სელევკიდების სამფლობელოში შედიოდა შუამდინარეთი. აქ, აღმოჩენილია, არც თუ ისე მცირე ოდენობა წმინდა სალოცავებისა. ისინი ბერძენთა მიერ იყო აგებული ადგილობრივი ღმერთების სახელზე. სელევკიდების სამეფოს დამაარსებელმა**, ბაალის და ათარგადების სირიული კულტი სირია- მესოპოტამიის ბერძნების მთავარ ღმერთად გამოაცხადა. საბერძნეთში მოხდა ეგვიპტური იზიდას დემეტრად დესაკრალიზება. პერგამოსის ოფიციალურ კულტად აღიარებულ იქნა ფრიგიული კიბელე - დიდი დედა-უფალი მიწისა, ქალღმერთი. ბერძნული რელიგიური აღქმით ეს იყო აფროდიტესა და არტემიდას კულტების შერწყმა. ელინიზმის დროს სულ უფრო და უფრო მეტი ბერძენი ხდებოდა იუდაიზმის მიმდევარი. ეს რელიგია ბერძნებს იზიდავდა თავისი მონოთეიზმით.

---

* პტოლემეოს სოტერი ძვ. წ-ის 323 წლიდან მმართველია, 305-283 წლებში კი მეფე.

** სელევკე I ნიკატორი, ცხოვრობდა 358-280; მეფობდა ძვ. წ. 312-280 წ.წ.

ელინიზმმა კიდევ უფრო გაუხსნა გზა პიროვნების განთავისუფლებას საზოგადოებისაგან. ამას მოწმობს იმდროინდელი ფილოსოფიური მიმდინარეობების, სტოიციზმის და ეპიკურეიზმის, ახალი ფილოსოფიური სკოლების ჩამოყალიბება. სტოიკოსთა* ეთიკურ-სოციალური იდეალის საფუძველი ადამიანთა თანასწორობა იყო. სტოიციზმის ფუძემდებელი იყო ზენონ კიტიონელი (ძვ. წ. 336–264 წ.წ.)**, რომელიც თვითონ კრატესის კინიკოსის*** მოწაფე გახლდათ. სტოიციზმმა კინიკოსთაგან მემკვიდრეობით მიიღო სახელმწიფოს, ოჯახის, კერძო საკუთრების, მონობის, საზოგადოებრივი ნორმების გრძნობადი სიამოვნების და, საერთოდ, ამასოფლიურისადმი მკვეთრად ხაზგასმული ნეგატიური დამოკიდებულება. სტოიკოსებსაც, ისე როგორც კინიკოსებს, სწამდათ იდეალური „მსოფლიო სახელმწიფოს" შექმნის შესაძლებლობა. ასეთი სახელმწიფო, მათი აზრით, დასახლებული უნდა ყოფილიყო „მსოფლიოს მოქალაქეებით".

სახელმწიფოს მართვა გონებითა და გონიერების კანონებით უნდა მომხდარიყო. მათი იდეალი ერთიანი, ეთნიკური განსხვავებებისაგან თავისუფალი, ზოგადკაცობრიული სახელმწიფო იყო. ასეთ სახელმწიფოში თითოეულ ადამიანს დაბადებისთანავე გარკვეული პასუხისმგებლობანი გააჩნდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ, შემდეგ კი ახლობლების, მეგობრების, სამშობლოს და, ბოლოს, მთელი კაცობრიობის მიმართ[44]. სტოიკოსებიდანვე მომდინარეობს ლოგიკის, ფიზიკის და ეთიკის შერწყმის თავდაპირველი მცდელობები. ისინი ლოგიკას ადარებდნენ ადამიანის ჩონჩხს, ეთიკას–კუნთებს, ხოლო

---

* სახელწოდება დაერქვათ ათენის „სტოა პოიკილე"-ს პორტიკისაგან.

** საკუთარი ფილოსოფიური სკოლა დააარსა დაახლოებით ძვ. წ. 300 წელს (სხვა მონაცემებით 308 წ.).

*** კინიკური (ცინიკური) სკოლა ძვ. წ. 380 წელს დააარსა ფილოსოფოსმა ანტისთენემ. დიოგენე სინოპელი კინიკური სკოლის წარმომადგენელი იყო. კარგი იქნება თუ ბავშვებს გავახსენებთ თქმულებას დიოგენესა და ალექსანდრე მაკედონელის შეხვედრის შესახებ.

ფიზიკას – საფშვინველს. ადამიანის მთელი ორგანიზმი კი ფილოსოფიის სიმბოლოს წარმოადგენდა. ზენონის შეგონება იყო: „ბუნებისა და ადამიანის თანხმობა, იმავდროულად სათნოებით ცხოვრებასაც ნიშნავს“[45].

რომის კულტურულ-ისტორიული ეპოქის გაცნობამ მოზარდებს წარმოდგენა უნდა შეუქმნას სამართლის ცნებაზე. განვითარდა ტექნიკა, გაჩნდა ახალი სამშენებლო მასალები (ცემენტი, ბეტონი და სხვა). შემუშავდა სამოქალაქო კანონი: რომის მოქალაქედ გახდომა ნებისმიერი ერის წარმომადგენელს შეეძლო. ყველა რომაელი მოქალაქე თანაბარუფლებიანი იყო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასეთ მოდიფიკაციას საკაცობრიო ცივილიზაცია ახალ საფეხურზე აჰყავს.

ელინისტური ეპოქის განვითარებად უნდა ჩაითვალოს რომის სამოქალაქო სამართლის შემქმნელთა მოღვაწეობა*, ისინი ხომ სტოიკოსები იყვნენ. სტოიკური დიალექტიკა ეს იყო მეცნიერება გაგების, განსჯის და დასკვნების შესახებ. სწორედ ის განაპირობებდა იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავებასა და სამარლებრივი ნორმების სისტემატიზაციას. კვინტუს მუციუს სცებოლას „რომის სამოქალაქო სამართალი“ 18 წიგნადაა გამოცემული. სამოქალაქო სამართლის კვალდაკვალ ვითარდებოდა სახელმწიფო სამართალი. ამის ნიშანია მარკუს იუნიუსის „ხელისუფლების შესახებ“. ყველა ეს ნაშრომი სტოიკურ და პერიპატეტიკურ** გამოცდილებას ეფუძნებოდა. რომაული სტოიციზმის სრული გამოხატულებაა სენეკა (ძვ. წ. 4–ახ. წ. 65) და იმპერატორი მარკუს ავრელიუსი (121–180 წ.წ.).

---

* საუბარია II–I საუკუნეების რომაელ სამართალმცოდნეებზე პუბლიუს მუციუს სცებოლაზე და მის შვილზე კვინტუსზე. ასევე მარკუს იუნიუს ბრუტუსზე, მანიუს მანილიზე და სხვა.

** ბერძნ. **peripatetikos**– სეირნობის დროს წარმოებული, არისტოტელეს ფილოსოფიის მიმდევრები არისტოტელეს სკოლაში, ლიკეიონში (აქედან მომდინარეობს ლიცეუმი), სწავლება მიმდინარეობდა სეირნობის დროს. ეს სკოლა არსებობდა ძვ. წ. –335–დან ახ. წ.–ის 529 წლამდე.

არქიტექტურიდან მოსწავლეები უნდა გაეცვნენ რომის ფორუმის, მარს-შურისმაძიებლის ტაძრის ნანგრევების, ავგუსტიუსის მავზოლეუმის, ტერაკოტას სკულპტურების, კოლიზეუმის (ფლავიუსების ამფითეატრი), ტიტუსის თაღის (რომი), მარკუს არველიუსის კოლონის (რომი), კარაკალას თერმების (რომი), ტრაიანეს სვეტის (რომი), „კვადრატული შენობის" (ნიმა), აკვედუკის ხიდის (ნიმა), პორტ ნიგრის ჭიშკრის (ტრისი), ტრაიანეს თაღის (თიმგადი), რომაული ტაძრის (ბაალბექი), დიდი კოლონადის ნანგრევების (პალმირა), დიოკლეტიანეს სასახლის ნანგრევების (სპლიტი) და სხვათა ილუსტრაციებს.

შემთხვევითი არაა, რომ სტოიციზმი ალექსანდრე მაკედონელის დროს სახელმწიფო იდეოლოგიად წარმოსდგა, ხოლო რომის ეპოქაში კლასიკური სახით გამჟღავნდა რომის სამართალში. მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ რომის კულტურული და ისტორიული მისიის მნიშვნელობა მაშინდელი საკაცობრიო ცივილიზაციისათვის.

ამრიგად, VI კლასის მოწაფეები ადგილობრივი-სამიწათმოქმედო ცხოვრების შესწავლით კერძო საკუთრების ინსტიტუტზე შეიქმნიან წარმოდგენას; შუამდინარეთის ქალაქებით სამოქალაქო -საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ; ეგვიპტე გააცნობს სახელმწიფოსა და მისი აპარატის რაობას; ბერძნული სამყარო ინდივიდუალობისაკენ სავალ გზას, აზროვნებისა და გონიერების, ინტელექტუალიზმის ზრდას დაანახვებს. აგრესიის, იმპერიული სულის და კოსმოპოლიტიზმის ელემენტების გაჩენა უკვე ელინიზმის ხანაშივე შეიმჩნევა. რომის ეპოქა კი იურიდიულ მეცნიერებას, სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრების ქვაკუთხედად წარმოაჩენს. ყურადღება უნდა გამახვილდეს კულტურათა ცვლისა და მემკვიდრეობის საკითხზეც.

## 8. შუა საუკუნეთა ეპოქა

12 წლის ასაკში მოზარდებს კიდევ უფრო უუმჯობესდებათ აღქმის უნარი. უფართოვდებათ ცნობიერების ჰორიზონტები. საბაზო სასკოლო პერიოდის ეს უკანასკნელი საფეხური ხასიათდება ორგანიზმის ფიზიკური გამაგრებით, ენერგიის მოზღვავებით. ბავშვს სიამოვნებას ჰგვრის გონებრივი მუშაობის პროცესი. განსაკუთრებით

იზრდება მოზარდების ცნობისმოყვარეობა ტექნიკისადმი, სათამაშოებისა და სხვა ტექნიკური კონსტრუქციებისადმი. აღიძვრება ინტერესი წიგნის კითხვისა. აღსანიშნავია, რომ ზღაპრებისადმი ლტოლვა 10–12 წლის ასაკში ქრება და აღიძვრება ლიტერატურული ნაწარმოებების ცნობისწადილი. ამ პერიოდის გატაცებაა სათავგადასავლო შინაარსის, საგმირო, სარაინდო, ვაჟკაცური ამბების გადმომცემი მხატვრული ლიტერატურის გაცნობა. ამ ასაკში ბავშვი დაინტერესებულია გუნდური, ჯგუფური შეჯიბრებების ფორმებით. მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ შემწყნარებლური ტოლერანტული დამოკიდებულებაც ამ ასაკშივე უნდა გამოვუმუშავოთ ბავშვებს. არაჩვეულებრივ შედეგებს იღებს მასწავლებელი თუ გუნდური შეჯიბრების ფორმას ცოდნის შემოწმების ან სწავლების თვალსაზრისით გამოიყენებს. ამ ასაკშივე ადამიანები (გოგონები განსაკუთრებით) ავლენენ ინტერესს სილამაზის მიმართ. მაგრამ ეს არ არის ესთეტიკური გრძნობა. იგი 13 წლიდან ჩნდება და 16 წლამდე უფრო და უფრო ძლიერდება. 12 წლის ასაკში ესთეტიკური მხარე იჩრდილება შემეცნებითი ინტერესით. 12-დან 14 წლამდე პერიოდი, ეს არის დრო მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებისა. ხდება ცხოვრებისა და ცოდნის მთელ რიგ საკითხებზე დამოუკიდებელი აზრის შექმნა.* აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს ბრძნული შეგონება – „არაფერია უფრო მეტად მავნებელი, ვიდრე ნაადრევად გამოწვეული საკუთარი შეხედულება“[46]. ეს რომ არ მოხდეს, მასწავლებელი უნდა მოერიდოს გონებრივი უნარების ბუნებრივი განვითარებით მიმდინარე პროცესებზე რაიმე გავლენის მოხდენას. განსჯით და გონებრივ უნარებზე ზემოქმედება გრძნობებისა და ნებელობის ფაქტორებზე დაწოლით საერთოდ უნდა გამოირიცხოს ამ ასაკის საალმზრდელო მეთოდიკიდან

---

* ბინეს და შტერნის ექსპერიმენტების მაგალითზე დ. უზნაძე დაასკვნის, რომ „სურათის შინაარსის ინტერპრეტაციის უნარი 12 წლიდან არის დადასტურებული“ (დ. უზნაძე, შრომები, ტ. V. თბ. 1967, გვ. 502). ინტერპრეტაციის უნარი 9 წლიდან შეიმჩნევა (IV კლასი) და ძლიერდება 12 წლის (VII კლასი) ასაკში. ადამიანი 9 წლის ასაკში სინამდვილის მოვლენებსა და შემთხვევებს აფიქსირებს, 12 წლის ასაკიდან კი- ამ მოვლენებსა და შემთხვევებს შორის მიმართულებებსაც.

და, ბოლოს, ადამიანები 12 წლის ასაკში ნებისყოფის ინტენსიური განვითარებითაც გემოირჩევიან.

სანამ უშუალოდ ისტორიის სწავლების საკითხებზე გადავიდოდეთ, არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ტექნიკური დაინტერესების შესახებ. ასაკობრივი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კურსებში[47] ეს საკითხი კარგა ხნის გადაჭრილია. ისტორიის სწავლების მეთოდიკაში კი ნაკლებადაა ასახული ადამიანის აღზრდის ეს ასაკობრივი თავისებურება.

კარგი იქნებოდა შექმნილიყო ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო სახელწოდებით – „მოთხრობები ძალთა შესახებ“[48]. წიგნი წარმოგვიდგენდა პირამიდების ეპოქიდან ჩვენს, ატომურ ერამდე არსებულ ძირითად ტექნიკურ მონაპოვართ. 12 წლის მოსწავლეები გაიცნობდნენ ადამიანის ძალის და მასთან დაკავშირებული ტექნიკური გამოგონებების მნიშვნელობას. ნადირობაში – მშვილდისრის და კომბლის, მშენებლობაში - აგურის და ცემენტის, პირამიდალურ და მეგალითურ კულტურაში – უზარმაზარი ქვების მშრალი წყობის ტექნიკის საიდუმლოებებს. სამხედრო ხელოვნებაში კედლის მნგრეველი მანქანების-ტარანტორების, ზღვაოსნობაში - ნიჩბების და ველოსიპედის გამოგონების დროს ადამიანის მოქმედების მარტივი მექანიზმების გაცნობა აღაფრთოვანებს ამ ასაკის ადამიანებს. მოსწავლეები გაიცნობდნენ ცხოველებს, როგორც სამგზავრო, სატრანსპორტო, ტვირთმზიდავ საშუალებებს. აქლემები, სპილოები, ცხენები, ვირები, ხარები დღევანდლამდე გამოიყენება ამ დანიშნულებით. აქ, კარგი იქნებოდა, ცხენოსნობის, როგორც სპორტის და რაიტოთერაპიის პროპაგანდა. ქარის ძალას ზღვაოსნობის განვითარების კვალდაკვალ გაეცნობოდნენ. ამ ასაკის ადამიანები ოცნებობენ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობაზე. მათი საყვარელი წიგნებია რ.ლ. სტივენსონის „განძთა კუნძული“. ჟ. ვერნის „80.000 კილომეტრი წყალქვეშ“, ა. დიუმას „საიდუმლო კუნძული“, სტეფან ცვაიგის „მაგელანი“, „ამერიგო“, „უკვდავების ხიზანი“, „ბრძოლა სამხრეთ პოლუსისათვის“ და სხვა. დიდი გატაცებით შეისწავლიან აფრიანი ხომალდების ტექნიკურ აგებულებას და მათი მოძრაობის თავისებურებებს. აქ, შეიძლება მათი დაინტერესება აფროსნობით ქარის წისქვილების შესახებ უკვე გაგებული ექნებათ სერვანტესის ქმნილებიდან – „მახვილგონიერი იდალგო

დონ კიხოტ ლამანჩელი" ასევე, ქარის ძალას აეროსტატიკასა და საჰაერო ნავიგაციაში მოზარდები გაეცნობიან ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძულში". წყლის ძალას მოზარდები წყლის საათის, არქიმედეს ხრახნის, წყლის წისქვილის, ჰიდროელექტრო სადგურების, კაშხალების, სარწყავი არხების სისტემებით გაეცნობიან. ორთქლის ძალის გამოყენებასთანაა დაკავშირებული ჯეიმზ უატის სახელი და ორთქლის მანქანის გამოგონება. შიგაწვის ძრავა მოტორიან მექანიზმებს და მათი მუშაობის ზოგად პრინციპებს გააცნობს მოზარდებს. ყველა ეს ძალები, ფიზიკური ძალებია. სასწავლო გეგმით ფიზიკის შესწავლა იწყება VI კლასიდან და გრძელდება XI კლასის ჩათვლით. ფიზიკის VI კლასის პროგრამა მექანიკის საკითხებს განიხილავს. ამიტომ, ზოგიერთი ტექნიკური ტერმინი მოზარდებს, წინასწარვე ეცოდინებათ. ახალი სახელმძღვანელო საკითხს მხოლოდ, ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით განიხილავს და არა ფიზიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის მხრივ. სახელმძღვანელოს II ნაწილში, რომელიც VIII–IX კლასებისათვის შეიქმნება, წარმოდგენილი იქნება ქიმიური, ელექტრული, ბირთვული ძალები და იგი დასრულდება ეკოლოგიურად სუფთა და ესთეტიკურად მისაღები, სინათლისა და მზის ძალის გამოყენების ტექნიკური საშუალებების გაცნობით.

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ზემოხსენებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს თარგმანიც კი დიდად წაადგებოდა საქმეს.

### შეჯიბრი ცოდნაში

აღინიშნა, რომ 12 წლიანებს დიდი გატაცება აქვთ გუნდური შეჯიბრებების მიმართ. შეჯიბრში ადამიანი ცდილობს არ დაზოგოს ენერგია და შესაძლებლობები.

ამის მაგალითი იყო თბილისის 51-ე სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტი. I სემესტრის ბოლოს VII კლასი გაიყო ორ გუნდად – „ჯაფარა" (გუნდის თავი-მანუჩარ შიშინაშვილი და ნუცა წერეთელი) და „მოციმციმე ვარსკვლავები" (გუნდის თავი – მარიამ ხარებავა და ჯაბა მჭედლიშვილი). მთელი სემესტრის განმავლობაში, კლასის მრავალრიცხოვნების გამო, მასალის გამოკითხვა ტესტური

მეთოდით მიმდინარეობდა (გთავაზობთ სანიმუშო ტესტს კომენტარებით. ტესტი №1). კითხვაზე პასუხი უნდა ყოფილიყო პირდაპირი, ლაკონური, მოკლე. თავდაპირველად ტესტებს მხოლოდ მასწავლებლი ადგენდა, შემდეგ კი ბავშვებმაც დაიწყეს ტესტების შედგენა.

ტესტი №1

1. სად მდებარეობს არაბების სამშობლო?

პასუხი: სირიის უდაბნოს სამხრეთით მდებარე არაბეთის ნახევარკუნძულზე.

2. როგორი ლანდშაფტი* ჰქონდა არაბების სამშობლოს?

– აქ იყო სტეპები, უდაბნოები და ნახევარუდაბნოები.

3. ვინ ცხოვრობდნენ და რას საქმიანობდნენ ამ ლანდშტაფში? **

–აქ ცხოვრობდნენ ბედუინები, რომლებიც მომთაბარეობდნენ.

4. რა ჰქვია არაბეთის ნახევარკუნძულის ყველაზე ნაყოფიერ მხარეს და რა საქმეს მისდევდნენ იქ მცხოვრებნი?

– იემენი – „ბედნიერი არაბეთი". მიწათმოქმედებას.

5. სად მდებარეობდა ქ. მექა?

– სავაჭრო საქარავნო გზაზე, რომელიც წითელი ზღვის გასწვრივ გადიოდა იემენიდან სირიამდე.

6. რა ერქვა წარმართი არაბების საერთო სამლოცველოს და სად იყო ის?

– ქააბა. მექაში.

7. ვინ იყო ისლამის ფუძემდებელი. სად და როდის დიბადა?

– მაჰმადი. მექაში 570 წ.

8. როდის მიეცა ისლამის ფუძემდებელს თვითჩაღრმავებისა და დაფიქრების საშუალება?

– მას შემდეგ რაც დიდი სიმდიდრე შეიძინა. დაახლოებით 25 წლისას.

9. რა იყო ისლამის ფუძემდებლის ოცნება?

– არაბთა გაერთიანება ძლიერ რელიგიურ და სამხედრო ძალად.

---

* სიტყვა ლანდშაფტი განემარტებათ მოსწავლეებს, როგორც – დედამიწის ზედაპირის ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია რელიეფის, ჰავის, ნიადაგის, მცენარეულობის, ცხოველებისა და სხვათა გარკვეული შეხამება.

* ლანდშაფტის II მნიშვნელობა რაიმე ადგილის (სოფლის მინდვრის ტყის) საერთო ხედი.

10. როდის მოხდა მაჰმადის გადასახლება მექადან? სად გადასახლდნენ? რა ეწოდება ამ მოვლენას?

— 16. II. 622 წ. მექადან მედინაში. ჰიჯრა.

11. როდის გარდაიცვალა ისლამის ფუძემდებელი და სად დაკრძალეს იგი?

—632 წ., მედინაში.

12. რას უწოდებდნენ ისლამის სარწმუნოების მიმდევრები თავის თავს და რა ვალდებულებები ეკისრებათ მას?

—მუსალიმს. 1. უნდა ეწამა „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი არს მისი მოციქული" *. 2. დღეში 5-ჯერ ლოცვა პირით მექასკენ შებრუნებულს. 3. ქრივ-ობოლთადმი მოწყალების გაწევა. 4. რამადანის თვის მარხვა. 5. წმინდა ადგილების მოხილვა.

13. რა არის ფატალიზმი, რომელსაც მაჰმადი ქადაგებდა?

— ბედისწერა, ბედის გარდუვალობა.

14. რომელ წიგნშია გადმოცემული მაჰმადის სწავლება?

— ყურანში.

15. როდიდან-როდემდე გრძელდებოდა 4 ხალიფას მოღვაწეობა?

—632-661 წ.წ.

16. წინასწარმეტყველის მოადგილე ანუ . . . ?

— ხალიფა.

17. როდის დაიპყრეს არაბებმა სირია და ეგვიპტე?

— 632-660 წ.წ.

18. როდის გამოჩნდნენ არაბები ქართლში პირველად?

— 642-643 წ.წ.

19. როდის დააკისრეს არაბებმა ხარკი ქართლს?

— 654 წ.

20. როდის დაიწყო სახალიფოს შინაომი?

— 657 წ.

21. რა ერქვათ არაბი ბედუინების ტომის ბელადებს?

— შეიხები.

22. ყურანის მიხედვით მაჰმადს გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი. როდის მოხდა ეს და რა მოსთხოვა გაბრიელმა მაჰმადს?

— 610 წელს. ელიარებინა ერთი ღმერთი— ალაჰი.

23. რა ერქვათ მექადან მედინაში გაქცეულ მუჰამედის თანამებრძოლებს?

— მუჰაჯირები.

---

* „ლა ილაჰა ილლა-ლ-ლაჰუ ვა მუჰა მადუ რასულუჰუ"

24. როდის დაიწყო ევროპაში ხალხთა დიდი გადასახლება?
– 375 წ. ჰუნების შემოსევით.
25. როდის გარდაიცვალა ატილა?
– 453 წ.
26. რომელ წლებს მოიცავს შუა საუკუნეთა ეპოქა?
– 476-1492 წ.წ.
27. როდის აიღო ოდოაკარმა რომი?
– 476 წ.
28. რომის ერთ-ერთმა იმპერატორმა თავის შვილებს დაუნაწილა იმპერია. რა ერქვა ამ იმპერატორს და როდის მოხდა ეს ამბავი?
– თეოდოსიუსი. 395 წ.
29. როდის მოხდა კონსტანტინოპოლში „ნიკას“ აჯანყება?
– 532 წ.
30. იუსტინიანე დიდის მეფობის წლები?
– 527-565 წ.
31. ხოსრო I ანუშირვანის მეფობის წლები?
– 531-579 წ.
32. როდის გაუქმდა მეფობა ქართლში?
– 523 წ.
33. როდის გახდა იმპერატორი ჰერაკლე კეისარი?
– 610 წ.
34. როდის დაამარცხა და სად ჰერაკლე კეისარმა ხოსრო II ?
– 627 წ. ნინევიის ნანგრევებთან.
35. რომელი წლიდან რომელ წლამდე იარსება ბიზანტიის იმპერიამ?
– 395-1453 წ.წ.

როგორც ვხედავთ, შეკითხვები 23-ე კითხვის ჩათვლით, მიზნად ისახავს VII კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს [49] V თავის (ისლამისა და სახელმწიფოს წარმოშობა) გამოკითხვას, 24-დან 35-მდე კითხვები განვლილი მასალის ცოდნას.

ტესტურმა გამოკითხვამ მოზარდები შეაჩვია წიგნის კითხვას და გაკვეთილის სისტემატურად მომზადებას. ტესტის შეკითხვებზე სწორი პასუხების გაცემის შედეგად დაგროვებულ ქულებზე, მოსწავლეთა შორის, ყოველდღიურად, ნამდვილი შეჯიბრი იმართებოდა. მოსწავლეთა მიერ შედგენილ ტესტებში ფასდებოდა

ტესტის შემდგენელის მიერ შეკითხვის სწორად დასმის ხელოვნება. ამასთანავე, შეკითხვებზე პასუხი გასაიდუმლოებული იყო. ტესტის შედგენისას დასაშვები იყო მხოლოდ საპროგრამო მასალის გამოყენება. გამოკითხვის ამგვარმა მეთოდმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კლასის 30 მოსწავლიდან 17 ფრიადოსანი იყო. ამთგან 6 მოსწავლე სისტემატურად იღებდა ფრიადს. დანარჩენი 13 მოსწავლიდან კი 2-3 სრულიად არ კითხულობდა წიგნს. 10 მოსწავლე იღებდა დამაკმაყოფილებელ და კარგ შეფასებას. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად მოსწავლეებს ძალიან ცუდი შედეგები ჰქონდათ. V თავის მასალის ტესტურმა გამოკითხვამ კი ცხადყო, რომ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს სრულად ამუშავებდნენ.

კლასის გუნდებად გაყოფის შემდეგ ტესტური კონტროლირების აუცილებლობა აღარ იყო საჭირო, რადგანაც მოსწავლეები ყოველდღიური მზადყოფნის და შეჯიბრის მდგომარეობაში იყვნენ. თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული ქულები გუნდის საერთო ქულათა რაოდენობაზე ახდენდა გავლენას. საბოლოოდ, დეკემბრის თვეში, სკოლის მერაბ კოსტავას სახელობის ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიის კაბინეტში ჩატარდა კონკურსის ბოლო ეტაპი. ამ დღისთვის გუნდები სპეციალურად ემზადებოდნენ. მოამზადეს საშინაო დავალებები: კედლის გაზეთები წინასწარ შეთანხმებულ თემატიკაზე, კროსვორდები, შეკითხვები ერთმანეთისათვის და სხვა. შეჯიბრის მონაწილეთა და მასწავლებელთა გარდა ესწრებოდნენ მშობლები, უფროსკლასელები. კონკურსს თავისი ჟიურიც ჰყავდა, რომელიც შედგებოდა კლასის დამრიგებლებისა და პრაქტიკოსისტორიკოსთაგან. კონკურსზე დასმული შეკითხვები, რომლებზედაც გუნდებს პასუხი უნდა გაეცათ, მოიცავდა ყველა პროგრამულ საკითხს მეხუთე კლასიდან მეშვიდეს ჩათვლით და, ასევე, ზოგადისტორიულ საკითხებს, რომლის ცოდნაც მოეთხოვებათ მოზარდებს.

კონკურსანტებისადმი დასმული რამდენიმე კითხვა.

(ბავშვები უსმენენ საგალობელს – „შენ ხარ ვენახი“)

1. ვის ეძღვნება ეს საგალობელი და ვინ არის მისი ავტორი?

2. ვინ, რა სიტუაციაში, როდის წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „ეჰა, მეომრებო! სამშობლოს დასაცავად თუ თავდადებით ვიბრძოლებთ, მტერს ადვილად დავამარცხებთ. ერთს გირჩევთ: ჩვენ ყველამ ღმერთს აღთქმა

მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით, გაქცევა რომ არ შეგვეძლოს, ხეობის შესავალი ხეთა მორებით შევკრათ. მტერს მტკიცე გულით და დაუნდობლად შევუტიოთ".

3. (ბავშვებს ვუჩვენებთ სვეტიცხოვლის სურათს) ვინ არის ამ ტაძრის აღმშენებელი? რომელი მეფის დროს აშენდა ეს ტაძარი და რა იცით ტაძრის სახელწოდების შესახებ?

4. „სემირამიდას დაკიდებული ბაღების" შესახებ უკანასკნელ, დრომდე, დამკვიდრებული იყო მცდარი აზრი. რაში მდგომარეობს ამ აზრის სიმცდარე?

5. რა არის ისტორია და ვინ არიან ისტორიკოსები?

6. გთხოვთ, დამატებითი არგუმენტებით შეავსოთ აიეტისა და ფარტაძის სიტყვები მათი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით.

7. გთხოვთ წარმოსთქვათ აიეტისა და ფარტაძის განმაქიქებელი სიტყვები.

8. გთხოვთ, ისაუბროთ თემაზე – „ჩვენი მეზობელი". (იგულისხმება ჩვენი ქვეყნის მეზობელი).

9. ვინ თქვა - „ადამიანში თუ ბუნებრივმა თვისებებმა განათლება დათრგუნა, იგი ველური დარჩება, თუ განათლებამ ბუნებრივი თვისებები დაიმორჩილა – ჩვეულებრივი გადამწერელი გახდება, ხოლო თუ განათლება და ბუნებრივი თვისებები გათანაბრდა – იგი კეთილშობილი იქნება"–ო.

10. რატომ იქცა ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად ჩინეთში?

11. რატომ დაიშალა რომის იმპერია?

12. ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელის უსაყვარლესი გმირი?

13. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „არაფერი არ არის ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური?"

14. იბერიის დამოუკიდებელი სამეფოს დაარსების მიზეზები?

15. რა იცით მილანის ედიქტის შესახებ?

16. ვინ გამოაცხადა პირველად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

17. ვინ არის საქართველოს მფარველი?

18. რომელი გერმანული სახელმწიფოები ჩამოყალიბდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე V საუკუნეში და რა საერთო სახელით არიან ისინი ცნობილნი?

19. ჩამოთვლეთ ბიზანტიის იმპერიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ გუნდები ერთმანეთს შორის ცვლიან ე.წ. „ისტორიულ კროსვორდებს". გუნდებმა მოამზადეს ისტორიის თემატიკაზე შექმნილი კედლის გაზეთი „ხმები წარსულისა" (შემდგენელ-რედაქტორი თ. მაღლაკელიძე)

გთავაზობთ რამდენიმე კროსვორდს:




**ჰორიზონტალურად:** 4. ზევსის მამა. 5. კოლიზეუმის ოვალური მოედანი. 7. რას უწოდებდნენ ეგვიპტელები თავის ქვეყანას. 9. ჰომეროსის პოემა. 11. ყველაზე დიდი კუნძული ეგეოსის ზღვაში. 13. ბერძენი პოეტი-ტრაგიკოგრაფი. 14. ტაძრის წინა კედელი. 15. იუსტინიანეს მიერ შავი ზღვის ნაპირზე აგებული ციხე-ქალაქი. 16. რომის მეტოქე ძლიერი სამეფო. 19. დავით და კონსტანტინეს პატივსაცემად აგებული ტაძარი. 21. ძველი ბერძენი მოქანდაკე.

**ვერტიკალურად:** 1. ნადირობის ქალღმერთი. 2. ბერძენი პოეტი ტრაგიკოგრაფი. 3. ეგვიპტეში გავრცელებული მუსიკალური საკრავი. 6. ხუთი „კარგი იმპერატორიდან" ერთ-ერთი. 8. ზევსის სადიდებელი დღესასწაულის ჩატარების ადგილი. 10. ჰუნების ბელადი. 12. ელინთა პატარა, დაბალი ხმალდი. 13. ვერგილიუსის პოემა. 14. რომის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ბაზრობა, სახალხო კრება და სასამრთლო იმართებოდა. 21. ლეგენდარული მეფე კუნძულ კრეტაზე.

**კროსვორდის გასაღები**

**ჰორიზონტალურად:** 4. კრონოსი, 5. არენა, 7. კემე, 9. ილიადა, 11. კრეტა, 13. ევრიპიდე, 14. ფასადი, 15. პეტრა, 16. პართია, 19. მოწამეთა, 21. მირონი.

**ვერტიკალურად:** 1. არტემიდა, 2. ესქილე, 3. არფა, 6. ადრიანე, 8. ოლიმპი, 10. ატილა, 12. ტრიერა, 13. ენეიდა, 14. ფორუმი, 21. მინოსი.



**ჰორიზონტალურად:** 1. მაჰმადსა და მის თანამოაზრეებს 622 წლის 16 თებერვალს მოუხდათ გაქცევა მახლობელ ქალაქში. რა ეწოდება ამ ქალაქს? 4. ფარნავაზის სიძე? 6. ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის ცოლი? 7. მედიცინის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა შუა აზიელმა მეცნიერმა 980-1097 წ.წ. ვინ იყო ეს? 8. საიდან შემოვიდა ქრისტიანობა რუსეთში? 10. ძველი ქვის ხანას მეორე ნაირად რა ეწოდება? 11. სად მოხდა დავით IV-ის ერთ-ერთი დიდი ბრძოლა?

**ვერტიკალურად:** 1. ისლამის სარწმუნოების ფუძემდებელი? 2. რა უწოდა თავის სარწმუნოებას მაჰმადმა? 3. ტომები, რომლებიც გერმანულ ტომებს თავს დაესხნენ 375 წელს? 5. რომელ ქალაქში იყო ირანის შაჰის ხოსრო I-ის სატახტო? 9. თამარის პირველი ქმარი? 12. ქართველ ტომთა ადრე კლასობრივი სახელმწიფო?

**კროსვორდის გასაღები**

**ჰორიზონტალურად:** 1. მედინა, 4. ქუჯი, 6. თეოდორა, 7. იბნ-სინა, 8. ბიზანტია, 10. პალეოლითი, 11. დიდგორი.

**ვერტიკალურად:** 1. მაჰმადი, 2. ისლამი, 3. ჰუნები, 5. ქტესიფონი, 9. გიორგი, 12. დიაოხი.




**ჰორიზონტალურად:** 1. მწერალი, რომელმაც მედეა შვილების მკვლელად გამოიყვანა. 2. რომის იმპერატორი, რომელიც შეეცადა ქართლში პოლიტიკა

გაემკაცრებინა. 3. 914 წელს არაბებმა უკანასკნელად ილაშქრეს სომხეთსა და საქართველოში. მათი სარდალი. 4. როგორი იყო საქართველოს ამირ-სპასალარი ზაქარია? 5. რა ეწოდა კონსტანტინოპოლში მომხდარ აჯანყებას? 6. თეოდორიხის I მრჩეველი. 8. რომელი გერმანული სამეფო გაანადგურეს ჰუნებმა ატილას წინამძღოლობით? 10. სახელმწიფო საიდანაც ევროპაში შემოვიდა კომპასი? 13. რომელი ქალაქი ააშენა ბათუმის ჩრდილოეთით იუსტინიანე დიდმა? 15. ქართველთა და არაბთა საერთო ქალაქ – სოფელი. 16. ალექსანდრე მაკედონელის მამა. 19. ადამიანი, რომელმაც აღწერა გობრონის ამბავი. 20. პეტრე იბერიელი და იოანე. . . 26. ბიზანტიელთა მმართველობის ცენტრი იტალიაში – ოსტგოთების სამეფოს დედაქალაქი.

**ვერტიკალურად:** 7. ველი სადაც ატილა დამარცხდა გალიაში. 9. ფარნავაზის მიერ აშენებული ერთ-ერთი ციხესიმაგრე. 11. რით დადიოდა მხატვრებით შემინებული მუჰამედი? 12. ქ. მოსკოვში აშენებული შოთა რუსთაველის ძეგლის ავტორი (გვარი) 14. იუსტინიანე დიდის მეუღლე. 18. რა ერქვა ფაბრიკა-ქარხნების პატრონს, რომელიც ქირით ამუშავებდა მუშას? 21. ჩრდ. დაღესტანში დასახლებული ლტოლვილი ებრაელების ერთ-ერთი შთამომავალი. 25. მავრების მიერ გადალახული სრუტე. 28. აღმოსავლეთ სლავების ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტყეებსა და ტაიგაში მცხოვრები ერთ-ერთი ფინურ-უნგრული ტომი. 29. ზოროასტრიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა...

**კროსვორდის გასაღები.**

**ჰორიზონტალურად:** 1. ევრიპიდე, 2. ადრიანე, 3. კასიმი, 4. მხარგრძელი, 5. ნიკას, 6. ბოეთიუსი, 8. ბურგუნდია, 10. სახალიფო, 13. პეტრა, 15. ბაღდადი, 16. ფილიპე, 19. მტბევარი, 20. ლაზი. 26. რავენა.

**ვერტიკალურად:** 7. კატალაუნი, 9. შორაპანი, 11. ჩადრით, 12. ბერძენიშვილი, 14. თეოდორა, 18. კაპიტალისტი, 21. ობადია, 25. გიბრალტარი. 28. მორდვა. 29. მაზდეანობა.




**ჰორიზონტალურად:** 1. რა ერქვა ვახტანგ გორგასალის დედას? 2. იუსტინიანე I-ის ცოლის სახელი? 3. გაზეთი რომელშიც იბეჭდებოდა „მესამე დასელების" პროგრამა? 4. XIX საუკუნის 60-იანი წლების გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის – გაბრიელ ეპისკოპოსის გვარი? 5. მცენარე, რომლითაც შეცვალეს ხეთებმა ეგვიპტელების პაპირუსი? 9. რომელი მეფის ბრძანებით გადაიტანეს დედაქალაქი ასურიდან ნანევიაში? 10. შუამდინარეთი ანუ... 11. რა ეწოდება შუმერის ქალაქში

აგებულ მრავალსართულიან ტაძარს? 14. ქალაქი სადაც დაიბადა ისლამის ფუძემდებელი? 20. რა ეწოდება ხატოვან დამწერლობას? 21. ვინ გაშიფრა პირველად ლურსმნული დამწერლობა, მისი გვარი? 22. როგორ წარმოითქმოდა ხეთურად – ღვინო? 23. ქალაქი სადაც იწყებოდა „აბრეშუმის დიდი გზა" ? 25. რა ეწოდება არაბეთის ყველაზე ნაყოფიერი მხარის სამხრეთ დასავლეთ ნაწილს, რომელსაც „ბედნიერ არაბეთს" ეძახიან?
27. მეორე ვარნაში გაერთიანებული მეომრები და მოხელეები ძველი ინდოეთის სამეფოში.

ვერტიკალურად: 6. რას ეძახდნენ ეგვიპტელები კლდის სიღრმეში მოთავსებულ სამარხს? 7. რომელი მეფის დროს იყო ბაბილონი ყველაზე ძლიერი. 8. ეგვიპტელების ერთადერთი მდინარე? 10. ეგვიპტის პირველი ფარაონი? 12. ვინ მეფობდა ქრისტეშობამდე 604-568 წ.წ.-ში იერუსალიმში? 13. რა ერქვა რუსუდანის ქალიშვილს, რომელიც მიათხოვეს მონღოლეთის სულთანს? 15. რომელმა ბერძენმა მეცნიერმა დაადგინა, რომ მთელი სამყარო ატომებისაგან შედგება? 16. რას უწოდებდნენ ძველ საბერძნეთში „სიბრძნისმოყვარულებს" ? 17. რას ეძახდნენ უხუცესთა საბჭოს ძველ რომში? 18. რას უწოდებდნენ ეგვიპტელები ქვის კუბოს? 19. პირველი ექიმი, რომელმაც ადამიანის ავადმყოფობის მიზეზებად ბუნებრივი მოვლენები მიიჩნია. 24. ვინ გასცა 1832 წლის ქართველთა აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ? 26. რას ეძახდნენ მომთაბარე მხედრებს? „უდაბნოს შვილი" ანუ... 28. რას ეძახდნენ ეგვიპტელები თავის (ქვეყანას) საცხოვრებელ ადგილს? შავ ქვეყანას ანუ... 29. რომელ ქალაქში მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა 1918 წელს?

კროსვორდის გასაღები

ჰორიზონტალურად: 1. საგდუხტი, 2. თეოდორა, 3. კვალი, 4. ქიქოძე, 5. ლერწამი, 9. სინახერიბი, 10. მესოპოტამია, 11. ზიკურათი 14. მექა, 20. პიქტოგრაფია, 21. გროტეფენდი, 22. ვიანა, 23. სიანი, 25. იემენი, 27. ქშატრიები.

ვერტიკალურად: 6. აკლდამა, 7. ჰამურაბი, 8. ნილოსი, 10. მენესი, 12. ნაბუქოდონოსორი, 13. თამარი, 15. დემოკრიტე, 16. ფილოსოფოსებს, 17. სენატი, 18. სარკოფაგი, 19. ჰიპოკრატე, 24, იასე, 26. ბედუინი, 28. კემეს, 29. პარიზი.

როგორც ვხედავთ ამ კროსვორდებს იდეალური გეომეტრიული მოწესრიგებულობა არ ახასიათებთ, მაგრამ თავისთავად მეტად მნიშვნელოვან ნაშრომებს წარმოადგენენ. არის ხარვეზებიც შეკითხვის დასმის თუ სხვა თვალსაზრისითაც. ვთვლით, რომ მათ შორის IV კროსვორდი ყველაზე კარგია.

კონკურსმა გამოავლინა გამარჯვებული გუნდი.

* * *

VII კლასში ხდება შუა საუკუნეთა შესწავლა. ვფიქრობთ, ისტორიული სააზროვნო არეალი, აქ, ბიზანტიის დაცემით კი არ უნდა შემოისაზღვროს, არამედ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქამდე უნდა გავრცელდეს.*

ევროპის ერთ ქვეყანაში განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ახალი გზების ძიება. ეს ქვეყანაა პორტუგალია. რა იყო ამ ძალისხმევის გამომწვევი მიზეზები? რა იმპულსები წარმართავდა ადამიანებს ახალი ფათერაკების საძებნელად? რა ხდებოდა პორტუგალიაში იმ დროს? ძალიან ზერელე იქნება პასუხის იმგვარად გაცემა, როგორც ეს იყო სასკოლო სახელმძღვანელოებში: სავაჭრო–ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს

---

* ნაშრომი უკვე შესრულებული იყო როცა ზემოხსენებული ხარვეზი გამოსწორდა და გეოგრაფიული აღმოჩენებიდან რეფორმაციის ჩათვლით პერიოდი აღდგენილ იქნა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოში (იხ. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, II გამოცემა, თბ., 1997 წ., გვ. 7-44. 15 პარაგრაფი). მიუხედავად ამისა თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ქალაქის მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ მეთოდურ რეკომენდაციებში კვლავ ძველი პროგრამის მიხედვითაა წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა (მეთოდური რეკომენდაციები და გაკვეთილების თემატური დაგეგმვა ისტორიაში, 1997-1998 სასწავლო წელი, თბ., 1997). ცვლილება გამოიწვევს IX კლასის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს განახლებასაც. ვთვლით, რომ ზემოთქმულის მიუხედავად ჩვენს შენიშვნას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ახალი გეოგრაფიული აღმოჩენები. თურმე, დარიჩინისა და პილპილის (საერთოდ, სანელებლების) გარეშე ევროპას გაძლება არ შეეძლო. ამგვარი ინტერპრეტაცია, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობაა და ღიმილს იწვევს. ახალ სახელმძღვანელოებში კი დიდი გეოგარფიული აღმოჩენების ეპოქა, XVI-XVII საუკუნეები, მთლიანად ამოღებულია.*

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპიცენტრი იყო ევროპა. მთელი ეს კულტურულ-ისტორიული ეპოქა რაღაცნაირად ჰგავს ჯვაროსნული ლაშქრობის დროებას. ჯვაროსნულ ლაშქრობათა მიზეზიც ხომ ქრისტიანობის წარმომშობი წმინდა ადგილების მტერთაგან გამოხსნა და მოხილვა იყო. ჯვაროსნული ეპოქა იყო ევროპული ცივილიზაციის ჩიხიდან გამოსვლის, ამოქმედების ეპოქა. ახალი რეალიები, ქრისტიანობის განსამტკიცებლად, ჰაერივით ესაჭიროებოდა ევროპას. ამისთვის, მიზნად დაისახეს მისულიყვნენ იესო ქრისტეს ფეხდადგმულ წმინდა მიწაზე — პალესტინაში. ევროპულმა ქრისტიანობამ ძალა დაკარგა. მღვდლები და მღვდელმთავრები ხედავდნენ,

---

* ეს ნაწილი, როგორც ზემო შენიშვნაში ითქვა, აღდგა ისტორიის სასწავლო პროგრამაში, მაგრამ არა VII კლასის პროგრამაში, არამედ- VIII კლასისაში. თუმც გეოგრაფიული აღმოჩენების უმთავრეს მიზეზად ამ ახალ გამოცემაშიც ისევ ის ძველი შეხედულებაა მოხმობილი. გეოგრაფიულ აღმოჩენებს საფუძვლად დადებია შემდეგი ფაქტორი: „ჯვაროსნული სულით განსჭვალულ ევროპელებს, რომლებსაც არ უნელდებოდათ სიმდიდრის მოპოვების და ქრისტიანობის გავრცელების სურვილი, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ძალზე გაუჭირდათ ვაჭრობა ინდოეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან. თურქებმა ხელთ იგდეს აღმოსავლეთისაკენ გამავალი სავაჭრო გზები, შორეული აღმოსავლეთის ბრწყინვალე ნაწარმი და სანელებლები ევროპაში ძალიან გაძვირდა. ამასთან, ევროპაში გამოილია ოქრო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიედინებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რადგან ძვირფას საქონელზე იცვლებოდა". (კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 1997 წ. გვ. 7-8).

რომ მათ სიტყვას, მორალურ შეგონებებს, სწავლებას საზოგადოება გულგრილად ხვდებოდა. საჭირო იყო ძალა, რომელიც კვლავ აღორძინებდა მინავლებულ სარწმუნოებას. სასულიერო პირებმა წარმოიდგინეს, რომ ქრისტეს საფლავის ხილვა და მისი დაცვა იქნებოდა ის მსოფლიური მისია, რომელიც „დამდგარ წყალს" აამოძრავებდა. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ დიდი სისხლისღვრის ფასად შეიძლებოდა პალესტინის კვლავ დაბრუნება. მათ სწამდათ, თუ მესსა იერუსალიმში აღსრულდებოდა, მაშინ ათასობით სამსხვერპლო ზვარაკად შეწირულნი, წმინდანთა სულებად იქცეოდნენ და თავიანთი სისხლით ქრისტიანობის ბალავრის განმამტკიცებლად შეიქმნებოდნენ.

მსგავსი მოვლენები, არც გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქისათვის იყო უცხო. ამას ემატებოდა რენესანსული მსოფლაღქმაც, თეოცენტრიზმი შეიცვალა ანთროპოცენტრიზმით. ქრისტიანობამ დაკარგა ძალები. საჭირო იყო მისი აღორძინება. პორტუგალიური აღმოჩენების ეპოქა (1418–1460) დაკავშირებულია პრინც ენრიკ ზღვაოსანის სახელთან. მისი მიზანი იყო ინდოეთში მისვლა მეფეხუცეს იოანეს სანახავად, რაც, თავისთავად, მთელი ევროპული ქრისტიანობის განმტკიცების გარანტი იქნებოდა. ამ დროისათვის ევროპულ და, განსაკუთრებით, პორტუგალიის ღვთისმეტყველებაში ჩამოყალიბდა სწავლება, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთის რომელიღაც შორეულ ქვეყანაში (ინდოეთი) არსებობდა წმინდა ადგილი, სადაც ჭეშმარიტი ქრისტიანობა დასაბამისეული წლებიდან არსებობდა. ამ ქვეყანაში დღემდე ცხოვრობდა ადამიანი, რომელიც პირველი ქრიტიანი იყო და იცოდა საიდუმლოება უკვდავებისა. ეს გახლდათ მეფე-ხუცეს იოანე, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანობის მეცნიერი გახლდათ. ევროპის ქვეყნების სიძლიერე დიდად იყო დამოკიდებული ამ ადამიანის ნახვასა და მისგან საიდუმლო სიბრძნის შეთვისებაზე. საქმე დასწრებაზე იყო ახალ ქრიტიანულ სიქველეთა თავგადასავლების ძიებაში. ევროპულ სახელმწიფოთაგან პირინეის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოები უძლეველი ფლოტის მფლობელნი იყვნენ 1588 წლამდე[50]. XIII საუკუნიდან – ესპანელებმა არაბებს წაჰგვარეს თავიანთი ტერიტორიები, ხოლო XIV საუკუნიდან პორტუგალიელებმაც. XIV–XV საუკუნეების განმავლობაში პორტუ-

გალიელები არაბებთან ომს განაგრძნობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაშიც. ამ ომის განმავლობაში შეიქმნა დიდი ფლოტილია. 1415 წლიდან კი იწყება აქტიური მზადება პორტუგალიელთა მესიანისტური მისიის აღსასრულებლად. ენრიკ ზღვაოსანი აარსებს „კაპიტანთა სკოლას". აქ ისწავლება ყველაფერი, ზღვაოსნობასა და ხანგრძლივ ექსპედიციებთან დაკავშირებით. ახალი თაობა შუაგულ ზღვაში გასასვლელად ემზადება. ასეთი ტიპის სასწავლებლის დაარსებას საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული მსოფლმხედველობისათვის. მანამდე ნაოსნობა მხოლოდ სანაპირო ზოლის გასწვრივ შეიძლებოდა. იმ დროის მეცნიერებს ჰიდროსამყაროზე თავისებური წარმოდგენები ჰქონდათ. „კაპიტანთა სკოლაში", ახალ შეხედულებებთან და დაკვირვებებთან ერთად ისწავლებოდა კლავდიუს პტოლემეუსის* „ალმაგესტი" **. ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზღვაოსნობისა და დედამიწის პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრისათვის. ციურ სხეულთა მდებარეობის წინასწარი გამოთვლისათვის. მოცემული იყო 1022 ვარსკვლავის კატალოგი, რომელიც გაშლილ ზღვაზე ორიენტირებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა [51]. XV საუკუნის ევროპა ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა სამყაროს გეოცენტრული სისტემის თვალსაზრისზე [52]. ეგონათ, რომ დედამიწა ბრტყელია, მის შუაგულში მიწაა, რომელიც გარემოცულია წყლით. მიწა წყლის შუაგულშია და იგი ცენტრია თვით ციურ მნათობთათვისაც. მაშინ ასე ამბობდნენ, თუ ზღვაში ღრმად შეხვალ, საბოლოოდ მიაღწევ დედამიწის უკიდურეს წერტილს. იმის იქით გზა აღარ არის და თუ ვინმე ჯიუტი მეზღვაური მაინც განაგრძობს გზას, იგი გადავარდება დედამიწის ზედაპირიდანო. მაშინდელი მეცნიერების რწმენით, ვერც-ერთი მეზღვაური, რაგინდა რა ჯიუტიც ყოფილიყო, ვერ მიაღწევდა დედამიწის კიდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო,

---

* Ptolemaios მოღვაწეობდა დაახლოებით 127–151 წლებში, უმთავრესად ალექსანდრიაში.

* Almagestum (არაბ. არტიკლი ალ. Megiste ბერძნ. -უდიდესი) – ასტრონომიული ნაწარმოები 13 წიგნად („Megiste Syntaxis" – „უდიდესი აღნაგობა").

რომ რაც უფრო დაშორდებოდა ხმელეთს, შევიდოდა ზღვის სიღრმეში, აღმოჩნდება ქელატინის* მაგვარ კონსისტენციაში. მიაჩნდათ, რომ იქ, რამდენიც უნდა მოუსვა ნიჩბებს, ხომალდი ადგილიდან არ დიძვრება. თუ აფრიანი ხომალდია, აფრის გაშლა სწრაფად მოუვლენს ასეთ ჯიუტ მეზღვაურს სიკვდილს, რადგან ქარი წინ კი არ წაწევს ხომალდს, არამედ როგორც ბურთს, ისე გააგორებს ზღვის ზედაპირზე, ე.ი. გემს გადააყირავებს. ასე რომ, ცოცხალთაგან ჯერ არავის მიუღწევია დედამიწის კიდისათვის და ვერც მიაღწევს. კმაყოფილებით იფშვნეტდნენ ბრძენები ხელებს და თან არაორაზროვნად იღიმებოდნენ. მაგრამ სრულიად ორაზროვნად იცინოდა ამ გულუბრყვილობებზე ენრიკ ზღვაოსანი. „კაპიტანთა სკოლა“ ცდილობდა სარწმუნოებრივი შურით დაეძლია ცრუმეცნიერული სწავლების დოგმები და აღმოეჩინა ინდოეთისკენ სავალი გზა. ძველი სახმელეთო გზით მავალნი, ვერ მივიდნენ მეფე-ხუცეს იოანეს სამყოფელამდე. პორტუგალიელთა მონდომება დამთავრდა იმით, რომ XV საუკუნის 40-იან წლებში** მათ უკვე აღმოაჩინეს ინდოეთისაკენ სავალი საზღვაო გზა. ამ ექსპედიციების მარშრუტი გვეუბნება, რომ მიუხედავად ენრიკ ზღვაოსნის ზემოხსენებული დამოკიდებულებისა, იგი მაინც უწევდა ანგარიშს იმდროინდელი მეცნიერების შეხედულებებს: ხომალდები არ გასცილებიან სანაპირო ზოლს მთელი მოგზაურობის განმავლობაში (ალბათ „ქელატინში“ ჩაფლობის ეშინოდათ). დღეს ეს ჩვენში ღიმილს იწვევს, მაგრამ მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამეთუ, ყველაფერთან ერთად, ადამიანი პირველად იქმნიდა წარმოდგენას დედამიწის სიდიდის შესახებ. ისე როგორც ჯვაროსნებს, პორტუგალიელ მეზღვაურებსაც გაუცრუვდათ იმედები. მათ, რა თქმა უნდა ვერ ნახეს მეფე-ხუცეს იოანე, მაგრამ ნახეს საოცარი ქვეყანა— ინდოეთი. ევროპაში კი დაიწყეს ფიქრი მითიური იოანეს სამყოფელისაკენ ახალი გზების ძიებაზე, რამაც ისევ გაუცრუვა ევროპას იმედები ამერიკის აღმოჩენის

---

* ქელატინი— თხევადი და ნახევრადთხევადი ფაფისებრი ნივთიერებაა. ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება, რომლის ხსნარი გაციებისას იქცევა ლაბად.

** 1446-47 წლები.

შემდეგ. ამ ორმა, დიდმა იმედგაცრუებამ ევროპა მიიყვანა დასკვნამდე, რომ არავითარი მეფე-ხუცეს იოანე არ არსებობს და მისი ქვეყანაც მოგონილი, ნატყუარობაა.

ზემოთ აღვნიშნეთ და აქაც გავიმეორებთ, რომ მთელი ეს ისტორიული მოვლენები, 12 წლის ასაკში, მოსწავლეებმა უნდა გაიცნონ ჯვაროსნული პროცესებისადმი პარალელების გავლებით. ჯვაროსანთა მთავარი მისწრაფება იყო იესო ქრისტეს საფლავის გამოხსნა მუსულმანთა ხელიდან. ისინი საუკუნეთა წინ დაგმანული საფლავის მიღმა მთვლემარე იესო ქრისტეს მოელოდნენ. თავიანთი თავი იესო ქრისტეს მხედრებად მიაჩნდათ და ევროპის მინავლებული ქრისტიანობის გამომღვიძებლად წარმოსდგებოდნენ. დაუნდობელი და სისხლიანი ბრძოლების შემდეგ, 1099 წლის აღდგომის კვირაძალს, იერუსალიმი ჯვაროსნების ხელთ იყო. მოწიწებით გაიხსნა დაუნჯებული საფლავი. დიდი იყო მთელი საქრისტიანოს სიხარული, მაგრამ მალე მოიცვა ისინი ჭმუნვამ ცარიელი საფლავის ხილვის გამო. საბოლოოდ მთელი ლაშქრობა იმედგაცრუებით დასრულდა. XV საუკუნეშიც იგივე განმეორდა. მეფე-ხუცეს იოანეს ხილვის დიდი მოლოდინი ფუჭი გამოდგა.

ქართულ სახელმძღვანელოში გამოკვეთილი ადგილი უნდა ეკავოს ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებას იმდროინდელი კულტურულ-სააზროვნო რეალიების მიმართ. არ უნდა გამოგვრჩეს ქართული ქრისტიანული სამყაროს როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ქრისტიანობაში. სასკოლო სახელმძღვანელოში[53] ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის და ჯვაროსნული ეპოქის საქართველოს საკითხებს ცოტაოდენი ადგილი ეთმობა. მაგრამ, როგორც მთელი წიგნი, ისე ეს თემაც, არ ჯდება ერთიან სააზროვნო სისტემაში. წიგნში ერთმანეთისგან გამოყოფილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ენციკლოპედიური ცოდნაა მოცემული და საცნობარო საძიებელს გვაგონებს. სახელმძღვანელო აგებულია პრინციპით – „ცოტ-ცოტა ყველაფრის შესახებ“. არ ხდება ფაქტების ურთიერთგანმაპირობებელი, მაკავშირებელი და წარმმართველი ძალების გამოკვეთა. საკითხები არაა მოზაიკურად განლაგებული ე.ი. ზოგადსაკაცობრიო სულიერი იდეალები და სხვადასხვა სახელმწიფოებში მათი ერთიანობა უყურადღებოდაა დარჩენილი. თუ არა ეს, სხვა რით შეიძლება ავხსნათ საქართველოს

აგრერიგად მნიშვნელოვანი როლის უგულებელყოფა. შუა საუკუნეების ეპოქაში ქრისტიანობა მარტო რელიგია არ ყოფილა, ის იყო აზროვნება და ცხოვრება. ქრისტიანობა განაპირობებდა პოეტურ ქმნილებათა, არქიტექტურულ კომპლექსთა, მატიანეთა, პოლიტიკურ მიმართებათა სააზროვნო არეალს. ამ არეალში კი, არც თუ უკანასკნელი, ადგილი ეკავა საქართველოს. ისეთი საკითხები, როგორიცაა: იესო ქრისტეს კვართის შემოტანა, ქრისტეს მოციქულთა შემოსვლა, წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ვახტანგ გორგასლის მიერ ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება, ასურელი მამების შემოსვლა, ბაგრატოვანთა ესენიან – დავითიანი ბიბლიური შტოს აღსაყდრება და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა, დავით აღმაშენებლის და თამარის ეპოქა, მონღოლთა შემოსევები, საქართველოს დაშლა სამეფოსამთავროებად – მსოფლიო ისტორიულ მოვლენათა თანხვედრილად უნდა განიხილებოდეს. უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ამბების ადგილი მსოფლიო ისტორიულ პროცესებში.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რომლითაც იწყება შუასაუკუნეების ეპოქა ჩვენს ქვეყანაში,[54] მოსწავლეებმა მთელი თავისი ისტორიული მრავალფეროვნებით უნდა აღიქვან. III–IV კლასებში მოთხრობილი ამბები ახალი სიცხადით უნდა აღდგეს მათს მეხსიერებაში. აქ, წმინდანის (წმ. ნინო) ხატი უნდა აღიწეროს როგორც ქრისტიანობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანის, მაგრამ ამჯერად დაკარგულის, კვართის მძებნელისა. ის პრობლემა, რაც ევროპელი ჯვაროსნების წინაშე დადგა, ახალი არ იყო ქრისტიანული სამყაროსათვის. სამასი წლის განმავლობაში დევნილმა ეკლესიამ IV საუკუნის დასაწყისში როგორც იქნა მოიპოვა ლეგალიზაცია. სწორედ ქრისტანობის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართვამ გამოიწვია იესო ქრისტეს, მისი მოციქულებისა და მისი ეკლესიის რეალურობის დამადასტურებელი ისტორიული ფაქტების წყურვილი. ამის მაგალითია ელენე დედოფლის მოგზაურობა იერუსალიმში და ცხოველმყოფელი ჯვრის პოვნა გოლგოთის მთაზე, მოციქულთა და წმინდანთა ნაწილების ტაძართა საკურთხევლებსა და საჩინო ადგილებში დაკრძალვა. ასეთადვე წარმოსდგება იესო ქრისტეს კვართის პოვნის ამბავიც. იესო ქრისტეს კვართის საქართველოში ყოფნა და სვეტიცხოვლის დაფუძნება ჩვენს ქვეყანას მსოფლიო

ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანეს რეგიონად აქცევს. თვით სვეტი-ცხოვლის სახელწოდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ღვთის სახელდების ქართულად ადაპტირებულ სიტყვას „მაცხოვარ"-ს გამოხატავს (რ. სირაძე). სვეტი-ცხოველი შემაერთებელია ცისა და მიწისა. იგია უკვდავი, მარადიული სული, რომელიც უფლის კვართის დაკრძალვის ადგილს - წმინდა მიწას დაუკავშირდა. ესაა სული იესო ქრისტესი და სვეტი-ცხოველი თავად იესო ქრისტეა. კვართის დაკრძალვის ადგილას ამოსული ხე – ესაა ხე სიცოცხლისა, კოსმიური ხის, მსოფლიოს უნივერსალური კონცეფციის გამოხატულების სიმბოლო. იგია ზეცის, ქვეყნის და ქვესკნელის შემაერთებელი.[55] ეს საკითხები კარგად უნდა გაიგონ მოსწავლეებმა „წმინდა ნინოს ცხოვრებიდან".

ამის შემდეგ, ყურადღება უნდა მივაპყროთ ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის ნაწარმოებს. აქ, ვახტანგ გორგასლის ყრმობისას, ქართლის სამეფოზე დამტყდარ უბედურებათა მიზეზად გამოცხადებულია ერის მიერ ქრისტიანულ სარწმუნოებათა და იოანეს მცნებათა უგულებელყოფა: „განვამრავლენით ცოდვა ღმრთისა მიმართ და არა კეთილად ვიპყარით სჯული ქრისტესი და წესი იოანეს მცნებისა. სამართლიანად მოაწია ღმერთმან ჩვენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენად უცხოთა ნათესავთა, და მიგვიღო ჩუენ საზღური ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვათაგან"[56].

ჯვაროსანთა ეპოქაში წარმოშობილი თქმულება ინდოეთის ძლიერი ქრისტიანული სამეფოსა და იქ მეფე-ხუცეს იოანეს პიროვნების შესახებ დავით აღმაშენებლის სახელს დაუკავშირეს ფრანგმა ჯვაროსნებმა. „იოანე ხუცესის" დიდი იმედი ჰქონდათ ამ გაჭირვებულ ჯვაროსნებს (იგულისხმება დამიეტის ომის ხანა – 1219-1221. ასევე, IV-V ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილენი) და იფიქრეს, რომ ეს განთქმული და საიდუმლო იოანე-ხუცესი და „დავით მეფე" ერთი პირია. ევროპელთა იმდროინდელ ქრონიკებში არა ერთხელ იხსენიება „მეფე დავით, იოანე-ხუცესად წოდებული"![57].

სვეტი-ცხოვლის ტაძრის, იოვანეს მცნებათა წესის მპყრობელობის, მეფე-ხუცეს იოანე-დავითის, ასევე „ანსოს ჯვარის" [58] და სხვა მოვლენები [59] ცხადყოფენ, რომ საქართველო ევროპის მოკავშირეა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დავითის დროინდელი საქართველო მართლაც რომ ჯვაროსნულია. ის ევროპის მშველელია და თანამებრძოლი. საქართველო ერთიანი ევროპული კულტურულ-ისტორიულ და ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ სააზროვნო არეალში ჩნდება. უფრო მეტიც, ვროპელთა ნანატრი აღმოსავლეთის პირველქრისტიანული ქვეყანა შესაძლოა საქართველოც იყოს.

ახალი საკითხი, რომელზედაც ჯვაროსანთა ეპოქის შესწავლისას უნდა გამახვილდეს ყურადღება, არის მთელი სამყაროს თავიანთ სამშობლოდ გამოცხადება. ევროპელი ჯვაროსნებისათვის წმინდა მიწაა სამშობლო, თუნდაც, რომ მასთან არანაირი ეთნიკური ნათესაობა არ გააჩნდეთ. ჯვაროსნობა ამასაც ნიშნავს. ჯვაროსნობის ამგვარად გაგება ქართველთათვისაც არ ყოფილა უცხო. თუ გავიხსენებთ ეგვიპტის, პალესტინის, იერუსალიმის, საბაწმინდის, სინას, ანტიოქიის, შავი მთის, ათონის, პეტრიწონის ქართული კულტურის სავანეებს დავინახავთ, რომ იქ მოღვაწე წმინდა მამები უსამშობლო ცრუკოსმოპოლიტები ან შოვინისტი აგენტები და იდეოლოგიური დივერსანტები, კი არ არიან, არამედ, ეს ის ხალხია, რომელიც დიდი რუდუნებით აშენებს ღვთის ტაძარს წმინდა მიწაზე, რომელიც მათი უპირველესი სამშობლო გამხდარა.

კიდევ ერთი საკითხი. ბიზანტიის კულტურულ-ისტორიული წვლილის შესახებ და ირანთან მის დაპირისპირებაზე როდესაც ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული პოლიტიკური იდეის, ეროვნული ენერგიის სრულფასოვანი გამოვლენისათვის ბიზანტიის გავლენისაგან თავდაღწევა, ისევე როგორც ირანისაგან, აუცილებელიც კი იყო. ნაწილობრივ, ეს დავითის დროს მოხდა, ხოლო თამარის ეპოქაში პოლიტიკურადაც გაფორმდა, საქართველოსა და ბიზანტიას შორის, ბუფერული, ტრაპიზონის იმპერიის შექმნით (1204-1461).

## აღორძინების ეპოქა

რენესანსი - აღორძინება ახალი ჰორიზონტების გახსნით ხასიათდება. რენესანსის ნიშნებია: „დიდი ჰუმანიზმი, სამყაროსა და ადამიანის აღმოჩენა, ანტიკის აღორძინება. მათ მიღმა კიდევ ბევრი რამ რჩება“.[60] იტალიური ჰუმანიზმის მწვერვალი, დანტე ალიგიერი (1265-1321) პირველად შემოდის 12 წლის ასაკის ადამიანის ცნობიერებაში: შემოვა უბრალო, დეკლარილებული ინტონაციით, თუ შეარხევს უაღრესად ფაქიზ და მგრძნობიარე გულს მოსწავლისას, მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. რაში მდგომარეობდა იტალიური რენესანსი? ეს რომ წარმოვიდგინოთ, „ღვთაებრივი კომედიაც“ იკმარებდა. ამიტომ, ვგონებთ, ზედმეტი არ იქნება მოსწავლეები გაეცნონ ამ ქმნილების შინაარსს მაინც. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანტიკური, რომაული და ადრექრისტიანული ხანის ისტორიული რეალიები უკვე შესწავლილი აქვთ VII კლასის მოსწავლეებს.ამდენად,„ღვთაებრივი კომედიის“ ფონზე სწორედაც რომ სასურველი იქნება განვლილი მასალის ხელახალი გახსენება და მეხსიერებაში აღდგენა. დანტეს ჰუმანიზმი აღსავსეა ადამიანის ძალებისადმი რწმენით. ადამიანი თვითონვეა თავისივე ბედის მკერავი. აქ, გადამწყვეტია მხოლოდ მისი პიროვნული ღირებულებანი. აზრის შემდგომმა განვითარებამ ფლორენციელი გენიოსის მიერ დასმული პრობლემა (ხოლო უფრო ადრე არამულენოვანი ფილოსოფოსის ავეროესის – 1126-1198) ნეოპლატონიკოსებში გადაჭრა. ეს იყო ფილოსოფიისა და რელიგიის მიმარ-

დანტე ალიგიერი
(1265-1321)

თებათა საკითხი. ფილოსოფია ღვთისმეტყველების მოსამსახურე კი არა „რელიგიის მეცნიერია". ამ პერიოდში ხდება „მეცნიერების თვითმყოფადი ფასეულობის აღიარება ორმაგი ჭეშმარიტების – რელიგიური და მეცნიერული ჭეშმარიტების პარალელური არსებობის აღიარებით"[61].

XV საუკუნის ნეოპლატონიკოსის პიკო დელა მირანდოლას შემოქმედებაში ადამიანის პრობლემა მთელი სიცხადით დაისვა. მისი ჰუმანიზმი ანთროპოცენტრისტულია– სამყაროს ცენტრშია ადამიანი. ადამიანის ბუნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ცხოველური ბუნებისაგან. იგი ისწრაფვის ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ. ადამიანის ბედი ვარსკვლავთა განლაგების კი არა, თვით ამ ადამიანის თავისუფალი ქმედების შედეგია. ადამიანს აქვს ნება თავისი პიროვნების ქმნადობისა.[62] პიკო დელა მირანდოლა რენესანსული მსოფლმხედველობის ანთროპოლოგიურ სუმმას იძლევა: „არ განიჭებ შენ არც გარკვეულ ადგილს, არც რაობას, არც განსაკუთრებულ მოვალეობას, რათა შენი ადგილიც, რაობა და მოვალეობანიც შენ თვითონ განსაზღვრო შენივე საკუთარი სურვილით, შენი ნების შესაბამისად. სხვა ქმნილებათა რაობა განსაზღვრულია ჩვენ მიერ დადგენილი კანონებით. შენ კი შეუზღუდელი ხარ და შენ თვითონ განსაზღვრავ და შენი თავის უფროსიც შენა ხარ. მე შენ გაყენებ სამყაროს ცენტრში, რომ შენ აქედან იხილო ყველაფერი, რაც კი რამაა ამქვეყნად"[63]. ასე მიმართავს ღმერთი ადამიანს. ყველაფერს თავის ადგილი აქვს ამ ცისქვეშეთში მიჩენილი. ცხოველნი მიწაზე დასხა ღმერთმა, ფრინველნი ჰაერში, თევზნი–წყალში, ანგელოზნი ზეცაში. ადამს კი, იმ ერთ–ერთ არსებას, რომელსაც შესწევდა უნარი დაეფასებინა ღვთის შემოქმედება ადგილი არ შეხვდა ამ ცის ქვეშეთში.* თუკი ადამიანი თავისი ძალისხმევით თავს დაიმკვიდრებს მისი ადგილი ყველგანაა. ადამიანი თავის თავის განმგებელია, ადამიანს თავისი თავი თვითონვე ეკუთვნის. ადამიანი თვითონვე ძერწავს თავის თავს,

---

* შეადარე „ჰრქუა მას იესო: მელთა ჴრელი უჩანს და მფრინუელთა ცისათა საყოფელი; ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრკოს" (მათე 8,20).

თვითონაა თავისი თავის სკულპტორი. ადამიანს შეუძლია მცენარეთაც დაემგვანოს და ცხოველთაც, ერთის მიმართ ლტოლვაც მოიკლას და მეორისაც. შეუძლია სულაც ვეგეტარიანელი იყოს ანდა ანგელოზური მაღალი განვითარების არსებად იქცეს და, სულაც, თვით ღმერთს ემსგავსოს. პიკო დელა მირანდოლას განზომილებით ადამიანს ყველაფერი შეუძლია თუ მას შრომის უნარი და ნიჭი შესწევს.

ამ ზოგადი მონახაზის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გაიცნონ რენესანსული ხელოვნების ნიმუშები. რაფაელის, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, ჯოტოს, ტიციანის, ჯორჯონეს და სხვათა სურათების რეპროდუქციები. ასევე, დონატო ბრამანტეს (წმ. პეტრე, ტაძარი რომში), მიკელე სანმიკელის, ბრუნელესკის („პალაცო პიტი" – ფლორენცია) და სხვათა არქიტექტორული ნაგებობების რეპროდუქციები ისეთივე გავლენას ახდენს მოსწავლეებზე, როგორსაც პორტუგალიელთა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა. შემოქმედთა მიზანია ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევა. თითქოს მათ თავიანთი ნახატებითა და არქიტექტურული კომპლექსებით სურდათ მსოფლიოს დაპყრობა, თითქოს ყოვლისმომცველი, ყველაფრის დამტევია ეს ხელოვნება. გხიბლავს, გიტაცებს და, იმავდროულად , თავზარს გცემს. რენესანსული სულის ადამიანი მყარად დგას დედამიწაზე. მას არ სჭირდება საყრდენის საძებნელად იერუსალიმში ან ინდოეთში წასვლა, მსგავსად შუა საუკუნეების ადამიანებისა. რენესანსული ეპოქის ადამიანის სამშობლოა მთელი დედამიწა, ესაა მისი სამყარო. ადამიანის გამიწიერების თვალსაზრისით დიდი ნაბიჯი გადაიდგა, ამით ის კიდევ უფრო დაშორდა ღმერთს, ზოგჯერ დაუპირისპირდა კიდეც. (გავიხსენოთ, რომ ამ ასაკში განსაკუთრებით აქტიურდება ინტელექტი და ადამიანში გარდატეხის პერიოდი დგება).

ევროპა ამ დროს სამი ნაწილისაგან შედგება. **დასავლეთ ევროპაში** ოთხი მკვეთრად გამოხატული ეროვნული სახელმწიფოა: პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი. ჯერ, აქ, არაა სრულყოფილი სახელმწიფოებრიობა. ისინი წარმოადგენენ ეროვნულ მეფეებს. **ცენტრალურ ევროპაში** გერმანელი ერის საღვთო იმპერია. იგი გერმანიის მეფემ ოტო I (936-973) დაარსა 962 წელს,

იარსება 1806 წლამდე. გერმანია, იტალია, ჩეხეთი, ბურგუნდია, ნიდერლანდები, შვეიცარია ამ იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გერმანია დიდ კულტურულ ძვრებს განიცდიდა. გერმანული ფილოსოფიის სისტემატურობა და სულიერი სამყაროების ღრმა კვლევა იმთავითვე შესამჩნევი იყო (რაბანუს მავრუსი — 776-856, ნოტკერ ლაბეო — 950-1022, ალბერტ დიდი — 1193–1280). არისტოტელიზმი და ავეროესის მოძღვრება ორგვარ სიბრძნეზე, მისტიკით შეიცვალა. ამ გზას ეკჰარტი, ტაულერი, ზოიზე და სხვები დაადგნენ. გავლენა შემდგომ სულიერ სააზროვნო სივრცეზე იმდენად დიდი იყო, რომ თვით მ. ჰაიდეგერამდე მოაღწია.სწორედ შუა საუკუნეებში ჰქონდა ადგილი შპილმანების* და მინეზინგერების** პოეტობას. XIII–XV საუკუნეებში მაისტერზინგული და მისტიკური ლიტერატურული ნაკადები იქმნება, რომელიც XVI საუკუნეში ჰუმანიზმში ერთმანეთს შეერწყმის. არქიტექტურაში კაროლინგური აღორძინების გაგრძელებას წარმოადგენდა რომანული და გოტიკური სტილების ჩამოყალიბება. მხატვრობაში ა. დიურერის, ჰ. ჰოლბაინის, ლ. კრანახის, ფ.შტოსის, ა. კრაფტის და სხვათა ხელოვნებამ ჰუმანისტური პრინციპები დაამკვიდრა. ამ მზარდ წინსვლაში ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა გერმანელ ერზე თავსდატეხილი დიდი განსაცდელი, „რეფორმაცია“.

---

* შპილმანებს შუა საუკუნეების გერმანიასა და ავსტრიაში უწოდებდნენ მოხეტიალე მსახიობებს, მომღერლებს და მუსიკოსებს. თავიანთ ეპიკურ ნაწარმოებებში იყენებდნენ ძველ თქმულებებს, აღმოსავლურ და ბიზანტიურ ზღაპრულ მოტივებს. XIII-საუკუნიდან ქმნიან ქალაქურ მომღერალთა ამქრობებს.

** მინეზინგი –(გერმ. **Minne** –მიჯნურობა და **Singer** – მომღერალი) XII–XIV საუკუნეების ევროპული სარაინდო ლირიკის მიმდინარეობა. ცნობილი მინეზინგერი იყო ვალთერ ფონ დერ ფოგელვაიდე (XII–XIII -ის მიჯნა). იხ. გრ. ხავთასი, ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 147–166).

## რეფორმაციის ეპოქა

რეფორმაცია XVI საუკუნიდან იწყება და მთელს ევროპას მოიცავს, მაგრამ მისი მთავარი ცენტრი მაინც შუაგულ ევროპაშია. მთელი ეს მოძრაობა რომის კათოლიციზმის წინააღმდეგ იყო მიმართული და ევროპის ქვეყნებში ახალ, ეროვნულ, პროტესტანტულ ეკლესიებს უყრიდა საფუძველს. რეფორმაციის ფუძემდებელი მარტინ ლუთერი (1483–1546) გერმანულად თარგმნის ბიბლიას. ეს დიდი ეროვნული მოვლენაა. თავისთავად რეფორმაცია არ იყო შუაგულევროპული წინსვლის შემფერხებელი, არამედ ის საზოგადოებრივი სიტუაცია რაც მან გამოიწვია. მთავართა ძალაუფლებას დაუპირისპირდა რაინდობა (1522–23), ხოლო გლეხობა და ბიურგერობა დაუპირისპირდა ფეოდალურ სახელმწიფოებრივ მექანიზმს.* „საყოველთაო სარგებლიანობისა" და „ღვთაებრივი სამართლის" მოთხოვნით (Artikelbrief – „წერილი-თეზისები") ლივონიის ომები,** შმაკალდენის ომი***, აუგსბურგის ზავი****, ოცდაათწლიანი ომი***** რეფორმაციის მიზეზებით იყო განპირობებული და უკანასკნელ ომამდე გერმანია რელიგიურად გათიშული, ურთიერთდაპირისპირებული დატოვა. საბოლოოდ, გერმანიაში ეკლესიის მეთაურად გამოცხადდა მთავარი. ევროპის სხვა ქვეყნებში კი (სკანდინავიასა და ინგლისში)[64] – მეფე.

ჰენრი VIII-ის აბსოლუტიზმი ინგლისში დესპოტიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა. მან სიკვდილით დასაჯა თავისი ორი ცოლი[65], ეკლესია აიძულა მიეცა თანხმობა მესამე ცოლთან განშორებაზედაც და სხვა ქალი მოიყვანა. შუა ევროპაში კი რეფორმაციის ხანა, ჭიდილი კათოლიკურ და ევანგელისტურ მრწამსს შორის მთელი საუკუნე გრძელდებოდა და არავინ იცოდა რომლისკენ გადაიხრებოდა გამარ-

---

* 1524–1526 წლები.

** 1558–1583

*** 1546–1547

**** 25.IX 1555

***** 1618–1648

ჯვების სასწორის პინა. ეს კი, რაღა თქმა უნდა, დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებლად.

**აღმოსავლეთ ევროპაში** არის ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ტენდენციებიც და რეფორმაციული იმპულსებიც. კათოლიკურმა სამყარომ პოლონეთის რეფორმაცია ისე როგორც საფრანგეთში, კონტრრეფორმაციით მოაშთო, მაგრამ პოლონეთმა ვერ შეძლო ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. იგი თანდათან შთანთქა რუსეთის იმპერიამ. პოლონეთის ამგვარი ბედი გამოწვეული იყო იმით, რომ მყარად არ იდგა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ნიადაგზე. აქ, ისტორიული წარსულით გამოწვეული ზენაციონალური იდეალები ჩამოყალიბდა. დასავლეთ ევროპის ნაციონალურ ორიენტაციაზე მდგომმა ქვეყნებმა შესძლეს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ზენაციონალური ტენდენციების გამო სახელმწიფოდ ვერ შეინარჩუნეს თავი. ეს პარალელები დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური და ისტორიული რაობის განსაზღვრისათვის.

ამ მაგალითების მოხმობით, ჩვენ შეგვიძლია მოსწავლეებს დავანახოთ XVI–XVII საუკუნეების ევროპის სული. მისი უგულებელყოფა და, საერთოდ, ამოღება ისტორიის სასწავლო პროგრამიდან ყოვლად გაუმართლებელია.

მოსწავლეებში თანმიმდევრულად წარმოსდგება ევროპული აზრის განვითარების ისტორია. სამყაროს, მთელი ქვეყნიერების საკუთარ სამშობლოდ შეცნობამ რენესანსული სული აღორძინა, რასაც სამ ნაწილად გაყოფილი ევროპის პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივი შეხედულებები შეენაცვლა.

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაბატონებული თურქ-ოსმანთა იმპერიის ძლევამოსილ ნაბიჯებს შუაგულევროპისაკენ დიდი საფრთხე მოჰქონდა.

XVI-XVII საუკუნეებში ოსმანთა წინსვლამ ევროპაში საგანგაშო მდგომარეობა შექმნა. თურქეთის ფაქტორი დღემდე თავის სიტყვას ამბობს ევროპის მასშტაბით. უნდა გავიხსენოთ 1529 წელს სულთან სულეიმან კანუნის" ლაშქრობა და ვენის ალყა. ბიზანტიის დამაქცევარი, ძლიერების ზენიტში მყოფი თურქული იმპერიისათვის, ვენის

აღება, კიდევ ერთი ნაბიჯი იქნებოდა ევროპის ცენტრისაკენ. ვენის გარნიზონის, ბიურგერებისა და გლეხების გმირულმა წინააღმდეგობამ აიძულა სულთანი სულეიმან I ალყა მოეხსნა. საინტერესო ფიქრისა და განსჯის საგნად შეიძლება იქცეს მოსწავლეებისათვის ასეთი თემის მიცემა: „როგორი იქნებოდა ევროპა ვენაში თურქეთის გაბატონების შემდეგ". ეს თემა შეიძლება განმეორდეს VIII კლასშიც, როცა მოსწავლეები შეისწავლიან 1683 წლის ვენის ალყას და ვენის კლასიკოსებს.

საქართველოსთან მიმართებაში შეუძლებელია არაფერი ითქვას ირან-ოსმალეთის 1555 წლის 29 მაისის ამასიის ზავზე. ეს ზავიც სულეიმან კანუნის დროს დაიდო. იმ სულეიმან კანუნისა, რომელმაც ევროპა დიდად დააფიქრა თავისი ბედის შემდგომი განვითარების შესახებ. საქართველო სეფიანთა ირანმა და ოსმალეთმა, ზემოხსენებული ზავით, გავლენის სფეროებად გაინაწილეს. ირანმა ცნო ოსმალეთის უზენაესობა დასავლეთ საქართველოზე. სამცხე-საათაბაგოს მიწები ოსმალეთის განუყოფელ ნაწილად გამოცხადდა და ოსმალეთმა აღიარა ირანის უზენაესობა აღმოსავლეთ საქართველოზე. ქართველ მეფეთა შეურიგებელი ბრძოლა თურქთა და ირანელთა წინააღმდეგ ლუარსაბ I-ის (1527-1556) სვიმონ I-ისა (1556-1600) და იმერეთის მეფის ბაგრატ ალექსანდრეს ძის (1510-1565) სახეებში უნდა წარმოჩნდეს. საინტერესოა ამ უკანასკნელის დამოკიდებულება მთავრებთან, ხოლო დადიანისა და გურიელის მიერ ოსმალთა ქვეშევრდომობის მიღება[67].

ოსმალეთისაგან ვენის მეორე ალყის (1683 წ.) მოვლენების გასაგებად[68] უაღრესად მნიშვნელოვანია ოცდაათწლიანი ომის მიზეზების და შედეგების გაცნობა. 1618-1648 წლებში ევროპა ჰაბსბურგულ-კათოლიკურმა და ანტიჰაბსბურგულ-ევანგელისტურმა დაპირისპირებამ მოიცვა. ეს იყო დაპირისპირება საღვთო რომის იმპერიის იმპერატორსა და გერმანელ მთავრებს შორისაც. ამ ომს შედეგად მოჰყვა იმპერატორის ხელისუფლების დეკადანსი, მთავართა გაძლიერება. რომის საღვთო იმპერია სამთავროებად დაქუცმაცდა და დასუსტდა. ომიანობის დროს გამძვინვარებულმა ეპიდემიებმა, შიმშილობებმა, ნგრევამ მუსრი გაავლო მოსახლეობას (16 მილიონიანი გერმანელი მოსახლეობა 6 მილიონამდე შემცირდა). ჩაკვდა კულტუ-

**წმ. თამარ შვიდმნათობიერი ბეთანია**

რის განვითარება. ევროპის ბატონობა საფრანგეთის ხელში გადავიდა.

შუა საუკუნეების ეპოქის შესწავლაში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გამორჩევით უნდა დადგეს რენესანსის გაცნობის საკითხი. იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის სამშობლოში კი რენესანსული ჰუმანიზმის შესწავლა სწორედ ამ დიდი მოაზროვნეების სახელებიდან უნდა იწყებოდეს. რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველია ჰუმანიზმი. „თავისი ჰუმანისტური იდეებით რუსთაველი წინ უსწრებს რენესანსული ეპოქის გიგანტებს დანტესა და პეტრარკას"[69]. რუსთაველმა „შექმნა პოემა, რომელშიც რამდენიმე საუკუნით ადრე ასახა დასავლურ-ევროპული რენესანსის ჰუმანური იდეები და კეთილშობილური მისწრაფებანი"[70]. რენესანსი ადამიანური „მეს" ძიებაა. „ვეფხისტყაოსანში" ასახული დრამა პიროვნული „მეს" ძიების თავგადასავალია. ევროპა – საქართველოს რენესანსულ და სარაინდო იდეალთა მსგავსების, წარმოსაჩენად „ვეფხისტყაოსანი" ბრწყინვალე მაგალითად გამოგვადგება. რენესანსული აზროვნების ცენტრში, როგორც ზემოთაც ითქვა, ადამიანი დგას. ამ ეპოქის აზროვნება უფრო ადამიანზე ფიქრითაა დაკავებული ვიდრე ღმერთზე ფიქრით. ადამიანი, დანტე ალეგიერის თქმით, თვით ანგელოზებზედაც კი ამაღლებულია. საქართველოსთვისაც არ იყო უცხო ადამიანის განღვთაებრივების მსგავსი მოვლენა. უფრო მეტიც, იმპერიათა მემკვიდრეობის იდეის

გავლენით, საქართველოს თავის „ოქროს ხანაში“ ზესახელმწიფოებრივ, ეროვნულ, მესიანისტურ მისწრაფებებს ავლენდა. ამის დამადასტურებელია თამარის მეოთხე ჰიპოსტასად გამოცხადება ძველ ქართულ საისტორიო ანალებში: „აქა კჳლა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.[71] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ვე მოგვითხრობს უფლისწულის, გიორგი IV-ის, დაბადების ამბავს: „მიუდგა თამარი განწმედილთა გონებითა და ტაძარისა ღმრთის აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემს მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა“.[72] თამარი ღვთისმშობელ მარიამთანაა გათანაბრებული, მისი ძე კი ღვთის ძესთან იესო ქრისტესთან. ამრიგად, „ჩამოყალიბდა თამარის ღვთაებრიობის იდეა. თამარი ჩვენს წინაშე წარმოსდგა ვითარცა სახე-იდეა, ქართული რენესანსული ეპოქის განზოგადებული პერსონაჟი, მთავარი გმირი რენესანსული დრამისა“[73]. „ვეფხისტყაოსანშიც“ თამარი უაღრესადაა განდიდებული. თამარის გაღმერთება ადამიანის გაღმერთებასაც მოასწავებდა.[74] იმავდროულად, ამ მოვლენას საფუძვლად ედო დიდი ისტორიული და სულიერი გამოცდილება. აქვე უნდა გავიხსენოთ გელათის აკადემია, რომელიც ჰუმანისტური იდეოლოგიის კერა იყო. მსგავსად ევროპული მონარქების (ფრიდრიხ II შტაუფენი – 1212-1250 წ.წ, კარლ IV ლუქსემბურგი – 1346-1378 წ.წ. და სხვა) დავით აღმაშენებელმა XII საუკუნის დასაწყისში დაარსა გელათის აკადემია. ამ საქმის ხელმძღვანელად ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი დავით აღმაშენებელმა უცხოეთიდან მოიწვია. იოანე შავთელი გელათის აკადემიას „ახალ რომად“ იხსენიებს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.“

„მატიანის“ ცნობით კი გელათი დაარსებულ იქნა „ახალ ათინად“. „მესამე რომის“ თეორია თამარის დროს ქართულ ისტორიულ აზროვნებაშიც ამოტივტივდა. „პირველი რომი“ ძვ. წ. 754 ახ.წ. 476 წლების რომი იყო. „მეორე რომი“ – ბიზანტიის იმპერიაა, რომელიც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის (1204 წელი) მსხვერპლი შეიქმნა და მის ნანგრევებზე „ლათინთა იმპერია“ ჩამოყალიბდა.

„ახალი რომი“ „ახალი ათინა“ ეს იგივე „მესამე რომი“ – თამარის დროინდელი ძლევამოსილი საქართველო უნდა ყოფილიყო. მსოფლიო საკაცობრიო მისიის დამსახველი სახელმწიფოს მეთაურის განღვთაებრივება ამ ისტორიული ტენდენციის შედეგიც იყო. ასე გადაიქცა საქართველო ქრისტიანობის დიდ ქომაგად და ცენტრად. ესაა ევროპული რენესანსისაგან ქართული რენესანსის განმასხვავებელი ნიშანი. „საქართველოში რენესანსულმა ესთეტიკამ ადამიანი გაალმერთა, იტალიურმა რენესანსულმა ხელოვნებამ ღმერთი გააადამიანა“[75].

ადრინდელი ქრისტანები თუ ხატებში ამაღლებულ სულიერებას გამოარჩევდნენ, ევროპულმა რენესანსულმა ეპოქამ წმინდანთა ხორციელ სილამაზესა და ცხოვრებისეულ სიყვარულს გაუსვა ხაზი. როგორც ჩანს, ქართული და ევროპული რენესანსული მსოფლაღქმა ერთი და იგივე მოვლენისნაირგვარი ხედვაა.

„ვეფხისტყაოსანი“, შუა საუკუნეების ისტორიულ აზროვნებასთან მიმართებაში, ჩვენთვის საინტერესოა იმითაც, რომ რაინდული იდეალების ამსახველი ნაწარმოებია. რაინდული რომანის სახეა „ამირან-დარეჯანიანიც“. რაინდობა შუასაუკუნეების პირმშოა. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფაქტორების გარდა მის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ქრისტიანულმა მსოფლაღქმამ ითამაშა. მორწმუნე მამაკაცებს,ქრისტიანები,ქრისტეს მხედრობასთან აიგივებდნენ. მხედრის, როგორც მებრძოლის სახე ქრისტიანობაში წმინდა გიორგის პიროვნებაშია წარმოდგენილი. წმინდა გიორგიმდე ქრისტეს ძმობილის და ქრისტესთვის მებრძოლის იდეალური სახე გახლდათ იოანე ნათლისმცემელი. ის იოანე ნათლისმცემელი, რომელიც დედის (ელისაბედის) მუცლადყოფნისასვე ეთაყვანა ღვთისმშობელ მარიამს (ლუკა. 1, 41), რომელმაც ნათელისცა იესოს და დაამოწმა მის შესახებ (მათე 3, 13-15; იოანე 1, 15-17), რომელმაც თავი არ დარიდა ოთხთა სამთავროს მთავრის იროდის სამხილებლად ყოველივე იმის გამო, რაც მან „ჰქმნა ბოროტი“ (მათე 14, 3- 11; ლუკა 3, 19). იოანე ნათლისმცემელი თვით იესოსაგან იწოდა როგორც „ანგელოზზე მეტი“ (მათე 11, 10). იესოს თქმით, იოანე მეტია ვინემ წინასწარმეტყველი, „იგი არის ილია, რომელი მოვალს“ (მათე 11, 14). და, მართლაც, იოანე ნათლისმცემელი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთაგან სწორედ

ილია წინასწარმეტყველს ჰგავს ყველაზე მეტად, გარეგნობითაც და, მამხილებელი ქადაგებითაც. ეს იყო მეორე ილია. იოანე ნათლისმცემლის შეურიგებლობა ბოროტის მკეთებელთა მიმართ, მისი ულმობელი მხილება და დაუნდობელი გაკიცხვა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, მებრძოლი ქრისტიანული სულის გამოხატულებად იქცა. საქართველოში იოანე ნათლისმცემლის განსაკუთრებული თაყვანისცემის შესახებ ჯუანშერის ანალები მოგვითხრობენ. „სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა" იყო ქართველთა ცხოვრების ადრექრისტიანული პრინციპები. მათი შერყევით ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს, მათი განმტკიცება კი- ალმავლობისა და მტერთა ძლევის გარანტი იყო. VI საუკუნეში „იოვანეს მცნებათა" განმტკიცებისა და გაცოცხლებისათვის საქართველოს იოანე ზედაზნელმა მოაშურა 12 მოწაფით. ამავე პერიოდს ემთხვევა საქართველოში წმინდა გიორგის კულტის თანდათანობითი განმტკიცება IX საუკუნიდან, წმინდა გიორგის კულტის გაძლიერება ქართული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური გაძლიერების თანხვდენილი მოვლენაა. საქართველოშიც რაინდობის მფარველი წმინდა გიორგი იყო. საფრანგეთში წმინდა დიონისეს სცემდნენ რაინდები თაყვანს, ინგლისში წმინდა გიორგის. წმინდა გიორგი რაინდთა მფარველი წმინდა მხედარი იყო. წმინდა მხედართაგან წმინდა თევდორეს, წმინდა დიმიტრის, კონსტანტი -კახას, მიქაელ – გობრონის, ორმოცთა მოწამეთა სახელებს განსაკუთრებული პატივით სცემდნენ თაყვანს. ამათგან, წმინდა გიორგი, წმინდა თევდორე და წმინდა დიმიტრი გამორჩეულნი იყვნენ.

რაინდს იარაღისა და საჭურველის უბადლო ხმარებასთან ერთად მთელი რიგი სათნოებანი მოეთხოვებოდა: სიმამაცე, სულდიდობა, სიქველე, კეთილშობილება, სუსტთა და ობოლთა მფარველობა, უძლეურთა და გლახაკთა მსახურება, სახელისა და დიდების მოხვეჭა, გულუხვობა, ხელგაშლილობა და სხვა. რაინდობას ახასიათებდა: ქალის სიყვარული და პატრონისადმი მსახურება. მეგობრობისა და ძმობის საკითხი საფრანგეთის რაინდობაში „კომპანიონაჟის" წესით იყო დადგენილი. ქართულ სინამდვილეში ყმა-რაინდები ერთურთის ძმობილები იყვნენ. რაინდული ეპოქა მაღალი სულის გონიერ, განსწავლულ, დახვეწილ, სათანადო ეთიკეტში და ცერემონიალში გაწვრთნილ ადამიანთა საზოგადოებას აყალიბებდა. ამ, და სხვა, ქართულ-

ევროპული სარაინდო პარალელების შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს[76]. მოსწავლეები არ უნდა დარჩნენ ამ საკითხზე დაფიქრების გარეშე.

დასკვნის სახით კიდევ გავიმეორებთ, რენესანსი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის იქცა მთელი შემდგომი კულტურული და ისტორიული განვითარების ფონად, რეფორმაციული მოძრაობების მიზეზად.

## 9. მოზარდთა ლიტერატურული გემოვნების ასაკობრივი თავისებურებები.

სინამდვილის რა მხარე და სფერო აინტერესებს ბავშვს? ეს, შეიძლება დავადგინოთ იმის მიხედვით თუ რა ლიტერატურისკენ აქვს მას მიდრეკილება. რადგან მოზარდში 14 წლის ასაკში იჩენს თავს ესთეტიკური გრძნობა, უნდა დავასკვნათ, რომ ამ ასაკამდე წიგნის კითხვა უფრო ცნობისმოყვარეობითა და გართობის იმპულსებითაა გამოწვეული. 14 წლამდე მოზარდს სასიამოვნო შინაარსის, მხიარული და იუმორისტული სცენებით აღსავსე წიგნები მოსწონს[77]. ის ყურადღებას აქცევს ნაწარმოების სიუჟეტს და არა მის მხატვრულ ღირებულებას.

დადგენა იმისა, რა საგნობრივ – შინაარსეული ინტერესები აღეძვრება ადამიანს მოცემულ ასაკში, შესაძლებელია იმ ლიტერატურის გაცნობით, რომელსაც იგი ელტვის. 8–9 წლის მოწაფეები ხალისით გაეცნობიან ისეთ წიგნებს სადაც ბავშვის, თავიანთი ტოლის ცხოვრებაა აღწერილი. ამ დროს, სიყვარულით კითხულობენ მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალს“, „ჰელკრბერი ფინის თავგადასავალს“, „უფლისწული და მათხოვარს“ და სხვა. არც ზღაპრების მიმართ დაუკარგავთ ინტერესი. ზღაპრები, უფრო მოგვიანებით, 10-14 წლებში, ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავენ. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში ლექსებიც დიდი გატაცებაა ბავშვებისათვის. ლექსში მათ მეტრიკა და რითმიკა მოსწონთ, რაც საბოლოოდ მუსიკალურ უნარებს გაუვარჯიშებს. ზემოთ დასახელებული ნაწარმოებებისადმი ინტერესი არც 10-11 წლის ასაკში ნელდება და აქვე ჩნდება სათავგადასავლო-ავანტიურისტული თემატიკისადმი ლტოლვაც. მაგა-

ლითად დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“ მშვენიერი გართობაა ბავშვებისათვის. 11-12 წლიანებს ისეთი ნაწარმოებების ინტერესი უჩნდებათ, სადაც აღწერილია მოყვასისა და საზოგადო ინტერესებისადმი მსახურება. ამ დროს მოწაფეები სრულიად ახლებურად გაიგებენ ცოტნე დადიანის, იოთამ ზედგინიძის, თევდორე მღვდლის და სხვათა თავგადასავლებს. დიდი გულისყურით კითხულობენ სარაინდო ლიტერატურას, როგორებიცაა: „ამირან-დარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ულენშპიგელის თავგადასავალი“, „აივენჰო“, „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“, „პარციფალი“ და სხვა. 10-11 წლის ადამიანს რეალური ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტები იტაცებს შემდგომ წლებში ყველაზე სასურველია რაინდულ-სათავგადასავლო მოთხრობა. 12-13 წლებს შორის მოზარდისათვის მნიშვნელოვანი ხდება ღირებულებისათვის ბრძოლისა და თავგანწირვის ფაქტები. დასასრულ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კლასიფიკაცია, რომელიც დაგვეხმარება გავერკვეთ რომელ ასაკში როგორი ფორმებისა და შინაარსებისადმი ინტერესი აღიძვრება:

6-დან 9-წლამდე – ზღაპრის პერიოდი.

10-დან 13 წლამდე - სარაინდო, ისტორიული, სათავგადასავლო ლიტერატურის პერიოდი (გოგონები 10 წლიდან ინტერესს იჩენენ სარაინდო ლიტერატურის, სიყვარულის თემისა და სხვა სენტიმენტალური მოთხრობების მიმართ).

14-დან 17 წლამდე – ავანტურისტული და დეტექტიური ჟანრის ნაწარმოების პერიოდი.

ისტორიული აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ზემოხსენებული ასაკობრივი მიდრეკილებანი. ამის გათვალისწინებით მასალა შეიძლება შემდეგნაირად დალაგდეს.

6-9 წლამდე – სიქველეთა ამსახველი ისტორიული ეპიზოდების მხატვრული თხრობა. პრომეთეს, ამირანის, არგონავტების და სხვა მითების პერიოდი – (მხატვრული სახეები: დავითისა და გოლიათის ბრძოლა; ვახტანგ გორგასლის და ბაყათარის ბრძოლა და სხვა).

10-დან 13 წლამდე – საღვთო კანონებით სახელმწიფოთა და ქვეყანათა მმართველობის, რაინდობის, ქრისტეს, ქრისტიანობისათვის მოღვაწეობისა და თავდადების პერიოდი – რელიგია, ისტორიული სახეები.

14-დან 17 წლამდე – „პარალელური ბიოგრაფიების" წმინდანთა ცხოვრების, მაკიაველიზმის და თანამედროვე პოლიტიკის პერიოდი – სოციოლოგია, მოვლენათაშორისი კავშირები. აქილევსი და თერსიტე; ქერსიფრონე, მეტაგენე და ჰეროსტრატე (450-356).

მეორე სასკოლო, ანუ გარდამავალი ასაკი გოგონებში 11-დან 14 წლამდე გრძელდება, ვაჟებში 12–13-დან 16 წლამდე. ამ პერიოდს „მეორე დაბადების" პერიოდსაც უწოდებენ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, რომ 12-14 წლები ესაა პრაქტიკული და ტექნიკური აზროვნების გაძლიერების დრო. სენტიმენტალურ და რეალიზმს მოწყვეტილ მეოცნებეობასთან ერთად ამ ასაკს ახასიათებს საკუთარი პიროვნებისა და შინაგანი სამყაროს – „მეს" ძიების პროცესი და ფსიქოლოგიაში ცნობილია „კაცობრიობის კულტურაში შეზრდის ასაკად"[78]. მოსწავლეები დიდ საზოგადოებრივ დაინტერესებას იჩენენ. ჩნდება ისტორიული აზროვნება და ინტელექტუალურ-ანალიტიკური ნაკადი. მზადდება ნიადაგი ეიდეტურ[79], სახეობრივ-ასოციაციურ ფენომენიდან ცნებით ფენომენზე გადასასვლელად. სწავლისათვის უაღრესად ღირებული რეპროდუქტიული პროცესები პიკს აღწევს.

13 წლიდან უნდა დაიწყოს მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის, საერთოდ, კულტურის ისტორიის დომინირებული გაცნობა. უნდა განირჩეს საზოგადოებრივი ისტორია, ხელოვნების ისტორია, ტექნიკის ისტორია. VIII კლასელი კარგად აღიქვამს გარესამყაროს. იგი ცდილობს ჩაწვდეს, შეითვისოს და მოირგოს არსებული სამყარო იგი „დღევანდელი კვერცხის" მუშტარია. მასწავლებელს სჭირდება დიდი ოსტატობა იმისათვის, რომ ჩაახედოს მოსწავლე დღევანდელობის სულში. დღევანდელობა კი ინდუსტრიალიზმის და ტექნოკრატიზმის მოზღვავებაა.

ესაა ავტომობილების, რეაქტიული ძრავების, ელექტროგამომთვლელი მანქანებისა და კომპიუტერული სისტემების ეპოქა, რომელშიც ადამიანური ურთიერთობების დეფიციტი თავს ველარ მალავს. ადამიანებმა მეგობრებად გაიხადეს მანქანები. მთელი სამყარო დაემსგავსა უწყლო უდაბნოს. ადამიანისთვის ადამიანი ისე დაძვირდა რომ „დიოგენის ფანარიც" ვერაფერს გვიშველის. როგორ მივედით ამ მდგომარეობამდე? იწყება თხრობა გრანდიოზული მნიშვნელობის

ტექნიკურ აღმოჩენებზე: ორთქლის მანქანა, შიდაწვის ძრავა, ავტომობილები, ელექტრო-ავტომატური ხაზები, ჰიდროელექტრო სადგურები და სხვა. ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანის ცნობიერების სფეროშიც მოახდინა გადატრიალება. ყოვლის გამამთლიანებელ სულიერ სფეროებს განდგომილი, კაცობრიობა, მარვალფეროვან და უსასრულო მატერიაში ჩაეფლო და XX საუკუნიდან მოყოლებული კაცობრიობამ გამანადგურებელი შედეგები (I-II მსოფლიო ომები, ბოლშევიზმი, ფაშიზმი; ატომური ომის საფრთხე; გლობალური ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა) იწვნია.

## 10. ახალი ისტორიის ეპოქა - ფული

ნებისმიერი თხრობა მიმართული უნდა იყოს თანამედროვეობის ხლართების ასახსნელად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ფულის თემა. ფულის შემოღების შესახებ მოსწავლეებმა გარკვეული ინფორმაცია მიიღეს, ჯერ კიდევ VI კლასში. საქართველოშიც, კოლხეთის ძველ სამეფოში ვერცხლის მონეტა „კოლხური თეთრი“ არსებობდა. თანამედროვე ფულის და უძველესი ხანის მონეტების მიმოქცევის ხასიათი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თანაც, დღეს, ოქროსა და ვერცხლის მონეტების მასიურად მოჭრა აღარ ხდება. ნებისმიერი პროდუქტი და ადამიანის ყველანაირი შრომა ფულით ანაზღაურდება. დღევანდელი ფულის მდგომარეობა საქონელგაცვლისა და ღირებულების ფორმების განვითარებამ განაპირობა. მონეტური სისტემის წარმოშობა ოქროს, როგორც მიმოქცევის საშუალების მოუხერხებლობაში მდგომარეობდა (ყოველი გაცვლითი აქტის დროს ოქრო უნდა აწონილიყო). ოქროს მონეტები ქაღალდის ფულმა შეცვალა. ქაღალდის ფული ცვლის ოქროსა და ვერცხლის იმ მარაგს რაც რეალურ მიმოქცევაში უნდა არსებულიყო. ქაღალდის ფულს თვითღირებულება არ აქვს. იგი მხოლოდ ცვლის ოქროსა და ვერცხლის ფულს, როგორც გადახდის საშუალება და ისიც განსაზღვრულ ფარგლებში. ფულადი გარიგებების გართულებამ გამოიწვია ბანკების შექმნა. ბანკი ის დაწესებულებაა, რომელიც ყველანაირ ფულად

ოპერაციას ანხორციელებს. ძველად ამ საქმით მევახშეები და ზარაფები იყვნენ დაკავებულნი. რენესანსის ხანამ საბანკო საქმის ხელოვნებაც წარმოშვა. თვით სიტყვა banco – მერხს, დახლს ნიშნავს. აკი ზარაფები და მევახშეები სულ ასეთ „ბანკო“-ებთან არიან გამოსახულნი შუა საუკუნეების გრავიურებსა და მინიატურებზე. „ბანკო“ მათი საოპერაციო მაგიდა იყო. თანამედროვე ბანკებში ხდება დროებით თავისუფალი ფულის აკუმულირება და გარკვეული სარგებლით სესხად გაიცემა იმ წარმოებებზე ან პირებზე, რომელთაც ფული ესაჭიროებათ. დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია ბანკების გარეშე. ისეთი დიდი საბანკო გამოცდილების ევროპული ქვეყნები, როგორებიცაა ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია და სხვა, კარგა ხანია ქაღალდის ფულს აღარ იყენებენ. ისინი ე.წ. ფულის საკრედიტო ნიშნებით, ბანკნოტებით აწესრიგებენ ყველა ფულად ოპერაციას. ბანკნოტი ბანკის მფლობელის ის თამასუქია, რომლის ძალითაც მის მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია ფულის მიღება. ბანკნოტი, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება პირველად ბრიტანეთში გამოცხადდა (1833 წ.). ამდენად იგი იქცა ინგლისის ეროვნულ ფულად.

ვფიქრობთ, ზემოხსენებული საკითხი მოსწავლეთა ცხარე კამათის, პოლემიკის და საერთო გამოცოცხლების საბაბი გახდება.

ამ ასაკში ადამიანი განსაკუთრებულად უღრმავდება საზოგადოებრივ-ისტორიულ თუ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, მათ მოქმედებას. ყველაფერი რაც ამ ასაკში ისტორიის საგნის სწავლებით არის გათვალისწინებული, საქართველოს თანამედროვეობის ქარაგმათა ასახსნელად უნდა გამოვიყენოთ. ამავე დროს, არც მითოლოგიურ და ქრისტიანულ პარალელებს უნდა დავერიდოთ, რადგან ინტელექტის გასავითარებლად მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. ისტორიული აზროვნების ჩამოსაყალიბებლად უნდა განვიხილოთ როგორ ესმის ისტორია და ისტორიულობა „სახარებას“. ევროპული სახელმწიფოები და საქართველო ქრისტიანობის საფუძველზე აგებული სახელმწიფოები არიან. ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალური ხდება მას შემდეგ რაც მოზარდები სქესობრივად მომწიფდებიან. თუ მანამდე სასურველი არაა გონებაზე რაიმე გარეშე ზეგავლენა, ახლა იწყება ინტელექტუალური აღქმის ეტაპი და

გონებრივ ძალათა ამოქმედება აუცილებელიც კი ხდება. 14–15 წლამდე ყმაწვილი ძირითადად მეხსიერების ძალით ითვისებს საკაცობრიო კულტურის საგანძურს. 14–15 წლის შემდეგ კი ის, რაც მის მეხსიერებაშია, გონებით უნდა იქნეს გამოკვლეული მის მიერვე: „ჯერ ისტორიულ მოვლენათა უბრალო დამახსოვრება, ხოლო შემდგომ მათი შეგნებული აღქმა ცნებებით", „ცნებათა განვითარება გარკვეული მიმართულებით უნდა წარიმართოს მეხსიერების მიერ დაგროვებული სიმდიდრის მეშვეობით"[80].

## 11. პროგრესის საკითხი

14 წლის ასაკში მოსწავლეებში შეინიშნება სქესობრივი განსხვავება. ამ ასაკში გოგონები მთელი ძალით ექვემდებარებიან სიყვარულის გავლენას. მათი ფიზიკური ზრდის დასრულება და გონებრივი შესაძლებლობები სრულიად განსხვავდება წინარე ასაკობრივი მდგომარეობისაგან. ამ დროს ადამიანს შეუძლია გონებრივად ყველაფერი მოიცვას, ზოგიერთი რამ განახორციელოს კიდეც. ამ ასაკის გოგონებსა და ვაჟებს შორის თავს იჩენს მსოფლმხედველობრივი განსხვავებაც. გოგონები სულ სხვა თვალით ხედავენ სამყაროს, ვიდრე ვაჟები, რაც არ შეიძლება უგულებელყოფილი იყოს VIII–IX კლასების ისტორიის სწავლებისას. გოგონა სამყაროს და ადამიანს იმ სურათის მიხედვით აღიქვამს, რაც ცნობიერს მიღმა, მის სულიერ სიღრმეში (ქვეცნობიერში) აქვს. სწორედ ქვეცნობიერში არსებული სურათის მიხედვით ძერწავს იგი გარესამყაროს მოვლენებს. გოგონას წინასწარ, აპრიორულად აღიარებული ღირებულებები გააჩნია. სწორედ ამ ღირებულებებით აფასებს იგი გარესამყაროს. ვაჟი გარესამყაროს და კაცობრიობას უყურებს შინაგანი გაუცნობიერებლობით. მისთვის სამყარო გამოცანაა, თანაც ისეთი გამოცანა, რომელშიც ვერ ჩაწვდება, რომელსაც ვერ ახსნის. მიუხედავად ამისა ის ვაჟისათვის მიმზიდველია, მრავალფეროვანიც, სახიფათოც და შიშის მომგვრელიც, ამდენად, სარისკოც. გოგონა ფანტაზიით აღვსილი განიცდის და თავის ხატებით აძლევს ფორმას გარესამყაროს. ვაჟს კი გააჩნია გაცნობიერებული სურვილი და მიზანი. როდესაც გოგონას უყვარს,

ცდილობს თავის სიყვარულის ობიექტს სახე უცვალოს, სხვა ელფერი შესძინოს. ვაჟის სიყვარული კი ესაა სურვილი იყოს მფლობელი. ვაჟის მიზანს თავისი ხასიათი აქვს,ესაა ფლობა. გოგონა სავსეა გრძნობებით და ამ გრძნობებში უპირველესად ფანტაზიაა დაყენებული. მოზარდებში ასეთი მენტალური ასოციაციები 14 წლის ასაკიდან ყალიბდება.

გოგონებსა და ვაჟებში არსებული ამ მსოფლმხედველობითი განსხვავებების გაწონასწორება მასწავლებლის მოსაგვარებელი კიდევ ერთი პრობლემაა. ამ პრობლემასა და ისტორიის სულისკვეთებას შორის კიდევ ერთი კავშირის შესახებ ვისაუბრებთ პრომეთეს მითში აღწერილი მითოლოგემების მიხედვით.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით პრომეთე ადამიანის შემქმნელია. პრომეთე ზევსისგან დამხობილი ძველი სამყაროს ტიტან იაპეტის შვილია. მან თავისი გონიერებით და საზრიანობით (Προμηθευς – „მოაზროვნე უწინარესად“ „წინასწარმეტყველი“ „ნათელმხილველი“) სიბრძნის ქალღმერთ ათენა პალადას დახმარებით შექმნა ადამიანი[81]. მანვე ასწავლა ანგარიში, წერა, კითხვა, ვარსკვლავთაღრიცხვა, ულლის გამართვა, ხვნა-თესვა, ცხენის გახედვნა, ტივის და ნავის გამართვა, აფრის გაშლა, წამლის შემზადება, წინასწარმეტყველება, მისნობა, სიზმრის ახსნა, რკინით- ხუროობა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ. ბოლოს, პრომეთემ ადამიანებს მოუტანა ცეცხლი, ყველაზე დიადი საჩუქარი ყველა სხვა ნაწყალობებს შორის. რაც, ზევსის რისხვის საბაბი შეიქმნა. ცეცხლი ხომ პრომეთესაგან მოტყუებულმა ზევსმა ხალხს წაჰგვარა. ეს ასე მოხდა: ღმერთების მიერ ახლადდადგენილი სამართლის თანახმად ადამიანებმა ზევსს დიდი ხარი დაუკლეს. ღმერთებს სამსხვერპლო წილი თვითონ უნდა აერჩიათ. პრომეთემ ადამიანების დიდი სიყვარულის გამო უკვდავთა მოტყუება განიზრახა. რჩეულ ნაჭრებს ზედ გაუწმენდავი კუჭი დაადო და ერთგან დაახვავა, მეორეგან კი ძვლები და შიგნეულობა ქონით შენიღბა და დაფარა. ზევსმა ქონით სავსე ხონჩა ირჩია და ... მოტყუვდა. დაკარგეს ადამიანებმა ცეცხლი. პრომეთემ სიბრძნის წყალობით ლერწმის გრძელი ღერით კვლავ დაუბრუნა ცეცხლი დედამიწას. ამან კი, როგორც უკვე ვთქვით, ზევსი განარისხა. პრომეთე ხვდებოდა, რომ ზევსი შურს იძიებდა, ამიტომ მის ყოველგვარ საჩუქარს ერიდებოდა. საკუთარ ძმას ეპიმეთესაც იგივეს

სთხოვდა: არ მიეღო ზევსის მორთმეული არანაირი ძღვენი. ზევსის ბრძანებით ათენასა და ჰეფესტოს მიერ შეიქმნა ქალწული. ჰერმესმა მას მეტყველების უნარი შესძინა, აფროდიტამ კი მშვენიერება და მომხიბვლელობა. ამ გარეგნული მომხიბვლელობის გარდა ღმერთებმა ყველანაირი უბედურებაც მიუბოძეს ამ პირველ ქალს, რომელსაც „პანდორა (Πανδωρα - „ყველასგან დასაჩუქრებული“) დაერქვა. ზევსის შურისძიებად დაეშვა პანდორა დედამიწაზე.

ატლანტი და პრომეთე

ლუვრში ინახება ძვ. წ.-ის II საუკუნის ლარნაკი, რომელზედაც გამოსახულია პანდორას ძღვენის უარმყოფელი პრომეთე. პრომეთეს ცდუნება სიხარულს მოჰგვრიდა ზევსს, მაგრამ იგი მოტყუვდა. ამის შემდეგ, პანდორა გაემართა ეპიმეთესთან. მიუხედავად პრომეთეს მრავალგზის გაფრთხილებისა წინდაუხედავმა ეპიმეთემ (Επιμηθευς- „გონებით უკანმხედველი“ „წინდაუხედავი“ „Крепкий задним умом“)* არ ისმინა ძმის რჩევა და სიამოვნებისაგან გონდაკარგულმა სასწრაფოდ გაუღო კარი მაცდურ ქალბატონს[82]. ცრუ და ეშმაკმა ქალმა დაბრმავებულ ეპიმეთეს გადასცა ზევსის საჩუქარი. თავახდილი ყუთიდან ათასი ჭირი და უბედურება ამოვიდა კაცთა მოდგმის წყევლად და ტანჯვად. ელვის სისწრაფით გავრცელდა ავადმყოფობა

---

* „ფაუსტში“, იქ სადაც აღწერილია ვალპურგიის ღამის ამბები გამოყვანილია ერთი „არამკითხე“, პროკტოფანტაზმისტი. „ამ სახელით დასცინა გოეთემ გერმანელ გამომცემელსა და ლიტერატორს ფ. ნიკოლაის“. ეს კაცი ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე აცხადებდა მოჩვენებებისაგან უკანალზე წურბელების დასმით ვინკურნებიო. პროკტოფანტაზმისტი-სულთა უკანალით მხედველს ნიშნავს (იხ. იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფაუსტი, თარგმანი გიორგი ჯორჯანელისა, თბ; 1987, გვ. 183) ეპიმეთე გოეთესეული პროკტოფანტაზმისტია.

ზევსი, მერკური, ეპიმეთე და პანდორა
ძვ. წ. 450–440 წ.წ. ლარნაკწერა

მთელს დედამიწაზე. პანდორამ დაახურა სარქველი თავის ყუთს და შიგ ჩაჰკეტა მხოლოდ ფუჭი იმედი, რაც დღემდე გვატყუებს და გვტანჯავს (ცუდმოიმედეობად უხმობენ მას).

როგორც ვხედავთ, პრომეთეს საპირისპირო უნარ–თვისებების მატარებელია მისი ძმა ეპიმეთე. პრომეთე დადებითი საწყისის განსახიერებაა, ეპიმეთე–უარყოფითის. პრომეთე ასჯერ გაზომავს და ერთხელ გადაწყვეტს, ეპიმეთე გრძნობებს აყოლილი ათასჯერ რომ იყოს გაფრთხილებული, მაინც უგნურ საქციელს ჩაიდენს. პრომეთე, პიროვნული, ინდივიდუალური, თვითმფლობელი არსებაა, ეპიმეთე ვნებამორეული, გონებადაბნეული, მხოლოდ წარსულზე მოფიქრალი კაცუნა. ცეცხლი, რომელიც პრომეთემ მისცა კაცობრიობას ესაა სახე ადამიანობისა, მსგავსება ღვთაებასთან. ეპიმეთე განსჯის პრომეთეს საქციელს.მისი გონება იმისკენ არის მიმართული, რაც უკვე მოხდა. ღრმად დაფიქრებული, „ვაი ჭკუისაგან“–ში ჩავარდნილა ეპიმეთე. და განა ღირდა იმის ჩადენა, რაც პრომეთემ ჩაიდინა? განა ღმერთების მოტყუება ვინმეს ეპატიება? განა ასეთი მკრეხელობის ჩამდენი ღვთის რისხვას განერიდება? განა, ღირდა ცეცხლის ჩამოტანა დედამიწაზე? და ა.შ.

ამ მითოლოგემაში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ძმაა გამოყვანილი, რომლებიც ერთმანეთის გამომრიცხავ მიმართულებას გამოხატავენ. პრომეთეს მზერა მიმართულია მომავლისაკენ. იგი დღევანდელობაში ქმნის მომავლის გზასავალს.პრომეთე ნებელობის და ნებისყოფის სიმბოლოცაა. იგი როგრესისა და საკაცობრიო ცივილიზაციის წინსვლის იმპულსია. პრომეთე გმირია. ეპიმეთე გულდახშული, ეჭვიანი, ჯანჯალი და ყოყმანის მოყვარული კაცია. მას უჭირს გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ასეთ კაცებზე იტყვიან „დღეში ცხრა პარასკევი აქვთო“. ყველა ამ თვისებათა გამო ეპიმეთე ყოველგვარი სიახლის, გარდაქმნის, განახლების წინააღმდეგია, ხელისშემშლელია. სანამ რაიმეს გაკეთებას დააპირებს ფიქრობს, და იმდენს ფიქრობს, რომ სხვა ახალი საკეთებული გამოუჩნდება. ახალსაფიქრალ-გაჩენილი კი საქმეს ვერასოდეს აკეთებს.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ისტორიულ პროცესებში მონაწილე ორი ტიპი და ორგვარი ძალა: პრომეთეს ტიპი – პროგრესული ძალა ეპიმეთეს ტიპი – რეგრესული ძალა

შემდგომ შესასწავლ ისტორიულ მოვლენებს ამ ორი ტიპის წარმოდგენების მიხედვით განვიხილავთ. ტრადიციულად, ისტორია ეპიმეთეს მსოფლმხედველობით შეისწავლება. ისტორიული კვლევა-ძიება წარმოგვიდგენს ყველა ქვეყნის და ყველა პერიოდის ფაქტებს. ჩვენს წინ დაიხატება ნებისმიერი ეპოქის სურათი, მაგრამ როცა მოსწავლე დაფიქრდება, იკითხავს – რისთვის მჭირდება მე ეს სურათი? თუ კოლექციონერის ჟინი აქვს, მაშინ იტყვის: მე ყველაზე მეტი სურათი უნდა მქონდეს. და გრძელდება დაუსრულებელი სრბოლა ისტორიული სურათების შესაგროვებლად. მაგრამ განა ისტორიის ცოდნა ფილატელისტობისაგან ან ნუმიზმატობისაგან არ განსხვავდება?. კარგია, როცა ისტორიული სინამდვილის აღწერას უამრავ ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ცდილობ, მაგრამ ამ მასალების მოპოვება და მათი საშუალებით სურათის აღდგენა ხომ მაინც წარსულში ხელის ფათურია?. ეს ხომ ძალისხმევათა უკან, გარდასული დღეებისაკენ მიმართვაა? არადა, რა ღირებულებისა იქნება ის აზროვნება, რომელიც არაფერს ამბობს დღევანდელობაზე და მომავალს კი სულაც არ სცნობს?. ამდენად, დღევანდელი აკადემიური ისტორია, კვლევის თვალსაზრისით, უფრო ეპიმეთესეულ ძალებს ეყრდნობა.

ისტორია, როგორც დისციპლინა მამაკაცური თვისებისაა. ისტორიის ხასიათი მამაკაცურია. დასანანია, რომ ფსევდო აკადემიზმი სასტიკად ებრძვის პროგრესულსა და სამომავლო იმპულსების მაძიებელ ძალებს.

შემთხვევით არ დაგვიწყია ამ თემაზე საუბარი მერვე კლასის მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების განხილვით. როგორც ვხედავთ, გოგონებისათვის, ამ ასაკში, პრომეთეს მსგავსი ისტორიული ტიპი უფრო მისაღები იქნებოდა. ისინი უარყოფენ ჯანჯალ, სიახლის მოწინააღმდეგე, მომავლის უგულვებელმყოფელ ეპიმეთესეულ ტიპებს. ისტორიული პროცესების მამოძრავებელ ძალად აღიარებენ პრომეთესეულ ძალებს და ინდიფერენტულნი არიან ეპიმეთესეული ყოყმანის მიმართ. არც ვაჟებისათვისაა მაინც და მაინც ეპიმეთეს ტიპი მისაბაძი, თუმცა ამ ასაკობრივ საფეხურზე, მათ ხასიათში უფრო ეპიმეთეს ტიპი ზის. ამდენად, ვაჟებმა შეიძლება გაამართლონ კიდეც ასეთი „აუჩქარებელი" პოზიცია. გოგონებს ასეთი რეტროგრადიული, რეტროსპექტული ისტორიის გაგონებაც არ უნდათ. ეს არცაა გასაკვირი, ასაკობრივი მდგომარეობა, გარდატეხის პერიოდი, შინაგანი მრავალფეროვნება მოძრაობის, დინამიკისა და ცვლილებებისაკენ აღძრავს მათ. მასწავლებელს დიდი ოსტატობა სჭირდება იმისათვის, რომ ისტორიის რეტროსპექტული მასალა, როგორადაც ის არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში, ახლებურად გაიაზროს, შესძინოს მას პრომეთესეული იმპულსები. გადამუშავებული მასალა ისე უნდა მიეწოდოს აუდიტორიას, რომ ერთნაირად მისაღები იყოს გოგონებისთვისაც და ვაჟებისთვისაც.

## 12. ახალი ისტორიის ეპოქა და საქართველო

VIII კლასში იწყება საქართველოს ისტორიის შესწავლა. დღეს არსებული სახელმძღვანელო პირველყოფილი საზოგადოების აღწერით იწყება, მაშინ როცა, ამავე ასაკში, მოსწავლეები, „ახალი ისტორიის" კურსში ევროპის განმანათლებლობის, რევოლუციების და თანამედროვე სახელმწიფოებრივი მექანიზმების ჩამოყალიბების მოვლენებს შეისწავლიან. ასეთი განსხვავება გაუმართლებელია

პედაგოგიურადაც და ფსიქოლოგიურადაც. აზროვნების ასე გაყოფა, დროისა და სივრცის თვალსაზრისით, უარყოფითად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე. აღნიშნული საგნისადმი ანტიპატიურ დამოკიდებულებებს იწვევს. ამგვარად შედგენილი სახელმძღვანელოები სწავლისათვის კი არა, მოსწავლეთათვის „თავში ჩასარტყმელად“ უფრორა გამიზნული. სულ არ არის გასაკვირი, რომ დღევანდელი მოსწავლე– ახალგაზრდობა უარს აცხადებს ასეთი ტიპის სწავლაზე. მას არ უნდა რომ „თავში ურტყამდნენ“.

უმჯობესი იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა იმ პროცესებზე, რომლებიც მსოფლიო ისტორიის განვითარების თანხვედრილად მიმდინარეობდა საქართველოში.

ევროპულ ისტორიოგრაფიას თავისი ტენდენციურობა ახასიათებს. მისი ისტორიული პერსპექტივები ევროპოცენტრიზმის იდეის დამკვიდრებას ემსახურება. „მესამე რომის თეორია“ იქაც ცოცხლობს. ისტორიული ტრადიციის დაცვის მცდელობით, ევროპას თანამედროვე ცივილიზაციის წინამძღოლად სურს თავის წარმოჩენა და რომაული ცივილიზაციის მემკვიდრედ მიიჩნევს თავს. ეს უდავოა. ევროპის როლი დღევანდელ კულტურულ სამყაროში უპირველესია. მაგრამ იგივე ისტორიული ტრადიციულობა და ობიექტურობა ნებას არ გვაძლევს ბიზანტიის მნიშვნელობა უგულებელვყოთ. არ იქნება გამართლებული თუ ვიტყვით, რომ ბიზანტიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ევროპული ცივილიზაციის შექმნაზე. მართალია XV საუკუნიდან ბიზანტია აღარ არსებობს, მაგრამ ამ პერიოდამდე, როგორც უდიდესი პოლიტიკური ჰეგემონი, რა თქმა უნდა ახდენდა გავლენას ევროპაზე. აქ განვითარებული მეცნიერებისა და ხელოვნების დარგები ევროპული კულტურის ბალავრად იდებოდა. აქ ჩამოყალიბდა მისტიციზმი და ნეოპლატონიზმი, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში კარგად შეითვისეს ევროპაში. ალექსანდრიის, ანტიოქიის და კონსტანტინოპოლის სასწავლო–საღვთისმეტყველო კერები ბიზანტიური კულტურული არეალის შემადგენლობაში იყვნენ. პატრისტიკამ (კაბადოკიელი მამები: ბასილი დიდი – 330–379 წ.წ., გრიგოლ ნაზიანზელი – 329–390 წ.წ., გრიგოლ ნოსელი – 331/35–394 წ.წ. ასევე ევსტათი ანტიოქიელი, იოანე ოქროპირი და სხვა) არეოპაგიტიკამ (ფსევდო დიონისე არეოპაგელი,

პეტრე იბერი- 411-489 წ.წ.), ნეოპლატონიზმა (ნემესიოს ემესელი IV–V ს.ს. , ამონიოს ჰერამია, მიქაელ პსელოსი – 1018-1078 წ.წ; იოანე იტალოსი – 1025-1083 წ.წ, იოანე პეტრიწი – 1050-1125 წ.წ.), სქოლასტიკამ (იოანე დამსკელი – 675-753 წ.წ. და სხვა) მისტიციზმა და ასკეტიზმა, სწორედაც რომ, ჩამოაყალიბა გვიანი ევროპული ქრისტიანული მსოფლმხედველობა.

პეტრარკა და ბოკაჩო თავიანთ მასწავლებლად სტოელების „ეთიკის" და „ლოგიკის" ავტორს, ცნობილ ბიზანტიელ ღვთისმსახურს, ვარლამიანური თეოლოგიური მიმართულების ფუძემდებელს ვარლამ კალაბრიელს მიიჩნევდნენ. ბიზანტიის კულტურულ არეალში ყოფნის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, ყველაზე უკეთ, საქართველოს ისტორიული გამოცდილებიდან შეიძლება საუბარი.

ევროპისათვის ბიზანტიის მნიშვნელობა უფრო მეტად გახდა საცნაური ამ უკანასკნელის დაცემის შემდეგ. ამას მოჰყვა ევროპაში რეფორმაციისა და საზოგადოებრივი არეულობის ასწლიანი პერიოდი, ხოლო საქართველოში პოლიტიკური დაშლა–დაქუცმაცება სამეფო-სამთავროებად. საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის პროცესების სინქრონიზაციის გათვალისწინებით, კარგი იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლას დავიწყებთ თამარის ეპოქით. თამარის ხანა საქართველოს ისტორიული მთაგრეხილების ყველაზე მაღალი მწვერვალია. ალპინისტს მწვერვალების დაპყრობა თვითდამკვიდრების საშუალებად მიაჩნია. რაც უფრო მაღალია მწვერვალი მით უფრო მეტი განსაცდელი, იმავდროულად, მეტი სახელი და დიდება ახლავს მის დაპყრობას. ჩვენი ახალგაზრდა თაობის შეგნებაც მაღალი მორალურ–ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი კულტურის დამკვიდრების სურვილით უნდა იყოს გამსჭვალული. ისტორიის სწავლების ქვაკუთხედად უნდა იქცეს გამოთქმა „წინ თამარის ეპოქისაკენ- ოქროს საუკუნისკენ". გზა, რომელიც სამთავროებად დაშლილმა ქვეყანამ თამარის დროინდელ საქართველომდე განვლო საერთო ქართული, კავკასიური და ზოგადკაცობრიული ერთიანობისაკენ სავალი გზაა. ეს ტენდენცია არც ევროპული კულტურისათვისაა უცხო. VIII კლასში განვლილი მასალის შინაგან ისტორიულ მოტივებში, გარკვევა უნდა მოხდეს IX კლასში. თამარის ეპოქაში ევროპის ყურადღება საქართველოსკენ იყო მიპყრობილი. გერმანელი

ერის საღვთო რომის იმპერიის შტაუფენების დინასტია (მმართველობა 1138-1254 წ. წ.) დაინტერესებული იყო ბაგრატიონთა სამეფო კართან ნათესაური კავშირის დამყარებით. ჯვაროსნული ომების ფონზე, საქართველოს მდგომარეობა გეოპოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა. იმდენად, რომ ფრიდრიხ I ბარბაროსა (შტაუფენი) ცდილობდა თავისი ვაჟიშვილისათვის ცოლად შეერთო მეფე თამარი*.

კონსტანტინოპოლში ანგელოსების დინასტიის გამეფებას (1185-1204 წ.წ.) ევროპული ჯვაროსნები მკვეთრად გამოხატული ანტიბიზანტიური განწყობილებით შეხვდნენ. კომნენოსების დინასტიის (1057-1059 წ.წ., 1081-1085 წ.წ.) დამამხობელთ ხალხი უნდობლად ეკიდებოდა და აჯანყებას აჯანყებაზე უწყობდა (კომნენოსთა დინასტიის მარცხი იმან განაპირობა, რომ მათ ლათინებს საკმაო პრივილეგიები მიანიჭეს. ამან რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებული მასები ააღელვა, რისი მსხვერპლიც შეიქმნენ კიდეც საბოლოოდ). ანგელოსები ლათინებთან დაპირისპირებულ ძალას მოჰყვა ხელისუფლების სათავეში, რამაც ბუნებრივია გაართულა ბიზანტიის ურთიერთობა ჯვაროსან რაინდებთან. ანგელოსები საღვთო რომის იმპერიის გვერდის ავლით ცდილობდნენ რომთან კავშირის აღდგენას. ეს ეწინააღმდეგებოდა გერმანელთა ინტერესებს.

საბოლოოდ, IV ჯვაროსნული ლაშქრობისას (1199-1204 წლებში) ანგელოსების დინასტია დაემხო (13.IV. 1204 წ.) და ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე „ლათინთა იმპერია“ (რომანია) შეიქმნა (1204-1261 წ.წ.). ამ პროცესებში მნიშვნელოვანი იყო ვენეციის (ლათინთა იმპერიის შექმნაში) და გენუის (ლათინთა იმპერიის დამხობაში) როლი.

ბიზანტიის იმპერიის დაყოფაში მონაწილეობდა საქართველოც. თამარ მეფის ინიციატივით ძველი პონტოს სამეფოს ადგილზე შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია (1204-1461 წ.წ). თამარ მეფეს კომნენოსთა საგვარეულოსთან ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა. დავით

---

* შესაძლოა, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თამარის გათხოვებამდე (1185წ.) ფრიდრიხის ვაჟს ჰაინრიხ VI-ს (1165-1197 წ.წ.) ცოლი არ მოუყვანია. მხოლოდ 1186 წელს დაქორწინდა სიცილიის პრინცესა კონსტანციაზე.

ღმაშენებელმა თავისი ასული კატა 1118 წელს ალექსი I კომნენოსის (1048–1118) უმცროს შვილზე, ისააკზე დააქორწინა[83]. მისი შთამომავლები, კომნენოსთა საიმპერატორო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელის, ანდრონიკე I-ის შვილის (მანოელი) შვილები, ალექსი და დავით, ყრმობიდანვე საქართველოს სამეფოს კარზე იზრდებოდნენ. მათი დინასტიის დამხობის შემდეგ, თამარის მიერ შექმნილი ბუფერული სახელმწიფოს[84] მესვეურები სწორედ ისინი გახდნენ. ამას ადასტურებენ, როგორც ქართველი ისე ბიზანტიელი მემატიანეებიც[85]. მიქაელ პანარეტოსი ამბობს: „მოვიდა დიდი კომნინოსი ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში"[86]. ჯვაროსნების კონსტანტინოპოლში შესვლაც სწორედ აპრილის თვეში მოხდა.

მოსწავლეებს შეიძლება დავუსვათ ასეთი შეკითხვა: რა ისტორიულ პროცესს ექნებოდა ადგილი თამარ მეფე „უბედურ რუსზე" კი არა, ფრიდრიხ I ბარბაროსას ვაჟზე, ჰენრიხ VI-ზე რომ დაქორწინებულიყო? აქ მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ ფრიდრიხ II-ის (1194–1250 წ.წ. იმპერატორია 1212 წლიდან) დროს სიცილიის სამეფოს კულტურული მიღწევები, VI ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1228–1229 წ.წ.) მოპოვებული წარმატებები და, ისიც, თუ როგორ დაწყევლა რომის პაპმა გრიგოლი IX-მ მეფე და მთელი მისი შთამომავლობა. ამის შემდეგ მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია.

შემდეგი შეკითხვა მოსწავლეებს: ვინ იყვნენ ის ძალები, რომელთაც სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის დევნილი შვილი ამჯობინეს გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის ფრიდრიხ I-შტაუფენის ვაჟს, ჰაინრიხ VI-ს?

## 13. კიდევ ერთხელ ჯვაროსნების, რენესანსის, კონკისტადორების შესახებ

საოცარია, მაგრამ დღევანდელ სახელმძღვანელოებში არაფერია ნათქვამი ამერიკის აღმოჩენის შესახებ. ახალი კონტინენტების

აღმოჩენის მიზეზი რენესანსული ანთროპოცენტრიზმის იმპულსები იყო. იგი თანდათან შეცვალა გეოცენტრიზმმა. ადამიანის შესაძლებლობების შესწავლის იდეას დედამიწის შესწავლის იდეა ჩაენაცვლა, რაც გრანდიოზული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი ფიქრობდა, რომ დედამიწა ერთ-ერთი ციური სხეულია და არა სამყაროს ცენტრი. ნიკოლაი კოპერნიკმა (1473-1543 წ.წ.) ორმოცწლიანი დაკვირვების შემდეგ გააკეთა დასკვნა – დედამიწა არ წარმოადგენს სამყაროს ცენტრს. იგი არ დგას უძრავად, არამედ ბრუნავს საკუთარი ღერძისა და მზის გარშემო, მსგავსად სხვა პლანეტებისა. 1418-1460 წლების პორტუგალიურმა აღმოჩენებმა, 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის (1451-1506 წ.წ.) მიერ ამერიკის აღმოჩენამ, 1498 წელს ვასკო და გამას მიერ ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენამ, 1519-1522 წლების პირველმა მოგზაურობამ დედამიწის გარშემო (ფერნანდო მაგელანი), საბოლოოდ დაამტკიცა, რომ დედამიწა მართლაც სფეროსებურია და ბრუნავს საკუთარი ღერძისა და მზის გარშემო. ამ აღმოჩენებმა გამოიწვიეს ნატურფილოსოფიის, ჰედონიზმის და ეპიკურელობის აღორძინება ევროპაში. ახლად აღმოჩენილი ქვეყნები, როგორც წესი, ევროპის კოლონიებად იქცა. აურაცხელი სიმდიდრე დაიძრა ევროპისაკენ (ოქრო, ვერცხლი, სანელებლები, სპილოს ძვალი, ძვირფასი ბეწვეული და სხვა). ამან ევროპაში საზოგადოებრივ-ეკონომიური კრიზისი გამოიწვია. მოხდა ღირებულებების ისეთი გადაფასება, რომელიც ევროპას ძალიან ძვირად დაუჯდა.

როგორც ვხედავთ, ევროპას დრო და დრო წამოუვლის ხოლმე ქინი სხვა კულტურებთან გაცხოველებული ურთიერთობისა. ასე იყო ჯვაროსნების დროს, გეოგრაფიული აღმოჩენების დროს, კოლონიალური პოლიტიკის გატარებისას. ექსპედიციების მოწყობის ზოგადი მიზეზი იყო: ევროპაში, საქონლის სიჭარბე და ოქრო-ვერცხლის ნაკლებობა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, გეოცენტრული წარმოდგენების – ჰელოცენტრულით შეცვლა, ორიენტირება, მატერიალური სამყაროს შესწავლაზე. ახლა, ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორი იქნებოდა ევროპა, რომ არა ეს ურთიერთობები. ყოველთვის, როცა კი ევროპა განსხვავებულ კულტურათა შეცნობას ესწრაფოდა, ძალიან ბევრს იგებდა ამით. ამ მოვლენებს ევროპაში

ახალი აღმავლობა მოჰყვებოდა ხოლმე. იმავდროულად, იყო ნეგატიური მხარეც. ამერიკული აღმოჩენების შედეგად მიღებული უკუ-რეაქციები ევროპას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ინდიელთა ცივილიზაციის აღმოჩენამდე არავინ იცოდა ზოგიერთი ნარკოტიკული ნივთიერების შესახებ. მექსიკამ, ბრაზილიამ და იუკატანას ნახევარკუნძულმა უამრავი საცდური შესთავაზა ევროპას. თამბაქო, ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი და სხვა აღმგზნები საშუალებები ამ პერიოდში იგემა ევროპამ. თუმც მცენარეულ კულტურათა ისეთი სახეობების, როგორიცაა სიმინდი, კარტოფილი, პამიდორი და სხვათა სამშობლოც ამერიკაა. მას, რასაც ინდიელები საკულტო-სარიტუალო საშუალებებისათვის გამოიყენებდნენ, ევროპაში დამახინჯებული სახით სხეულებრივი ტკბობისა და გართობის საშუალებად იქცა. ბავშვებისათვის საკითხის ამდაგვარად მიწოდებამ შეიძლება ღიმილიც გამოიწვიოს, რადგან თამბაქო, ყავა, კაკაო, ჩაი, შოკოლადი დღეს, ლამის არის, „სამკურნალო-გამაჯანსაღებელი“ მიზნებით გამოიყენონ. ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ ღირს, უბრალოდ დავასკვნით: ევროპამ ყოველივე ზემოხსენებული შეითვისა ისე, რომ არ გაითვალისწინა ინდიელთა მსოფლმხედველობრივი და მენტალური თავისებურებანი, უფრო მეტიც, ბრძოლა გამოუცხადა მათ. ევროპელთა მოგზაურობების ეს პერიოდი ჯაროსანთა ლაშქრობების ყველაზე ცუდ, მძარცველური ჟინის მოკვლის და გამდიდრების, გაუმაძღრობის მხარეებს გვახსენებს.

ბლასკო ნუნის ბალბოას 1513 წლის ექსპედიციიდან იწყება „ოქროს ქვეყნის“ – ელდორადოს ძიება. XVI საუკუნის I ნახევრის კონკისტადორთა საქმიანობა თავზარს გვცემს თავისი სისასტიკით, რომელსაც ისინი არ ერიდებოდნენ ქონების მოსახვეჭად. ესპანელი და პორტუგალიელი იდალგოები, ჯიბეგაფხეკილები, საკუთარი სამხედრო მუნდირის ამარა, ჩადიოდნენ ამერიკაში და ზღაპრულ სიმდიდრეს მოიპოვებდნენ ხოლმე. მოსწავლეებს შეიძლება მოვუყვეთ ესპანელი ერნან კორტესის, ჰიმენეს კესადას და პორტუგალიელი ფრანცისკო პისაროს[87] ავანტიურების შესახებ. ამ უკანასკნელმა ხელში ჩაიგდო ტაუანტისუიუს ინკაინკების მეფე ატაგულფა და მის გამოსახსნელად დიდი ოთახის ოქროთი გავსება მოსთხოვა ინკებს. დღეს ასეთ საქციელს ტერორიზმს უწოდებენ. მოსწავლეებს ეძლევათ

თავისუფალი აზროვნების საშუალება. რა ზომებს მიმართავდნენ დღევანდელი ხელისუფალნი და საერთაშორისო საზოგადოება მსგავსი მოვლენები რომ განმეორებულიყო? ან, როგორი იქნებოდა ევროპელთა რეაქცია, მათ რომ ისევე მოქცეოდნენ როგორც კონკისტადორები ამერიკელებს. განა შეიძლება ტყუილის თქმა, კაცის მოკვლა, ძარცვა და მისთანანი ევროპაში ბოროტებად ცხადდებოდეს და ამერიკაში სიკეთედ. ეს საკითხები მოსწავლეთა დიდ გამოცოცხლებას გამოიწვევს.

## 14. განმანათლებლობის, რომანტიზმის, ფილოსოფიის და ევოლუციის თეორიის შესახებ

XV–XVI საუკუნეები ძველი სოციალური გაერთიანებების ახალ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების ეპოქა იყო. საზოგადოებრივი ერთობა, კრებული (ქვეყანა) სახელმწიფოებრივ ერთობად იქცა. ადამიანთა შორის არსებული ძველი ურთიერთობები, როცა პატიოსან სიტყვას ფიცის ძალა ჰქონდა და აღებ-მიმცემობასაც კი არეგულირებდა, შეიცვალა. ნობილიტეტსა და ერს შორის ურთიერთპასუხისმგებლობისა და ვალდებულების ნდობაზე დამყარებული ძველი წესები დაირღვა. მის ნაცვლად ახალი მექანიზმების შემუშავება იყო საჭირო. წარსულში რაინდულ-ფეოდალური ფენა აიდეალებდა თავის ცხოვრების წესს, მისაბაძად და სანიმუშოდ სახავდა და აღმზრდელობითი, პედაგოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. ახალმა დროებამ მთელი ეს იდილია ხელის ერთი მოსმით გაანადგურა.

ასე მოხდა დიდ ბრიტანეთში. 1649 წლის იანვარში, ჩარლზ I სტუარტის (1625-1649) თავის მოკვეთით ძველ სოციალურ სახელმწიფოებრივ წყობასაც თავი მოჰკვეთეს. 1649-1689 წლები უაღრესად მძიმე იყო სამეფოსათვის. ამ დროს იყო ახლის ძიების და ძველის შენარჩუნების ერთდროული პროცესები. შეიძლება ითქვას, ინგლისმა ხელახლა აღმოაჩინა თავისი თავი. ეს ეპოქა იყო არა მარტო მანამდე უცნობი გეოგრაფიული რეგიონების ხილვის ეპოქა, არამედ უკვე აღმოჩენილი და არსებულის ხელახლა აღმოჩენისაც. რა შეიძლება მოჰყოლოდა მეფეთა სისხლის დაღვრას, მაშინ ძალიან ცოტას ესმოდა, მაგრამ როგორც იტყვიან „რუბიკონი უკვე გაღმა იყო დარჩენი-

ლი“. მიუხედავად დიდი ძიებისა, ინგლისმა ჰპოვა გამოსავალი. ეს
მოხდა უილიამ III-ის (1688-1702 წ.წ.) ზეობის ჟამს. 1689 წელს
მიღებულ იქნა „ბილი უფლებათა შესახებ“. ახალი მეფე ცალკეული
ადამიანების, ხალხის ინტერესების დამცველად იქცა.

XVII-XVIII საუკუნეები „განმანათლებლობით“ ხასიათდება.
დიდია განმანათლებელთა გავლენა ევროპის და კოლონიალური
ამერიკის ხალხთა სულიერ ცხოვრებაზე. მათი იდეოლოგიური მისწ-
რაფებები საფუძვლად დაედო ამერიკელთა ბრძოლას დამოუკი-
დებლობის მოსაპოვებლად და საფრანგეთის რევოლუციურ პრო-
ცესებს. ამდენად, „განმანათლებლობა“ პრაქტიკაში განხორციელდა,
და რამაც ძლიერი ცვლილებები გამოიწვია ისტორიულ აზროვნებაში.

შარლ ლუი მონტესკიემ (1689-1755), ფრანგმა განმანათლებელმა,
ისეთი ფილოსოფიური ნაწარმოებები შექმნა, რომლებიც დიდი
ბრიტანეთისგან ამერიკის შეერთებული შტატების გამოყოფის იმ-
პულსებს წარმოშობდა. მონტესკიე ქართველი მოსწავლეების დაინ-
ტერესების საგანი გახდება „სპარსული წერილების“* (1721 წ.) გამოც.
მონტესკიეს კვლევები მიზნად ისახავს საზოგადოების წარმოშობისა
და განვითარების კანონზომიერებების წარმოჩენას. მას აინტერესებს
საზოგადოებრივ ცვლილებათა და შემობრუნებათა არსი და მიზე-
ზები. „სპარსულ წერილებსა“ და „კანონთა გონში“, მონტესკიე
აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ გამოდის. ეს კი, ამე-
რიკული და ფრანგული მოვლენების იდეოლოგიურ ბაზად გამოდგება.
სიტყვას აღარ გავაგრძელებთ მონტესკიესეული იდეების კანონის
დიფერენციაციის შესახებ[89]; პოზიტიურ კანონთა საერთაშორისოდ,

* „სპარსული წერილები“ – მონტესკიეს ერთ-ერთი პირველი ნაწარ-
მოები. ეპისტოლარული ფორმის რომანია. აღწერილია საქართველოს
ცალკეული მხარეები, ნახსენებია თბილისი, დახასიათებულია თავისუფ-
ლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხი. ბერნიეს, ტავერნიესა და შარდე-
ნის საქართველოს აღწერილობებზე დაყრდნობით ასახულია XVII-XVIII
საუკუნეების საქართველოს მძიმე საზოგადოებრივ-ისტორიული და კულ-
ტურული მდგომარეობა. საინტერესოა ისიც, რომ მონტესკიემ ჩვენი ქვეყნის
ამგვარი ყოფა დაუკავშირა საერთო ისტორიული განვითარების პროცესს.[68]

საზოგადოებრივად, სამოქალაქოდ დაყოფის შესახებ [90]; მმართველობის სამი ტიპის (რესპუბლიკური, მონარქიული, დესპოტიური) შესახებ [91]. თუმცა, ეს და, სხვა საკითხები, ამერიკასა და საფრანგეთში განვითარებული მოვლენების შემამზადებლად იქცა. მათგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კანონისა და ბუნებრივი გარემოს შესახებ ჩამოყალიბებული თეორია: „საჭიროა, რომ ... კანონები შეესაბამებოდნენ იმ მმართველობის ბუნებასა და პრინციპს, რომელიც ამ საზოგადოებაში არსებობს". პოლიტიკური და სამოქალაქო კანონები „უნდა შეესატყვისებოდნენ ქვეყნის ფიზიკურ მონაცემებს: „ცივ, ცხელ თუ ზომიერ ჰავას, ნიადაგის ხარისხს, მის მდებარეობასა და სიდიდეს. ხალხის-მიწათმოქმედთა, მონადირეთა, მწყემსთა ცხოვრების წესს. ისინი უნდა შეესაბამებოდნენ თავისუფლების იმ ხარისხს, რომელსაც სახელმწიფო წყობა აიტანს. მოსახლეობის რელიგიას, მათ მიდრეკილებას, სიმდიდრეს, რაოდენობას, კომერციას, ადათებს. ყველა ეს მიმართულებები მონტესკიეს მიხედვით ქმნიან „კანონთა გონს" [92].

ფრანგული განმანათლებლობიდან პარალელები უნდა გავავლოთ XIX-XX საუკუნეების მსოფლიოსთან. დღევანდელი სახელმწიფოებრივი სამართალი დიდადაა დავალებული ხელისუფლების დანაწილების მონტესკიესეული თეორიისაგან. ეს ძნელი მოსახერხებელია, რადგან XVIII საუკუნეში უამრავი პრობლემაა შესასწავლი. ერთი უნდა გამოიკვეთოს. XVIII საუკუნემდე პერიოდი, ესაა ხალხთა და კულტურათა ურთიერთშერწყმის, დინებათა გაერთიანების პერიოდი. დეცენტრალიზაცია, დაცალკევება და ნაციონალიზმის გაჩენა XIX საუკუნიდან შეინიშნება. მაშინ, როცა ხალხთა ერთიანობის იდეამ დაკარგა თავისი თავურგიული მნიშვნელობა და უალრესად მახინჯი ფორმები მიიღო სოცინტერნებში, კომუნისტური პარტიის მანიფესტში და სხვა.

ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმსა და ცრუ კოსმოპოლიტიზმს შორის გამყოფი ხაზი გერმანიაში ვაიმარული კულტურის* წარმო-

---

* აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ლუკას კრანახი, ი.ს. ბახი; კ.მ. ვილანდი; ი.ვ. გოეთე; ი.გ. ჰერდერი, ი.ფ. შილერი, ფ. ლისტი და სხვანი.

მადგენლებმა გაავლეს. საფრანგეთში, განმანათლებელთა მიერ დანთებულმა ხანძარმა ევროპის ცენტრალური კულტურული კერები გამოაფხიზლა. დაიწყო საფრანგეთის რევოლუციის წარმომშობი იდეოლოგიების გაანალიზება. გერმანელი რომანტიკოსები დაუპირისპირდნენ განმანათლებელთა მსოფლიო ისტორიის პროგრესული განვითარების თეორიას. მათ განიზრახეს შეესწავლათ თითოეული ერის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში. რომანტიზმის დაკვირვების ობიექტად იქცა კონკრეტული სახე, რომანტიკოსებმა ფილოსოფიის, ესთეტიკის, ეთიკის განახლება დაისახეს მიზნად: გერმანელი რომანტიკოსების მნიშვნელობის წარმოსადგენად რამდენიმე გვარის დასახელება საკმარისია . ნოვალისი, ძმები შლეგელები, შელინგი და სხვა. თანდათან, რომანტიზმი ევროპის ყველა ქვეყანაში გავრცელდა და საქართველოშიც ჩამოაღწია. (გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი) . ინგლისური რომანტიზმის ფუძემდებელმა უილიამ უორდზუორთმა* (Wiliam Wardsworth 1770-1850) განსაზღვრა რა პოემის რაობა, მოგვცა რომანტიკული მსოფლმხედველობის კვინტესენცია. აი, რას ამბობს უ. უორდზუორთი პოეზიის შესახებ** : „ყველაზე დიდი ფილოსოფია პოეზიაა“. მისი ობიექტია სინამდვილე, არა ინდივიდუალური და ლოკალური, არამედ ზოგადი და მოქმედი. პოეზია არის ადამიანისა და პიროვნების სახე. პოეზია არის უსასრულო და მშვენიერი სული ყოველგვარი ცოდნისა. ის არის ყველა მეცნიერების ჩიხიდან გამომყვანი. შექსპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტი ისაა, ვინც მარად „სჭვრეტს მას რაც იყო პირველად და რაც იქნება ბოლოს“.*** პოეზია არის ის მტკიცე გალავანი, რომელიც იცავს ადამიანის პიროვნებას. პოეზია არის უპირველესი და უძველესი ცოდნა-„ის რაც უკვდავი და მარადიულია ადამიანის გულში“[94].

---

* ინგლისური რომანტიზმის ფუძემდებელნი უ. უორდზუორთთან ერთად არიან ს. კოლრიჯი (1772-1834 წ.წ.) და რ. საუთი (1774-1843 წ.წ.) ე.წ. „ტბის პოეტები“ – ლეიკისტები (The lake shod of poets)

** 1800 წელს გამოქვეყნდა უორდზუორთისა და კოლრიჯის „ლირიული ბალადების“ მეორე გამოცემა, რომელსაც წინ უძღოდა უორდზუორთის წინასიტყვაობა[93]

*** " that he looks before and after"

რომანტიზმის რაობა განსაზღვრა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ (1749-1832 წ.წ.) უკვდავ „ფაუსტი“-ში. ვაიმარელი გენიოსისათვის უცხო არ იყო რომანტიკული სევდა. იგი წარმოგვიდგენს მეცნიერების ოსტატსა და სულიერ მკვლევარს დოქტორ ფაუსტს. ფაუსტი შემეცნებისა და შემოქმედების მეშვეობით მიზნისაკენ მსწრაფველი ადამიანია.[95] აი, როგორ გადმოგვცემს გოეთე რომანტიკული მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ სევდას დოქტორ ფაუსტის ენით.

მაღალთაღებიანი, ვიწრო გოტიკური ოთახი. ფაუსტი მოუსვენრად ზის თავის სავარძელში მაგიდის წინ.

ფაუსტი

მე გულმოდგინედ შევისწავლე ფილოსოფია,
ღრმად შევითვისე მედიცინა და სამართალი
და შემდეგ, ჩემდა სამწუხაროდ, თეოლოგიის
დაუფლებაზეც საკმარისად ვიმტვრიე თავი.
მაგრამ რა შედეგს მივაღწიე ამდენი გარჯით,
როცა მე, ბრიყვი, ისევ ისე ბრიყვადვე დავრჩი!
თუმც კი ვიფერებ მაგისტრის და დოქტორის ხარისხს,
მაგრამ ჰა, ათი წელიწადი შესრულდეს ლამის,
რაც ასე ურცხვად მოტყუებულ ჩემს მოწაფეებს
უქმ და უსაქმო ყბედობაში ვუღამებ დღეებს,
და გულმოკლული ვხედავ, რომ სულ არაფრის ცოდნა
არ ძალუძს თურმე ამა ქვეყნად ადამის მოდგმას.
თუმც განათლებით მაინც კიდევ ვჯობივარ ყველას—
დოქტორებს, ხუცებს, მაგისტრებს და უდღეურ მწერალთ;
თუმც მოკლებული ეჭვებსა და სულელურ დარდებს,
არაფრად ვაგდებ ქვესკნელსა და ეშმაკის ფანდებს,
მაგრამ ვაი, რომ სიხარულიც გამირბის განზე!
ვერა, ვერ ვიტყვი სხვათა მსგავსად საკუთარ თავზე,—
რომ ბნელში დანთქმულთ წინ ვუძღოდი და გზას ვუკვლევდი,
ან ჩემი ცოდნით მათ მძიმე ხვედრს ვუმსუბუქებდი.
ვერ მოვიხვეჭე ვერც სახელი და ვერც ქონება,
არც ქვეყნიური რამ სიკეთე მომეპოვება.
ალბათ ძაღლიც ვერ აიტანდა ამნაირ ყოფას!—

და ამიტომაც მე მაგიას და ჯადოქრობას
მივმართეთ, რათა სულებისგან შევიტყო, რასაც
ასე ამაოდ ვადევნებდი გონების თვალსა;
რომ ჭირის ოფლში გაღვარული გულმოსაკლავად,
არ ვასწავლიდე სხვებს იმას, რაც არ ვიცი თავად;
რომ მე როგორმე მოვახერხო იმის შეტყობა,
რაც თვით ბუნებას ჩვენთვის ასე ძნელად ეთმობა;
რომ ამოვიცნო გასაღები შემოქმედ ძალის
და დავანებო ფუჭ სიტყვების რახარუხს თავი.
ო, მთვარევ იქნებ უკანასკნელად
ხედავდე ამ ჩემს სატანჯველს შენა,
რომლის შუქზედაც მრავალი ღამე
მითენებია მწარეზე მწარე,
ამ მაგიდასთან წიგნებზე დახრილს,
ოდეს მიმზერდი მეგობრულ სახით;
ეგებ მიჩვენო მთები ზღაპრული,
მაგ შენს საამურ შუქში ჩაფლული;
ეგებ სულებთან ნავარდში ისევ
ვიგრძნო სიცოცხლე და სიხალისე,
და შენს წიაღში დავეხსნა სულაც
მეცნიერების ყოველგვარ ბურანს.
აქ უნდა დავრჩე გამომწყვდეული
და ვერ დავტოვო სორო წყეული,
რომლის მოხატულ სარკმელთა მინებს
ციური შუქიც ძლივს ატანს სხივებს?!
მატლით დაღრღნილი, ჭვარტლით მოსვრილი
სველი წიგნები და ქაღალდები;
ისევ აქა-იქ მიყრილ-მოყრილი
უქმი ხელსაწყო იარაღები
ისევ ეს ძონძი, ეს შუშის ქილა,
ეს ძველმანებით ავსილი თარო,-
აი ეს არის შენი სამყარო,
თუკი ამასაც სამყარო ჰქვია!
და ამის შემდეგ რატომღა გიკვირს,
რომ ეგ ისედაც ტანჯული გული

ათასნაირი დარდით და ფიქრით
არის შექმული და გამოხრული.
ეს იმიტომ, რომ ღვთით განახარებ
ბუნებასა და სულდგმულთ კი არა,
მიცვალებულთა ძვლებსა და გვამებს
ანდომებ მთელ შენს სულიერ ძალას.
ზეწამოიჭერ, გზები ხსნილია!
ეს წიგნი იყოს მეგზური შენი,
წიგნი, რომელიც დაწერილია
ნოსტრადამუსის* საკუთარ ხელით.
მისგან შეიტყობ ყველაზე მთავარს:
ვარსკვლავთ გზებსა და სიბრძნეს ბუნების,
რომელიც მოგცემს შენ იმის ძალას,
რომ გამოიხმო სულმა სულები.
თორემ იცოდე, გონება მშრალი
ვერ ამოგიხსნის ამ წმინდა ნიშნებს!
სულნო, სწორედ ამ ნიშნების ძალით
გამომეცხადეთ, თუკი რომ მისმენთ!

(გადაშლის წიგნს და ხედავს მაკროკოსმოსის ნიშანს **).
ეს რა უსაზღვრო ნეტარებით მევსება სული,
ეს რა უცნაურ ჟრუანტელს მგვრის ამ ნიშნის ხილვა!
ისევ იღვიძებს სიხალისე ახალგაზრდული
და მთლად უკვალოდ იფანტება წარსული დრტვინვა.
ღმერთი თუ იყო, ვინც მოხაზა აქ ეს ნიშანი,
რომლის თვით ერთი დანახვაც კი ასე მიამებს

---

* ნოსტრადამუსი – XVI საუკუნეში საკმაოდ ცნობილი ექიმი, ასტროლოგი და ალქიმიკოსი.

** შუა საუკუნეების მისტიკოსების მოძღვრების მიხედვით, მაკროკოსმოსი წარმოადგენს აბსოლუტს, სამყაროს, ხოლო მიკროკოსმოსი– ადამიანს. მაგიის წიგნებში მაკროკოსმოსის ნიშანი გამოსახავდა სამყაროს, ბუნების ცოცხალ ძალებს.

მშფოთვარე სულს და გატანჯული გულის იარებს
და ჩემს გარშემო საიდანღაც მთელი სიშმაგით
ავლენს საწუკვარ მარადცოცხალ ბუნების ძალებს.
იქნებ მე თვითონ ღმერთი ვარ და ეს ჩემი სული
სჭვრეტს ამ ნიშანში გარემომცველ შემქმნელ ბუნებას!..
ეს რა ნეტარი ნათლის სხივი მესალბუნება!
ახლაღა მესმის მნიშვნელობა ბრძენკაცის თქმულის:
„სულთა სამყარო დაგმანული ნუ გეგონება;
გამოგფიტვია, როგორც გული ისე გონება.
ზეწამოიჭერ შეგირდო, და ეგ მკერდი შენი
აისის სხივთა მძლე ცვარ-ნამში განბანე ლხენით!"

(ათვალიერებს ნიშანს).
როგორ ჩართულა და მოძრაობს ნაწილი მთელში!
როგორ იგრძნობა ჰარმონია აქ ყველაფერში!
როგორ ილტვიან საწუკვარნი ციური ძალნი
ზევით და ქვევით დაუღეგარნი
და ერთურთს სავსე ოქროს კალათებს
აწვდიან და თან ჰანგებს სანატრელს
აფრქვევენ თავზე კურთხეულ ფრთებით
ციდან სამყაროს დაუსრულებლივ.
სანახაობა და სეირი, ვაგლახ, სეირი
არის ეს მხოლოდ! ო, ბუნებავ უკიდეგანო,
როგორ უნდა ვწვდე მაგ შენს ჯიქანს, ობლად შთენილი,
ცისა და მიწის დაუშრეტელ სიცოცხლის წყაროს,
რომლის უებრო ჩქერალებსაც ესოდენ ელტვის
წყურვილისაგან ნაწამები ეს ჩემი მკერდი!
(უკმაყოფილოდ ფურცლავს წიგნს და ხედავს დედამიწის სულის ნიშანს.)

ფაუსტის სიტყვით ფილოსოფოსებს, ღვთისმსახურებს, პოლიტიკოსებს, მწერალ-მწიგნობრებს, ადამის მოდგმას „სულ არაფრის ცოდნა არ ძალუძთ". საკუთარი თავის თვითგამორკვევით ფაუსტი თანდათან მაღალი იდეალებისაკენ ილტვის. ვინ ვარ მე? სვამს ის კითხვას და პასუხსაც სცემს. იგი გამოარჩევს კაცობრიობის მოამაგე ადამიანებს. ასეთებად, ფაუსტს მიაჩნია: გამომგონებლები, გმირები,

რაინდები და მდიდარი ქველმოქმედ- მეცენატები. ამათგან, თვითონ არც ერთს არ მიეკუთვნება. გატანჯული ცხოვრების მქონეს მაგია და ჯადოქრობა გაუხდია ძალთა ცდის საქმედ. რად მოეკიდა ფაუსტი სულისთვის სამძიმო ამ საქმეს? მან ჯერ გონებით აღმოაჩინა სამყაროს მამოძრავებელი კანონები და, რადგანაც მათზე ვერავითარი გავლენა ვერ შესძლო, გადაწყვიტა მაგიისა და ჯადოქრობის ძალით აეხდინა საწადელი. ფაუსტის სურვილი ბუნებისაგან დაფარულის ახსნაა, შემოქმედი ძალის გასაღების პოვნაა. ამ რთულ გზაზე იგი შეგირდია-ნეოფიტი. დიდია და საინტერესო სრულქმნილებამდე გასავლელი მანძილი. ნაწარმოებში აღწერილია მთელი ეს თავგადასავალი.

გოეთეს თანამედროვე და მეგობარი* იყო ერთი გერმანელი ფილოსოფოსი, რომელმაც თავის ნაწარმოებებში გამოააშკარავა ნაციონალიზმის დაფარული მარცვლების ელვარება. ეს ადამიანი გახლდათ იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერი (1744–1803). მისი ერთ-ერთი თხზულება „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის" (ტ.1–4) ორმაგადაა საინტერესო ქართველი მოსწავლეებისათვის. ჯერ ერთი, გადმოსცემს ეროვნული განვითარების მნიშვნელობას საკაცობრიო ცივილიზაციისათვის და მეორე – XVII წიგნის IV ნაწილში საუბარია საქართველოს შესახებ[96]. ჰერდერმა შესძლო მსოფლიო ცივილიზაციაში გამოერჩია კულტურული ერების მნიშვნელობა. ასეთ ერად იგი მიიჩნევდა მას ვინც მეტ-ნაკლებად შეიტანა წვლილი საკაცობრიო კულტურის საგანძურში. ერთა და ეროვნებათა ჭეშმარიტი ინტერნაციონალური კვლევა სწორედ ვაიმარული იმპულსებიდან იწყება. ჰუმანიზმი კაცობრიობის კანონზომიერი განვითარების შედეგია. ჰუმანიზმი არის ცოდნისა და აზროვნების თვითკონტროლის პროცესი. ჰუმანიზმის არსი სხვა ქმნილებათადმი თანაგრძნობაა. ჰუმანიზმი, ყოველი ნივთისა და მოვლენის შეცნობით, ყოვლის შემქმნელის შეცნობაა. ჰუმანიზმი „კვირტია იმ მომავალი

---

* 1776–1803 წლებში ჰერდერი ვაიმარის გენერალური სუპერინტენდანტი (უმაღლესი სასულიერო პირი, უფროსი პასტორი) გახლდათ. ეს თანამდებობა მან მიიღო გოეთეს დახმარებით, რომელმაც ვაიმარულ სასულიერო საზოგადოებას, ჰერდერის მტკიცე მორწმუნოების წინააღმდეგ ეჭვები გაუფანტა.

ყვავილისა",[97] რომლის გამოღებაც ადამიანზეა დამოკიდებული და ისტორიის არსს წარმოადგენს. ამრიგად , ჰერდერი თვლის, რომ ადამიანის ისტორია ეს ბუნებრივი პროცესების გაგრძელებაა. „ჰუმანურობა"–კი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ღვთის მგვანობა,[98] რაც ბუნების კანონების შეცნობაშიც მდგომარეობს. ჰუმანიზმის დაყენება უძირითადეს ისტორიულ კანონზომიერებათა წარმმართველ ფაქტორად ნიშნავდა ევროპული აზრის მიბრუნებას რენესანსული ეპოქისაკენ.

ჰერდერის მიხედვით, კაცობრიობა, კულტურული ეპოქების გავლით ისტორიული განვითარების აღმავალ თვისებას ამჟღავნებს. ეპოქებს კი დიდი ერები ქმნიან: ეგვიპტელები, სპარსელები, ბერძნები, რომაელები და სხვა. ჰერდერის მიხედვით, კაცობრიობის ისტორიული განვითარება სამყაროს მთლიანობით აიხსნება. ისტორიული განვითარება დაკავშირებულია ყველა წინარე კოსმოლოგიურ განვითარებასთან, გეოგრაფიულ, კლიმატურ ფაქტორებთან. იგი პროვიდენციალური* და ტელეოლოგიური** სქემებით წარმოგვიდგება. ანალოგიის მეთოდი მიკროკოსმოსსა (ადამიანი) და მაკროკოსმოსს (ბუნება, სამყარო) შორის საუკეთესო საშუალებაა ისტორიული და ბუნებრივი პროცესების ასახსნელად.

---

* პროვიდენციალიზმი (ლათ. prvidetia – განგება) ისტორიული მოვლენების ახსნა განგების ძალით. მას ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში".

„უგანგებოდ ვერას მიზმენ შეცა-მებენ ხმელთა სპანი;
განგებაა არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი ..." სტროფი 1039
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების" სტროფი 793;
„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუვლელად მომავალი საქმე ზენა" სტროფი 795 (იხ. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი" თბ. 1992)

** ტელეოლოგია – ( ბერძ. teleioc –მიზანს მიღწეული, logos – სიტყვა) მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელებაა.

კულტურული ერების წარმოჩენისათვის, ჰერდერი ისტორიულად აანალიზებს კაცობრიობის სულიერი მონაპოვრებისნაირგვარობას: ენას, მითოლოგიას, აზროვნებას, კანონმდებლობას და სხვა. მითოლოგემები კაცობრიობის ბავშვობის ასაკის გამოხატვაა. მითი არის „ადამიანის სულის ფილოსოფიური გამოცდილება, როცა იგი ჯერ არ გამოფხიზლებულა და ძილში კიდევ ხედავს სიზმრებს“.[99]

ჰერდერს ისტორიული განვითარების სუბიექტებად მიაჩნია გენიალური პიროვნებები. გამოგონებები და აღმოჩენები კი კაცობრიობის პროგრესის გამოვლინებად, გამომგონებლები-კაცობრიობის გმირებად.

* * *

ეროვნულ საკითხთა გააზრების ტენდენციური მიმართულების ფუძემდებელი გახლდათ ჩარლზ დარვინი (1809-1882 წ.წ.). მისი კაპიტალური ნაშრომი იყო „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით, ანუ უკეთ შეგუებული ჯიშების გადარჩენა სიცოცხლისათვის ბრძოლაში“ (გამოქვეყნდა 1859 წელს).[100] დარვინის თეორიები ეფუძნება სამყაროს შესახებ დეისტურ * შეხედულებებს[101]. დარვინი დიდად იყო დავალებული თავისი ეპოქის საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან, დევიდ ჰიუმის (1711-1776), ადამ სმითის (1723-1790) და განსაკუთრებით ინგლისელი მღვდელ-ეკონომისტის ტომას რობერტ მალთუსის[102] (1766-1834) ნაშრომებისაგან. დარვინის თეორიები პოპულარობით სარგებლობდა, მან ხომ ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. იმ ეპოქისთვის კი ათეიზმი „მოდად“ იყო ქცეული. სანამ დარვინის თეორიის შესახებ ვისაუბრებდეთ, კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს გავაცნობთ ამ ადამიანის ხასიათის შტრიხებს. იგი დაიბადა შეძლებულ ინგლისურ ოჯახში. დედა გარდაეცვალა რვა წლის ასაკში. მამამისმა, რომელიც ექიმი იყო და ცდილობდა მისი ვაჟიც თავის კვალზე შეეყენებინა, დიდი გავლენა იქონია

* დეიზმი–რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება. იგი სამყაროს პირველმიზეზად აღიარებს ღმერთს, რომელიც შემაქმის შემდეგ ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

ბავშვის სულიერ. ფორმირებაზე. მსოფლმხედველობით ჩარლზ დარვინის მამაც და ბაბუაც ათეისტები იყვნენ. ბავშვობაში გატაცებით კითხულობდა სათავგადასავლო-რომანტიკულ ლიტერატურას (უ. სკოტი, ბაირონი, მილტონი, შექსპირი) აღფრთოვანებული იყო ბერძნული ოდების სმენით და სოფლის პეიზაჟების მომხიბვლელობით. 16 წლისა ედინბურგში საექიმო საქმის შესასწავლად გაგზავნეს, მაგრამ ოპერაციებისა და ანატომიური გაკვეთებისადმი უარყოფითი ფსიქოლოგიური განწყობილების გამო სწავლის ნაცვლად მარტოხელა ხეტიალს, სპორტსა და ნადირობას მიჰყო ხელი. უსაქმურობას და ზარმაცობას რომ არ გადაჰყოლოდა, მამამ განიზრახა სასულიერო განათლება მიეცა შვილისათვის და მღვდლის კარიერაზე დაეგეშა. 19 წლის დარვინი კემბრიჯის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას მღვდლის მანტიის მოსაპოვებლად. გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებისთანავე, მამის ხარჯებით, 22 წლის დარვინი მიდის ხუთწლიან მოგზაურობაში დედამიწის გარშემო. 1839 წელს ირთავს ცოლს და სამუდამოდ გადადის საცხოვრებლად დაუნის მამულში (საიდანაც იყო მისი მეუღლე წარმოშობით). აქ (დაუნში) იქმნებოდა ახალი თეორიები, რომელთაც საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის ბომბის აფეთქების მნიშვნელობა შეიძინეს.

დარვინის თეორია, ეს იყო სხვადასხვა სახეობების, ერთი საერთო წინაპრისგან თანდათანობით, ევოლუციით წარმოშობის თეორია. ის სამყაროს ისტორიულ განვითარებას მატერიალისტურად ხსნიდა. გამორიცხავდა ადამიანისა და ცოცხალი ორგანიზმების შექმნაში ღმერთის მონაწილეობას. დარვინი მცენარეთა და ცხოველთა ახალი ფორმების წარმოშობაში უმთავრეს როლს ბუნებრივ გადარჩევას უთმობდა. ბუნებრივი გადარჩევა ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმს თავის გადასარჩენად უხდება ბრძოლა სამყაროს სხვადასხვა ფაქტორებთან. არსებობისათვის ბრძოლა მიმდინარეობს, როგორც ერთი პოპულაციის შიგნით, ასევე პოპულაციათა შორისაც. ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ის ვინც უკეთ შეეგუება გარემო პირობებს. ამრიგად, ბუნებრივი გადარჩევისას გამოვლენილი „არსებობისათვის ბრძოლაში" გამარჯვებული არის ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი და მმარ-

თველი ფაქტორი. ევოლუციას* განიცდის არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული პოპულაცია.** გადარჩენის მეტი შანსი აქვთ იმ ფორმებს, რომლებიც ბიოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან და, მაშასადამე, ერთიმეორესაც ნაკლებ კონკურენციას უწევენ. უშუალოდ, ადამიანის ევოლუციის პროცესი, დარვინმა ჩამოაყალიბა ნაშრომში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა" (1871), რითაც დასაბამი დაუდო ანთროპოგენეზის*** მატერიალისტურ თეორიას.

ევროპაში დარვინის მოძღვრება ისეთ საფრთხობელად იქცა, რომელიც თავზარს სცემდა კეთილმორწმუნე მრევლს. „მართლაც და ქვეყნიერების გაჩენიდან დაახლოებით 6 000 წელი გავიდაო, რომ ამბობენ თურმე არ ყოფილა მართალი" –ფიქრობდნენ დაზაფრული ევროპელები, რომელთაც კარგა ხანია დავიწყნოდათ ბიბლიის კითხვა. დარვინის თანამედროვენი ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ფაქტს შვიდ სამუშაო დღეში მომხდარ მოვლენად აღიქვამდნენ. ალბათ, ბევრნი არ იყვნენ ასეთი ადამიანები, მაგრამ, ცხადია, მათი კომიკური მდგომარეობა საერთოევროპული სულიერი და კულტურული კრიზისის მანიშნებელი იყო. ეს კრიზისი წინარე რეალიებმა წარმოშვეს. დარვინიზმი ადამიანის ჩამოყალიბების მიზეზად მიიჩნევს შრომას. მეტყველება, მისი გაგებით, თანაცხოვრებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის შედეგად წარმოშობილა. ჩვენ ვიცით ფუტკრების, ობობების, ფრინველების (მერცხლების, მოლაღურების) და სხვათა

---

* ევოლუცია – ცვლის, განვითარების პროცესი

** პოპულაცია – (ფრანგ. **population** – მოსახლეობა) ერთი სახეობის იმ ინდივიდთა ერთობლიობა, რომლებიც მრავალი თაობის მანძილზე ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, თავისუფლად ეჯვარებიან ერთმანეთს და სხვა ასეთივე ჯგუფებისაგან მეტ–ნაკლებად იზოლირებულნი არიან.

*** ადამიანის ფიზიკური ტიპის ისტორიული ევოლუციური ტიპის ჩამოყალიბების, ასევე საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. დღემდე, ისტორიის სახელმძღვანელოებში, ანთროპოგენეზი დარვინისტული თეორიის თანახმად ისწავლება. ეს სერიოზული ხარვეზი უსათუოდ გამოსასწორებელია.

„შრომის“ შესახებ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მივიჩნევთ ინტელექტუალური განვითარების საფეხურზე მდგომ ორგანიზმებად. თანაცხოვრებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის უამრავ მაგალითს იძლევა ცხოველთა სამყარო. რამდენიმე ათასი საუკუნის მანძილზე, მეტყველება არ დაუწყია რომელიმე სახეობას. არც ბუნებრივი გადარჩევის შეხედულებებია გასაზიარებელი. დარვინი მიიჩნევს, რომ ბუნებრივი გადარჩევა ყოველგვარი მიზანდასახულობის გარეშე ხდებაო. ბუნებრივ გადარჩევას აქვს თავის მიზანდასახულობა, რასაც მივყავართ კიდეც ღვთის არსებობამდე. ისეთი მარადადამიანური თვისებები, როგორიცაა სიყვარული მოყვასისა, აბსტრაქტული სამართლიანობისა, მეგობრობა, თავგანწირვა და სხვა, შეუძლებელია გამოსაყენებელი ყოფილიყო არსებობისათვის ბრძოლაში.[104] ზნეობრივი გრძნობები, მშვენიერის აღქმა, მისტიკური განცდა ადამიანის მარადიული თვისებებია. არასოდეს ყოფილა ადამიანი ამ თვისებების გარეშე[105]. მათ შესახებ დარვინის მოძღვრება, არაფერს ამბობს.

დარვინის ყველაზე დიდი შეცდომა ის გახლდათ, რომ მას პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა ბიბლიის შინაარსი. როგორც ჩანს, მართალი იყო გერმანელი ასტრომონი, პლანეტათა მოძრაობის კანონის აღმომჩენი იოჰან კეპლერი (1571-1630), როცა ამბობდა: „სწორედაც, რომ გაკიცხვის ღირსია ბიბლიის ბოროტად გამომყენებელთა საქციელი, როცა მასში ეძებენ პასუხებს ბუნებისმეტყველების კითხვებზე“[106]. კეპლერი უკვე გრძნობდა ამ ტენდენციის მახინჯი შედეგების შესახებ.

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ – წმინდა წერილის ეს სიტყვები არ არის მეცნიერული ფაქტის კონსტატაცია. იგი გვამცნობს გამოცხადების შემოქმედის, სასწაულის შესახებ, რომელიც აბსოლიტურსა და ფარდობითს შორის არსებული აუხსნელი კავშირის სახეს წარმოგვიდგენს. ბიბლიის პირველი თავის ენა ესაა მითის ენა, ამ სიტყვის უმაღლესი და წმინდა მნიშვნელობით. სურათი, სახე, სიმბოლო, რომელიც აბსტრაქციას ცვლის, არის გამოხატვის საშუალება, რომელიც აუცილებელია რწმენისათვის და ნიშანდობლივია ყველა რელიგიისათვის.“[107]

## 15. ფაშიზმი და კომუნიზმი

დარვინის მიერ ბიბლიის უკუღმართმა კითხვამ და რელიგიის წინააღმდეგ ცრუ მეცნიერების გამოყენებამ წარმოშვა ისეთი თეორიები, რომლებმაც უკიდურესად გაამწვავეს ნაციონალური საკითხი. ბუნებრივი გადარჩევა და ბრძოლა არსებობისათვის საზოგადოებრივ კლასთა და ეროვნებათა შორის პრობლემების მოგვარების კრიტერიუმად აქციეს. ამან, ერთი მხრივ, წარმოშვა სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) და, მეორეს მხრივ ნაციონალ-სოციალისტური -(ფაშისტური) პოლიტიკური დოქტრინები. ევროპიდან გავრცელებული იდეოლოგიური დივერსიის ეპიდემია ბუმერანგივით დაუბრუნდა ისევ ევროპას და დღემდე სულიერი კომის მდგომარეობაში ამყოფებს მას.

დარვინის იდეების აღდგენა მოხდა გერმანიის მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის (ნაცისტური პარტია) პოლიტიკურ პროგრამაში. ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ადოლფ ჰიტლერი (1889-1945) ეროვნებათაშორის ბრძოლას დარვინისეულ ბუნებრივ გადარჩევასა და არსებობისათვის ბრძოლასთან აიგივებდა. ჰიტლერის ნაშრომში – „ჩემი ბრძოლა" ("Mein Kampf" ) დაუფარავადაა ლაპარაკი ანტისემიტიზმის, ნაციზმის, ანტიმარქსიზმის და სოციალური დარვინიზმის იდეების შესახებ. ჰიტლერი სიამაყით აცხადებს, „ეროვნებათა ურთიერთ ბრძოლაში ადრეული სიყრმიდანვე ჩავები"[108], „ჩვენი ამოცანა იყო გვებრძოლა ჩვენი რასისა და ერის არსებობისათვის, ჩვენი შვილების გამოკვებისათვის, ჩვენი სისხლის სიწმინდისათვის", [109] ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს „მიზანი ხალხის დროებითი კეთილდღეობა კი არაა, არამედ ერის მუდმივი არსებობის უზრუნველყოფა"[110] და სხვ. გარდა ამისა, ჰიტლერი ლაპარაკობს სასიცოცხლო არეალის გაფართოების შესახებაც. თუკი სამყაროში ბიოორგანიზმთა, განვითარების მექანიზმად არსებობისათვის ბრძოლაში მიმდინარე ბუნებრივ გადარჩევას მივიჩნევთ და ადამიანსაც, როგორც საერთო წინაპართაგან წარმოშობილ უმაღლეს პოპულაციად წარმოვიდგენთ, ეს ყველაფერი ნაცისტურ აზროვნებაში მარტივად შეიძლება ტრანსფორმიდეს, როგორც სხვადასხვა ერთა შორის არსებობისათვის ბრძოლის მიმდინარეობა.

ჰიტლერი მიიჩნევდა, რომ: ერმა არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებისათვის, ყოველი ძალა და საშუალება უნდა იხმაროსო.

მაშასადამე, XX საუკუნის ფაშიზმი, დარვინისტული იდეებისათვის, მხოლოდ საზარბაზნე ხორცს წარმოადგენდა. საბჭოთა იმპერიაში დარვინიზმი კლასთაშორის ბრძოლის პრაქტიკაში განხორციელდა და მასობრივი რეპრესიების გაუთავებელ ტალღებს წარმოქმნიდა.

VIII–IX კლასებში მოსწავლეებს შეიძლება ვესაუბროთ ევროპაში მიღწეული იდეალების — „თავისუფლების", „თანასწორობის", „ძმობის" შესახებ, და გავავლოთ პარალელები ჩვენი ქვეყნის მიულწეველ იდეალებთან. აქ, შეიძლება უამრავი საკამათო საკითხი დაისვას, მაგრამ ამოსავალ წერტილად, უნდა ჩაითვალოს თერგდალეულთა მიერ წამოყენებული თეზა — „ენა, მამული, სარწმუნოება". მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძემ ეს იდეალები საუკუნეზე მეტი ხნის წინ დასახა, დღევანდელობა კვლავ აყენებს მათ ერის წინაშე. მათ შეიძლება დაემატოს - „ტერიტორიული მთლიანობა, ერთიანობა სიმართლისათვის, ადამიანის უფლებები".

## 16. სიახლე ისტორიის სწავლებაში

გარდატეხის ასაკის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპის (14 წელი) გავლის შემდეგ, მოსწავლეებთან დამოკიდებულება განსხვავებული უნდა გახდეს. 12–დან 16 წლამდე შემჩნეული განსაკუთრებული რიტმირების პროცესი პიკს 14 წლის ასაკში აღწევს. ამ დროს გრძნობები და ცნობიერება მთლიანად გამოთავისუფლდება ფიზიკური სხეულის გავლენისაგან და ადამიანს მათი კონტროლირება შეუძლია. ამ ასაკიდან, სასურველია, რომ მოსწავლეებს დამატებითი ლიტერატურა მივაწოდოთ. თუ X კლასამდე ისტორიული პროცესების განვითარების აღმასვლას წარმოვუდგენდით, ახლა დიდი შემობრუნების ეტაპი დგება და უახლესი საუკუნიდან უხსოვარი დროისკენ უნდა ვიმოგზაუროთ. გარდატეხის ასაკის შემდეგ ადამიანებს უჩნდებათ სურვილი ყველაფერს ახლებურად, თავიდან შეხედონ.

X კლასიდან აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მეიევისტიკისა* და ევრისტიკის** მეთოდები. ამ ასაკში მთვლემარებიდან გამოსული ცნობიერება აზროვნების სურვილითაა აღსავსე. მოსწავლეებს აზროვნება საკუთარ გრძნობებზე დაკვირვების შედეგად უნდა დავაწყებინოთ. საინტერესო რეაქციას გამოიწვევს კლასში ასეთი შეკითხვის დასმა: რას მოიმოქმედებდით და რა გრძნობები დაგეუფლებოდათ ტყეში რომ მარტოდ-მარტო მოხვედრილიყავით? მოსწავლეები იწყებენ წარმოდგენას და თავისდაუნებურად აღწერენ იმ პირობებს, რომლებიც გვაროვნული საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგი ამბობს, რომ მდინარეში თევზებს დაიჭერს, ზოგიც — ნაყოფს შეაგროვებს, ხეზე სახლს აიშენებს, რომ ნადირმა არ ავნოს, ზოგი ცეცხლს დაანთებს და სხვ. ამ ასაკში ადამიანში ილვიძებს შეფასების მომენტიც. მოსწავლეები თავიანთი წარმოდგენით უკვე აფასებენ კიდევაც სიტუაციას. შეიძლება მოვისმინოთ ისეთი პასუხებიც, რომლებიც ძველი ადამიანების ცხოვრებას ამდაგვარად ხსნის: უძველესი წინაპარი სრულიად შეუგნებლად მოქმედებდა დაშედეგებიც თავისთავად არის მიღებული, მაგრამ რატომ მაინც და მაინც ის გამოვიდა და არა სხვა რაიმე? ამაზე პასუხი არა აქვთ.

შემდეგ, მოსწავლეთა ფიქრს მივმართავთ ძველ ადამიანთა ტომში ისეთი გამორჩეული პირების, ხელმძღვანელების მოღვაწეობისაკენ. ასეთები იყვნენ ბელადები, ადამიანთა მასწავლებლები და წარმმართველები. სწორედ მათ, გამორჩეულმა ადამიანებმა, ბელადებმა მიიყვანეს საზოგადოება შუამდინარეთში ქალაქური ტიპის საცხოვრისამდე. VI კლასში განვლილი მასალა აქ ხელახალი გააზრებით, ცნობიერად აღიქმება. შუამდინარელთა ქალაქური წესრიგი წინას-

---

* მეიევისტიკა — მეანობას ნიშნავს. მასწავლებლის დანიშნულებაა მოსწავლის ცოდნის გათვალისწინებით დიალოგი ისე წარიმართოს, რომ მან თვითონვე გააკეთოს ანალიზი და დასკვნა ახალი ცოდნის შესახებ. სოკრატე ამ მეთოდს იყენებდა თავის ფილოსოფიურ დიალოგში.

** ევრისტიკა — მასალის გამოკითხვის და სწავლების მეთოდი პედაგოგიკაში, რომლის მიხედვითაც თანმიმდევრულად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემით მოსწავლეს დასკვნის გაკეთების საშუალება ეძლევა.

წარ შეთანხმებული მოქმედებით ევფრატისა და ტიგროსის თავნებობის ადამიანთა ალაგმვას ითვალისწინებდა. ადამიანები იწყებდნენ შეთანხმებულ მოქმედებას. ასევე იყო ეგვიპტეშიც.

მოსწავლეებს ვუკითხავთ ჰეროდოტეს ცნობებს ეგვიპტის შესახებ.[111] „ნილოსის საჩუქარია ეგვიპტე და მისგან ცხოვრობს“ და ა.შ. ორი – ცისფერი და თეთრი ნილოსი. დიდ ნილოსს ქმნის. წვიმების სეზონის დადგომისას დიდი ნილოსი გადმოდიოდა კალაპოტიდან და ზემო და ქვემო ეგვიპტეს ერთიანად წალეკავდა ხოლმე. ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა ამ წყალდიდობას. კალაპოტს დაბრუნებული მდინარე ნაპირზე ნოყიერ შლამს ტოვებდა, რომელიც მიწათმოქმედებისათვის საუკეთესო საშუალება იყო. მოსწავლეებს დავუსვამთ შეკითხვას: როგორ გავუწევდით ორგანიზაციას იმ ხალხს, რომელთა ყოფნა არყოფნაც ასე იყო მდინარეზე დამოკიდებული? სავარაუდო პასუხი შეიძლება შემდეგნაირი იყოს:


ნილოსის სათავის მფარველი გველი

აუცილებელია „მაცნე“, რომელიც მდინარის სათავეებში წვიმების დაწყებისა და წყალდიდობის მოახლოების ამბავს მიიტანდა ქორომებში მცხოვრებლებთან მოსახლეობა მდინარის სანაპიროებს უნდა გასცლოდა. ყველაზე კარგ „მაცნედ“ გამოდგებოდა მდინარის ადიდების დროის დამახსოვრება. ასეთი რამ კი კალენდრით მოხერხდებოდა. შემდეგ იწყება განსჯა კალენდრის შექმნის შესახებ. მზესა და ცის მნათობებზე დაკვირვებით დაასკვნიდნენ, რომ ნილოსი ივლისის შუა პერიოდში იწყებდა მოდიდებას. ეს ხდებოდა სირიუსის ორკვირიანი გაუჩინარების და ხელახალი გამოჩენის შემდეგ (19 ივლისს თანამედროვე კალენდრით). მაშასადამე, ადამიანებს კალენდრის გამოყენება საშუალებას მისცემდა ზემოაღნიშნულ სტიქიურ მოვლენას მომზადებულნი დახვედროდნენ.

აქ, მასწავლებლის წინაშე ერთი პრობლემა იჩენს თავს. ჩვენგან განსხვავებით – ეგვიპტელებს სრულიად სხვა ცნობიერება ჰქონდათ. როგორ გავაგებინოთ მოსწავლეებს ყველაფერი სწორედ ისე, რო-

გორც ამას ეგვიპტელები იგებდნენ? ამის გაკეთება შეგვიძლია მითე-ბისა და მითოლოგემების, გარკვეული სურათების წარმოდგენით.

ისე, როგორც დედამიწაზე იყო თეთრი, ცისფერი და დიდი ნილოსი, სამყაროშიც სამი ნილოსი არსებობდა. ერთი მიედინებოდა დედამიწაზე, მეორე ქვესკნელში, მესამე კი ზესკნელში. ეგვიპტელთა რწმენით, უმაღლესი ღმერთი – **რა** 24 საათის განმავლობაში გაივლიდა თავისი ნავით ქვესკნელისა და ზესკნელის ნილოსს და დღე-ღამის მონაცვლეობას აწესრიგებდა. მზის ღმერთის მტრად ეგვიპტელები მიიჩნევდნენ წყვდიადისა და ბოროტების უზარმაზარ გველს – აპოპს. იგი დედამიწის სიღრმეში, ქვესკნელში ბუდობს და ქვესკნელის ნილოსზე მოგზაურობისას, მზის ღმერთ **რას** ყოველთვის უბედურებას უმზადებს. აპოპი ყოველ ღამე მთელი ქვესკნელის ნილოსს შესვამს ხოლმე. მზის ღმერთის ნავი ჩერდება. თითქოს მზე შეწყვეტს მოძრაობას (ღამის 4 საათისათვის თითქოს მართლაც არის დროის ასეთი გაშეშების ჟამი). იწყება ბრძოლა რასა და აპოპს შორის. **რა** იმარჯვებს და აპოპს აიძულებს გადაყლაპული წყალი ისევ უკან ამოუშვას[112]. კვლავ გრძელდება **რას** მოგზაურობა ნილოსზე და არც არასოდეს შეწყდება. ასეთია მითი ნილოსზე რას მოგზაურობის შესახებ.

კალენდრის, დღისა და ღამის მონაცვლეობისათვის გავაცნობთ მითებს ცის ქალღმერთის ნუტისა და მზის ღმერთის რას შესახებ. ცისა და მზის გამყოფი, ჰაერის ღმერთის – შუსა და ტენის ქალღმერთის – ტეფნუტას ასულია ნუტი. ნუტს ძმისაგან, მიწის ღმერთის – გებისგან შეეძინა მზე და ვარსკვლევები. ვარსკვლავთა მოძრაობას თვითონვე აწესრიგებს. ნუტი ყოველდღიურად ყლაპავს ვარსკვლავებს და ღამით ხელახლა შობს, ყოველ ღამით კი მზეს გადაყლაპავს და დილით შობს ხოლმე. ამდენად, მზე და ვარსკვლევები ერთმანეთისაგან დააცილა ნუტმა. დედმამისშვილების ასეთი მდგომარეობით შეწუხებული გები წაეჩხუბა



ნუტი, შუ, გები.

ცოლს, რის გამოც ისინი ღმერთებმა ერთმანეთს დააშორეს. გებს ჰორიზონტალურად, მიწაზე მიუჩინეს სამყოფელი, ნუტს კი ვერტიკალურად, ცის მყარში მისცეს ბინა[113]. მიუხედავად ამისა, ნუტს მაინც არ მოუშლია შვილების რიგ-რიგობით ჩაყლაპვა, თორემ ჩვენ უსათუოდ შევიტყობდით მზისა და ვარსკვლავების ერთდროულად აკიაფებაზე.

შეიძლება სხვა მითებიც გავიხსენოთ, რომლებიც ფარაონთა ეპოქას განეკუთვნება და ნილოსის ადიდების შესახებ მოგვითხრობს.

მესამე ნაბიჯი, რომელსაც მოსწავლის ინტელექტუალური მომწიფების შემდგომ ვაკეთებთ, ეს არის საბერძნეთის ქვეყნის სურათის წარმოდგენა. ამისთვის დავიხმართ ფიზიკურ რუკებსაც. საბერძნეთი არის მთა-გორიანი საზღვაო ქვეყანა, უამრავ ვიწრო ყურეებში წყალქვეშა რიფებით და შვერილებით. ამდენად, სანაპირო ზოლი ბევრგან მიუვალია. ხმელეთზე უამრავი დიდი და პატარა მდინარეა, რაც მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ზღვაში უამრავი კუნძულია გაფანტული. მოსწავლეებს დავუსვამთ შეკითხვას: — რას მოიმოქმედებდით თქვენ, ასეთ ქვეყანაში ცხოვრება რომ გრგებოდათ წილად? დახასიათების მიხედვით, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ, მოსწავლეები ხვდებიან, რომ ეს არაა საუკეთესო პირობები ცხოვრებისათვის. უფრო მეტიც, უამრავი პრობლემაა და ერთობ უხეირო მდგომარეობას უქმნის ადამიანებს. თუმც ერთი სიკეთე მაინც აქვს. ესაა ზღვა. ზღვის საშუალებით შესაძლებელია ყველა კუნძული და კონტინენტური შელფი ერთმანეთს დაუკავშირდეს. მოსწავლე ხვდება, რომ ასეთი ქვეყნისათვის ხელგამოჭრილი იქნებოდა ნაოსნობა. ბერძნებიც ასე მოიქცნენ და განავითარეს ვაჭრობა, რაც, თავისთავად, ნაოსნობის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

VI კლასში, როცა ბერძნული ცივილიზაციის შესახებ ვესაუბრებოდით მოსწავლეებს, ოდისევსის თავგადასავალზე ვამახვილებდით ყურადღებას, ზოგიერთი ფილოსოფოსის სახელიც ვახსენეთ და მათი გამონათქვამებიც წავუკითხეთ.

## 17. ისტორიის „კაკლები“

X კლასში ბერძნული კულტურის შეფასებას არ ვახდენთ, მაგრამ ზოგიერთ ნაწყვეტს განსჯისათვის, ლოგიკური და ინტელექტუალური გავარჯიშებისათვის ვაწვდით მოსწავლეებს ბერძნული ფილოსოფიიდან. მოვიხმობთ ბერძნული ფილოსოფიის მესაძირკვლის, ჰერაკლიტეს გამონათქვამებს. იმ ფრაგმენტების გარდა, რასაც მოსწავლეები VI კლასში გაეცნენ, X კლასში კიდევ რამდენიმეს დავამატებთ, მაგრამ სხვაგვარი იქნება მათდამი მიდგომის მეთოდი. ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტებია. „საკუთარი ბუნების თვითმყოფადობა —აი, ყოველი კაცთაგანის წმინდა დემონი“ (ფრაგმენტი 119)

„ბუნებას მალვა უყვარს“ (ფრაგმენტი 123)

„ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ვერც მოკვდავ ბუნებას ჰპოვებ ორჯერ ერთსა და იმავე მდგომარეობაში, რადგან ცვალებადობის უწყვეტობა და სისწრაფე გამუდმებით ჰფანტავს და ხელახლა ჰკრებს მას, ან უკეთ რომ ვთქვათ, არა ხელახლა და არა შემდეგ, — ის ერთდროულად იქმნება და იღუპება, ახლოვდება და შორიელდება“. (ფრაგმენტი 91)

„მე ვიკვლევ ჩემსავე თავს“ (ფრაგმენტი 101) [114].

ყველა ამ ფრაგმენტზე მოსწავლეებს ვაძლევთ კლასში სადისკუსიო და საშინაო დავალების თემებს [115]. ჰერაკლიტესეული ცნობილი გამოთქმაა „ყველაფერი მიედინება“ და ამ თემაზე მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას. რას ნიშნავს ეს გამოთქმა? ანდა „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“ რა აზრი დევს ამ გამოთქმაში? ასეთი გამოთქმები და მათ შესახებ დაფიქრება სასურველი სავარჯიშოებია მოსწავლეთა გონებისათვის. ეს გამოთქმები ხომ იმ „კერკეტ კაკალს“ გვაგონებენ, რომლის გატეხვა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი მაინცაა. ასეთი „კაკლებით“ უხვად გავუმასპინძლდეთ ჩვენს მეათე კლასელებს იმისათვის, რომ მასალის ასათვისებლად და დასამუშავებლად განუვითარედეთ მოქნილი სააზროვნო აპარატი.

მოსწავლეებს შეიძლება მოვუყვეთ დელფოს აპოლონის ტაძრის შესახებ. როგორც ვიცით, ამ ტაძრის კარიბჭეზე შემდეგი სახის წარწერა იყო გაკეთებული: „შეიცან თავი შენი“. რას ნიშნავს ეს სიტყვები? რა არის ამ გამოთქმაში ისეთი მნიშვნელოვანი, რომ

ბერძნებს თავიანთი ტაძრის კარიბჭეზე დაუწერიათ? ნუთუ ასეთი ძნელია საკთარი თავის შეცნობა? X კლასში მოსწავლეები გონებრივად უკვე არიან საიმისოდ მომწიფებულნი, რომ წაიკითხონ პლატონის დიალოგები. ამ დიალოგებში ბევრგან ვხვდებით ადამიანის პრობლემას. ვინ ხარ შენ? რას წარმოადგენს, როგორია ის გარემო რომელშიც ცხოვრობ? როგორია თვით შენი სხეული, სული? სხეულის კანონებისა და თვისებების გარდა თუ შეგიძლია სხვა რაიმე კანონების აღმოჩენა ამ სამყაროში ან შენსავე საკუთარ თავში? რას ნიშნავს დაბადება და სიკვდილი? იქნება თუ არა რაიმე სიკვდილის შემდეგ? საით მიდიხარ? ამ, და, სხვა, მსგავს უამრავ შეკითხვას დიდი ცნობისწადილით იკვლევს ადამიანის გონება. 12 წლის ასაკიდან. 15 წლის ასაკში ყოველივე ამის შესახებ, ცნობიერი გამოცდილების საფუძველზე იწყებს მსჯელობას. ამიტომ, ისტორიამ და ყველა მონათესავე ჰუმანიტარულმა დისციპლინამ, მოსწავლეებს ამ მიმართულებით ცნობისწადილი უნდა გაუღიზიანოს.

ისტორია და ისტორიულ პირთა ცხოვრება უტყუარი დასტურია სულის უკვდავებისა. მოსწავლეები ამ ასაკში უნდა ეზიარონ ცოდნას სულის უკვდავების შესახებ. სხვა რა, თუ არა სულის მარადიულობა, აღგვძრავს აწ უკვე გარდაცვლილი ადამიანების პატივსაცემად. თუკი სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კარგს იტყვიან მასზე თუ ცუდს და, საერთოდ, თუ სიკვდილის შემდეგ სულაც არაფერი არ არსებობს, მაშ რატომ არის გარდასულ დროთა ცოდნა საჭირო? თუ ეს ასეა, ისინი ხომ მოკვდნენ და, მაშასადამე, აღარც არაფერს წარმოადგენენ. მაგრამ ეს არ არის მართალი, მხოლოდ იმისთვის არ სწავლობენ ისტორიას, რომ იცოდნენ ვინ ააშენა ტაძარი. მხოლოდ იმისათვის არ სწავლობენ გარდასულ დღეთა ცხოვრებას, რომ ჩვენი სიცოცხლეც ბევრწილად იმ გარდასულ დღეთა ნაყოფია. ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალებებია უფრო დიდი მოვლენების ასახსნელად. კონკრეტულად, რატომ ააგო წინაპარმა ეს ტაძარი? რა უნდა ვაკეთო მე აქ? რატომ მოვევლინე ამ ქვეყანას? რა არის ჩემი, როგორც ადამიანის დანიშნულება? აი, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემადაა ისტორიის შესწავლა საჭირო და არა იმისათვის, ოდენ, რომ ეს ტაძარი აშენებულია და მოსწავლეს მართებს იმის ცოდნა, რომ ტაძარი აშენებულია და დგას. უამრავი ტაძარი იყო,

რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა. უამრავი გმირები და თავდადებულნი იყვნენ, რომელთა სახელები და ვინაობა არ ვიცით. ამ პრობლემაზე „უსახელო უფლისციხელის“ ავტორიც დაფიქრებულა. იმავდროულად, უამრავი სახელები შემორჩენია მეხსიერებას, რომელიც ბევრს არაფერს ეუბნება ადამიანს. მაგალითად ვინ არის ლონია გოლიკოვი? ან ვინ არის სტეფანე შაუმიანი? ან ვინ არის კამო, და სხვა. აქ, სწორედ იგივე საკითხის, ადამიანის რაობის და დანიშნულების საკითხის გარკვევას ვუბრუნდებით. ისტორია სწორედ იმას გვასწავლის, რომ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან თავიანთი ვინაობა და დანიშნულება, და არიან ისეთებიც, რომლებმაც ეს არ იციან. მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის შრომას და ენერგიულობას ქმედებისას. მნიშვნელობა აქვს იმას თუ რას აკეთებს ეს ადამიანი. როგორიც საშუალებაა, ისეთივე იქნება შედეგიც. რაც შეეხება მიზნის გამართლებას, ალბათ, გამართლება ესაჭიროება დანაშაულს და ბრალდებულს. მართალს, კეთილშობილს, უდანაშაულოს გამართლება არ ესაჭიროება. აქედან უნდა დაიწყოს ისტორიული პირების დიფერენციაცია. ისტორიულ სააზროვნო მასალის საფუძველზე, ამ პერიოდში უნდა მოხდეს კეთილისა და ბოროტის, აღმაშენებლისა და დამაქცევარის ურთიერთგამიჯვნა. ჰერაკლიტესა და პლატონის სახელებმა აზროვნების ამ საფეხურამდე უნდა აგვამაღლონ.

მასწავლებელს მართებს იმის დახსომება, რომ კითხვებზე პასუხის გაცემა იმდენად მთავარი არ არის, რამდენადაც კითხვის დასმა. მოსწავლე უნდა დააფიქროს დასმულმა კითხვამ. მან უნდა აღუძრას ადამიანს პასუხის გაცემის, ძიების, კვლევის, ფიქრის, სურვილი. ამ კუთხით, ზედმეტი არ იქნება მოსწავლეები გაცნობოდნენ პლატონის წარმოდგენებს სულის შესახებ[116]. პლატონის წარმოდგენით ადამიანის სული სამი ნაწილისაგან — გონების, ნების და სურვილისაგან შედგება: სული თავისუფალი ნებით გამოირჩევა. ამ თავისუფალი ნებით მას შეუძლია სხვადასხვა სხეულში ჩასახლება. ამდენად, სული მარადიულია და იგი არასოდეს კვდება. იგი მხოლოდ გარდასხეულდება და ასე მოგზაურობს დაუსრულებლად. სული თავისი თავდაპირველი, იდეების სამყაროდანაა გამოდევნილი და დასჯილი, როგორც საფლავში, ისეა გამომწყვდეული სხეულში. „პლატონი სხეულს ეტლს

ადარებდა, ხოლო სულს –მეეტლეს, იმ ეტლის მმართველს და თავის ნებაზე წამყვან-წამომყვანს"[117]. ადამიანისათვის სხეული სამოსელივითაა და სხვა. პლატონის წარმოდგენები ბევრ საფიქრალს გაუჩენს მოსწავლეებს და კარგად ჩაახედებს ჩვენგან ასე დაშორებული ეპოქის არსში. ერთხელ განვლილი თემატიკა ამ სიახლით ხელმეორედ იქნება შესწავლილი.

XI კლასის ერთ-ერთ ცენტრალურ თემას უნდა წარმოადგენდეს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. ძნელია ამ ეპოქის გაშუქება ობიექტური რეალობით. საკითხის სიძნელეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უამრავი მარქსისტული და მატერიალისტური წარმოდგენებია დაგროვილი მედიევალური პერიოდის შესახებ. ეს წარმოდგენები საზოგადოებრივ მთლიანობას ფეოდალსა და გლეხს, ბატონსა და ყმას, მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის არსებულ წინააღმდეგობად წარმოსახავენ. „ისტორიულმა მატერიალიზმმა" ფეოდალური სამყარო ექსპლოატატორულ საზოგადოებრივ ფორმაციად გამოაცხადა. ფეოდალისა და გლეხის არსებობა სულაც არ ნიშნავს მათ შორის მაინც და მაინც ექსპლუატატორული ურთიერთობის არსებობას. ეს ისეთ რამეს გავს, კაცს ბარი რომ ეჭიროს ხელში და მავანმა დაპატიმრება დაუპიროს: დივერსიული აქტის მოწყობას აპირებდი, ბარით მიწას ამოთხრიდი, ნაღმს ჩამალავდი და აფეთქებას მოაწყობდი-ო. ბარი მართლაც შეიძლება ასეთი საქმისთვისაც გამოიყენო და უფრო უარესისთვისაც, მაგრამ იგივე იარაღით მიწის დამუშავებაც ხომაა შესაძლებელი, სარწყავი არხების გაჭრაც და სხვა.

მედიევალური ეპოქის ისტორიული ანალიზი სრულიად უნდა განთავისუფლდეს მატერიალიზმის პერსევერაციისაგან. *

* პერსევერაცია – (ლათ. persevero – ავიხირებ, ავიჩემებ) აკვიატებული, არანებისმიერად მრავალგზის განმეორებული მოქმედება, ფიქრი.

## 18. შუა საუკუნეების გახსენება (ბერ-მონაზვნობა)

შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ეტაპია: წარმართული სამყაროს შეცვლა ქრისტიანულ სამყაროდ. ქრისტეს ამქვეყნად მოღვაწეობის შემდგომმა პერიოდმა დაადასტურა იესოს ღვთაებრიობა და მაცხონებლობა. ქრისტიანობის გავრცელება და მოციქულთა მისიონერული საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება ახალი ქრისტიანული სამყაროს ისტორიის დასაწყისს. ქრისტეს ჯვარი კაცობრიობის გადარჩენის სიმბოლოდ იქცა, ჯვრის განდიდება, - ჩვეულებრივ მოვლენად. ქრისტიანულ სამყაროში რწმენა გამოხატულია თვით ამ სამყაროს ცხოვრებაში. ქრისტიანობა განსხვავდება ყველა აღმსარებლობისაგან თავისი ცხოვრებისეული იდეალებით. კათოლიკური და მართლმადიდებლური სამყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ქრისტიანული ცხოვრება მდგომარეობს ამქვეყნიური ყველა სიამოვნების, სიკეთის უარყოფის გზით გამოხატულ ღვთისმსახურებაში. ესაა სამყაროდან რელიგიური განლტოლვა. ქრისტიანები ასეთ მსახურებას ბერობას უწოდებენ. წმინდა მამების ცხოვრებაში ხშირადაა მოტანილი ციტატა სახარებიდან, რომელიც გამოხატავს ბერ-მონაზვნობის არსს. ეს სიტყვები თვით მაცხოვარს - იესო ქრისტეს ეკუთვნის: „რომელსა უყუარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ან ასული უფროს ჩემდა, იგი არა არს ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. რომელმან მოიპოვოს სული თჳსი წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს სული თჳსი ჩემთვის, მან ჰპოვოს იგი“ (მათე 10, 37-39). „აღიღეთ უღელი ჩემი თქუჱნ ზედა და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და ჰპოოთ განსუენება ꞏ სულთა თქუენთა ꞏ რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს“. (მათ. 11, 29-30) „რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ-ყოფა ꞏ, იყავნ თქუენდა მსახურ: და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფა ꞏ, იყოს იგი თქუენდა მონა: ვითარცა ძე კაცისა არ მოვიდა, რითამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი სახსრად მრავალთათჳს.“ (მათ. 20, 26-28). თუ რა უნდა ეკეთებინათ ქრისტეს მიმდევრებსა და

მოწაფეებს პირველი ოთხი მოციქულის სიმონის, ანდრიას, იაკობის და იოანეს შედგომისთანავე ცხადდება. მათეს სახარება გადმოსცემს იესო ქრისტეს საქმიანობას, რაც მისი მოწაფეებისათვისაც სავალდებულოა: „მოვლიდა იესო ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ჰქადაგებდა სახარებასა სასუფევლისასა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის“ (მათ. 4, 23). სწავლება, ქადაგება, განკურნება უნდა გამხდარიყო ქრისტეს მიმდევრების საქმე. ნიშანდობლივია ისიც, რომ თუ იოანე ნათლისმცემელი ასწავლიდა ღია ცის ქვეშ, იესო ქრისტე „შესაკრებელთა შორის მათთა“. ე.ი. იესო ღია ცისქვეშაც ასწავლიდა და სინაგოგებშიც. მოციქულთა მისია იესო ქრისტემ განსაზღვრა მაშინ, როცა „ათორმეტი წარავლინა“ (მათ., 10, 5): „ჰქადაგებდეთ და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლოებული არს სასუფეველი ცათა ჲ. უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განჰსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით. უსასყიდლოდ მიგიღებიეს და უსასყიდლოდ მიჰსცემდით“ (მათ., 10, 7-8). მაშასადამე, მოციქულებმა უკვე იცოდნენ ცათა სასუფევლის შესახებ მოძღვრება. ოთხივე სახარების სინქრონიზაციით შედგენილ დიატესარონში „ათორმეტის წარვლენა“ სწორედაც რომ მოსდევს იესოს მიერ წარმოთქმულ სწავლებათ ცათა სასუფევლის შესახებ[118]. იესო ქრისტემ თავის მოციქულებს ამ მისიის შესრულების წესიც დაუდგინა - თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი (იხილე ლუკა, 9,3-5). იგივეს შესახებ საუბარია „სამეოც და ათთა წარვლენის“ ეპიზოდშიც (შეადარე ლუკა 10, 3-11;). მაცხოვარმა თავისი მოწაფეები და ყველა მისი მიმდევრის რაობა და ერთობა თავისი ლოცვით გაამჟღავნა. ეს ლოცვა „მღვდელმთავრის ლოცვაა“. იგი მხოლოდ იოანეს სახარებაშია გადმოცემული (იოან., 14, 17-26 იოან., 17, 1-26). იესო ქრისტეს ლოცვები გარდა „მამაო ჩვენოსი“ მხოლოდ იოანეს სახარებაში მოგვეპოვება. მაცხოვრის ლოცვები ცალკე განხილვის თემაა, აქ უბრალოდ დავსძენთ, რომ ქრისტიანთა ცხოვრების წესი ბევრწილად ამ ლოცვაზეა დამოკიდებული. ქრისტანობის იდეალებზე საუბარია „საქმე მოციქულთაში“ და ეპისტოლეებში.

ასე რომ, ჭეშმარიტი ბერი არის იდეალური ქრისტიანული ცხოვრების გამცოცხლებელი. ბერ-მონაზვნობა ისეთი დაწესებულებაა,

რომელიც საზრდოობს ქრისტეს ცხოვრებით, რაც თვით ქრისტიანობის არსს წარმოადგენს. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ბერ-მონაზონთა იდეალებში ეკლესიის იდეალი აირეკლება. ბერ-მონაზვნობის ისტორია, იმავდროულად, ეკლესიის და ქრისტანობის ისტორიაცაა. შუა- საუკუნეების ევროპა კი მთლიანად ქრისტიანული იყო.

შუა საუკუნეებში ევროპაში უამრავი ბერული ორდენი ჩამოყალიბდა. ბერ-მონაზვნობის სამშობლო კი ის რეგიონია, სადაც მაცხოვარი და მისი მოწაფეები მოღვაწეობდნენ. მათ შორის კაბადოკია გამორჩეულ ადგილს იკავებს. კაბადოკიაში ძველი ანაქორეტული სახის ბერობა კინოვიალური და ლავრული ტიპის ბერობით შეიცვალა IV საუკუნის დასაწყისშია. შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, III–IV საუკუნეთა მიჯნაზე. ამ დიდი რეფორმის სულისჩამდგმელი იყო ბასილი დიდი (330-379), ასკეტიზმისა და მონაზვნობის მხურვალე მხარდამჭერი იყო. თავი თვისი მთლიანად მოახმარა ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას. მისი დიდი ღვაწლი გამოიხატა ბერთა ცხოვრების მომწესრიგებელი განგების „ასკეტიკონის" შედგენასა და შექმნაში.

ბასილი დიდის მეგობარი გრიგოლ ნაზიანზელი (ესეც კაბადოკიელი წმინდა მამაა) ერთგან საუბრობს ბერ-მონაზვნრბის მნიშვნელობის შესახებ [119].

როგორ უნდა განხორციელდეს ქრისტეს გზაზე შედგომა? ჯვრის ტვირთვას ესაჭიროება გონების მყუდროება და არა ამქვეყნიური ამაო საფიქრალი და ზრუნვა. რას გვთავაზობს წუთისოფელი? ქალის ან მამაკაცის სიყვარულს, გათხოვებას და ცოლის მოყვანას, შვილების გაჩენის და დაზრდის პრობლემებს, მეუღლის დაცვის და ოჯახური ერთგულების წესს, მსახურთა და ქვეშევრდომთა ზედამხედველობას, რათა არ მოგვატყუონ, მეზობლებთან კამათსა და საკუთარი ინტერესების დაცვას, ჭაპან-წყვეტით შრომას მიწის დასამუშავებლად, ხიფათს სავაჭრო მოგზაურობებისას და შიშს ყოველდღიურად ერთი და იგივე პრობლემების გაუთავებელი შემოტევების მიმართ. იმისათვის რომ ჯვარი ვიტვირთოთ და შევუდგეთ იესო ქრისტეს გზას (მათ., 16, 24) საჭიროა ყოველგვარ საწუთისოფლო ამაოებათაგან განდგომა. ეს არ ნიშნავს, რომ სხეულით არ ვიარსებოთ ე.ი. თავი მოვიკლათ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ სულიერი ძალები გავათავისუფლოთ მატერიალური, სხეულებრივი ცხოვრების წარმავლობი-

საგან, სხეულისადმი მიკერძოებულობისაგან. სოფლის წარმავლობი-საგან მიღებული ყოველდღიური შთაბეჭდილებები თუ არ შეიმუსრა, ისე, ძნელია სულის განმტკიცება საღვთო მადლსა და კანონებში. ამის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა განმარტოება. განმარტოებით შესაძლებელია ვნებათა დაოკება. განმარტოებისათვის საჭიროა ისეთი ადგილის შერჩევა სადაც გარეშე ძალა, ამსოფლიური ძალა ვერ შესძლებს ჩვენი მოღვაწეობის შეფერხებას. განმარტოებული სამყოფელი და იქ გამეფებული მდუმარება სულს განწმენდს. როცა გრძნობის ორგანოები: თვალი, ენა, სმენა მოდუნებულია, ხოლო გონებას არა აქვს მიზეზი გაერთოს გრძნობადი სამყაროთი, იგი (გონება) იწყებს ჩაღრმავებას საკუთარ თავში. ღმერთზე ფიქრით ადამიანი მაღლდება საკუთარ თავზე. სოფლის წარმავლობის დამთრგუნველი და სხეულებრივ მოთხოვნილებებზე ამაღლებული სული სულ უფრო და უფრო ესწრაფვის მარადიულ ნათელს, რომელსაც ერთხელ შეავლო მზერა. იგი იწყებს ქრისტიანულ სათნო-ებათა ქმედებას და უმანკოებით გამოიმუშავებს სიმამაცეს, სამარ-თლიანობით-კეთილგონიერებას. ღმერთზე განუწყვეტელი ფიქრი საბოლოოდ ჩვენში დაამკვიდრებს ღმერთს. ასეთი ადამიანი იწყებს ღვთისმოშიშებით მოღვაწეობას. მისი მოღვაწეობა შედეგია ღვთიური აზრებისა. მთლიანობაში კი ბერის მოღვაწეობასა და აზროვნებას სულის მოქმედება ეწოდება. ბერი უნდა ბაძავდეს ადამიანთა ზემდგომ სულიერ იერარქიათა წარმომადგენლებს-ანგელოზებს.

საჭიროა დილაადრიანად ლოცვა, ხელსაქმის წამოწყება და ამ საქმიანობის დროს განუწყვეტლად ლოცვა, საღვთო წერილის შეს-წავლა, რადგან იქ უამრავი სახეა კეთილ ქმედებათა მისაბაძად რომ გამოგვადგება, გულმოდგინედ შესწავლა წმინდანთა ცხოვრებისა და სხვა. ამ საქმეებთაგან უმთავრესია საღვთო წერილის და ბიბლიური წიგნების შესწავლა. ჩამოთვლილ ქცევებს საფუძვლად უდევს კანო-ნები, რომელიც ბასილი დიდის „ასკეტიკონშიცაა“ გადმოცემული.

კანონით ბერს ევალება არაუხვსიტყვაობა, შეკითხვებისაგან თავის შეკავება, შეკითხვაზე თავმდაბლობით პასუხის გაცემა; სხვისი ნაუბარის გულისყურით მოსმენა და მისგან საუკეთესო მარგალიტების გამოკრება. ბერობის მძებნელს არ უნდა შერცხვეს იმის, რომ ვინმემ მას რაიმე ასწავლოს, არც თვითონ უნდა დაჰზარდეს სხვას რაიმეს

სწავლაზე. საძმოს წევრებთან შეხვედრისას თავაზიანობა ჰმართებს ბერს, საუბრისას თავმდაბლობა და მოკრძალება. ძმობის წევრის განსჯისა და მასზე განაჩენის გამოტანისას უნდა მოერიდოს სიმკაცრეს. დამნაშავემ თვითონვე უნდა მონახოს სასჯელის სახეობა საკუთარი თავისათვის. ტანსაცმელად უბრალო კვართი უნდა ემოსოთ, წელზე ქამარშემოჭერილი. ბერის სამოსის დანიშნულებაა საკმარისი საფარველი იყოს ადამიანის სხეულისათვის ზამთრის სიცივესა თუ ზაფხულის მხურვალებაში. ჭამის წინ ყოველთვის აუცილებელია ლოცვა. საჭმელად-პური და სასმელად წყალი დაუდგენიათ ბერისათვის წესად. ჭამის დროს არ უნდა ამჟღავნებდეს გაუმაძღრობას და დღე-ღამის 24 საათიდან 1 საათზე მეტი არ უნდა დაუთმოს სხეულის მომსახურებას. დანარჩენი დრო უნდა წვრთნას სული და მისი ცხონებისათვის იზრუნოს. ძილი მსუბუქი უნდა იყოს, ოდნავი ჩქამიც ყურადღებიდან არ უნდა რჩებოდეს მძინარე ბერს. შუაღამით, როცა სიჩუმე და სიმყუდროვე დაისადგურებს მთელ მონასტერში, ბერის ვალია თავისი ფიქრი მიაპყროს უფალს. ლოცვას, ამ დროს, განსაკუთრებული ძალა აქვს და დიდად მარგებელია სულისათვის. ასეთი სულისკვეთებით იყო შექმნილი ბასილი დიდის „ასკეტური წესები".

ამ და სხვა ღვაწლის გამო, კაბადოკიელთა სკოლა (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი – 330-390; გრიგოლ ნოსელი – 335-394-გრიგოლ ნოსელი ბასილი დიდის უმცროსი ძმა იყო) ქრისტიანულ-კანონიკური აზროვნების საფუძვლად არიან მიჩნეულნი. ბასილი დიდის ღრმა რწმენით, ქრისტიანული ცხოვრების არსი ღმერთისკენ სულიერ ამაღლებაშია. საგულისხმოა, რომ კაბადოკიელი წმინდა მამები ტომით ქართველნი იყვნენ.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, ქართველთა მოქცევის საქმე იერუსალიმის მონასტრის მონაზონმა, კაბადოკიელმა წმინდანმა ქალმა, ნინომ ითავა. მაშასადამე, ქრისტიანული ცხოვრების არსი ქართველთათვის მონაზვნური ცხოვრების წესში გამომჟღავნდა. ეს იყო 327 წლის მახლობლად. 540 წელს კი ჩვენს ქვეყანას იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე მოადგა. ისინი, ჯვრით ხელში, ქრისტეს სარწმუნოების განმტკიცებასა და გაძლიერებას ისახავდნენ მიზნად. შემთხვევითი არ არის, რომ იოანე ზედაზნელისა და მისი თორმეტი მოწაფის ხსენების

დღე ქართულ ეორტალოგიურ კალენდარში ემთხვევა ჯვარპატიოსნის ხსენების დღეს, რომელიც „გამოცხადდა ცასა შინა ქალაქსა ზედა იერუსალიმს“ 351 წლის 20 (ძვ. სტ) მაისს. ისტორიული ანალები გვამცნობენ „სპარსეთიდან დაბრუნებული კონსტანტოსი დიდხანს ავადმყოფობდა და ოცდასამი წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა კილიკიის ქალაქ მოფსუესტიაში. მის დროს, ნეტარი კირილეს ჟამს[120], გამოჩნდა ნათელმოსილი ჯვარი“.[121] მეტად საინტერესო პიროვნებაა რომის იმპერატორი კონსტანციუსი. მას აიანელობას სწამებენ. მაგრამ იგი, აკაკი კესარიელის სულიერი შვილი, შეუძლებელია, რომ ასეთ ერეტიკულ აზრებს თანაუგრძნობდეს. მისი იდეალი იყო მამის ნაოცნებარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. კონსტანტინე დიდი კი ცდილობდა სახელმწიფო ეკლესიად გადაექცია. ამიტომაც, კონსტანციუსი გამოკვეთილად მფარველობდა ქრისტიანულ ეკლესიას და ეთაკილებოდა ყოველგვარი წარმართული, ჭეშმარიტი ქრისტიანის და პრაქტიკოს-პოლიტიკოსის თვისებით ხასიათდებოდა. მისი სურვილი იყო ერთიანი, მტკიცე ეკლესიური წყობის ჩამოყალიბება[122].

საქართველოში იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა შეამზადეს იმის საფუძველი, რომ XI საუკუნეში დავით აღმაშენებელს, მსგავსად კონსტანტინე დიდისა, ქრისტიანული, ეკლესიური სახელმწიფო შეექმნა. აქ, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ასურელ მამათა ტიპიკონალური მოღვაწეობის შესახებ და ევროპულ საბერმონაზვნო ორდენებთან პარალელების გავლებისათვის ამ მცირე მასალით დავკმაყოფილდებით.

ბერ-მონაზვნობაშიც შეიმჩნევა ორი ნაკადი, რომელიც ერთიმეორეს მიჰყვება. ადრინდელი ბერობა განსაკუთრებული ასკეტიზმით და ინდივიდუალური ანაქორეტული ცხოვრების წესით გამოირჩეოდა. მოგვიანებით გაჩნდნენ მშენებელი ბერები. ეს განსხვავებულობა კარგად ჩანს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში,“ ჯუედიოსისა და გრიგოლის სახეებში.

დასავლეთ ევროპაში პირველი ბერული ორდენები VI საუკუნიდან დაარსდა. 529 წელს წმინდა ბენედიქტ ნურსიელმა (480-529) დააარსა მონასტერი -ბერთა „ძმობა“ ანუ კინოვია. განდეგილებს სიცოცხლის ბოლომდე უნდა დაეცვათ თავიანთი აღთქმა და არ მიეტოვებინათ „საძმო“, თავი უნდა შეეკავებინათ ყოველგვარი ამქვეყნიური

სიამისაგან და მორჩილად აღესრულებინათ მონასტრის წინამძღოლის ნებისმიერი დავალება. ეს „საძმო" დღემდე არსებობს და ოცი ათასამდე წევრს მოითვლის[123]. ბენედიქტიანელები სენაკებსა და გამოქვაბულებში ჩაკეტვას არ მოითხოვდნენ თავიანთი წევრებისაგან, არც ხორციელ ტანჯვასა და გვემას . მათი მიზანი იყო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ გარე-სამყაროს გაკეთილშობილებაში. ბუნებრივი წესრიგისა და ქრისტიანული წესრიგის შერწყმით ჰარმონიის დამყარებას ცდილობდნენ. ამ მიმართულებით ბერები არ ზოგავდნენ თავიანთ შესაძლებლობებს. ბუნებრივი ველური ლანდშტაფის ქრისტანულ-კულტურულ გარემოდ გარდასახვა საღვთო საქმედ მიაჩნდათ.

1098 წელს საფრანგეთში შეიქმნა ბერთა ძლიერი ორდენი ცისტერციანელთა ორდენი (ამ ორდენს ბერნარდინელთა ორდენსაც უწოდებდნენ მისი მეთაურის ბერნარ კლერვონელის საპატივცემულოდ). ცისტერციანელები თავიანთ მოღვაწეობაში უმთავრეს ადგილს უთმობდნენ ფიქრს, მუშაობას და ლოცვას. ისინი თავიანთ სამყოფელად სპეციალურად არჩევდნენ უწყლო, უნაყოფო ბუნებას. 20-30 წლის შემდეგ, ოდესღაც მიუვალ და ხრიოკ გარემოს კაცი ვერ იცნობდა. ყველაფერს ეტყობოდა ადამიანის ხელი, თითქოს ქვის კენჭებიც კი საგულდაგულოდ ჩაუწყვიათო ანკარა ნაკადულების კალაპოტში, თითქოს სათუთად გაუწმენდიათო თითოეულ ფოთოლსა და ბალახზე დადებული მტვერი. არაჩვეულებრივი განცდა ეუფლებოდა ადამიანს ბერთა სამყოფელში მოხვედრისთანავე, ბევრი სამუდამოდაც იქ რჩებოდა, სადაც ამაღლებული განცდა და ჰარმონიული წონასწორობა იხილა. ცისტერციანელები მშვენივრად ფლობდნენ სხვადასხვა ენებს, თავისუფლად შეეძლოთ ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ებრაულ, არაბულ, ბერძნულ დედნებში წაკითხვა. იცოდნენ ანტიკური ფილოსოფიის და მეცნიერების მიღწევები. პრაქტიკულად იყენებდნენ წარსულში ადამიანთა მიერ დაგროვილ გამოცდილებას, მებაღეობაში, მებოსტნეობაში, მიწათმოქმედებაში, აგრომელიორაციაში და სხვა. მათ გამოიგონეს და, შემდეგ, იყენებდნენ ნიადაგის საკულტივაციო მოწყობილობებს. მათ მიერ შემოღებული მიწის დამუშავების წესი მთელ ევროპაში გავრცელდა. XII საუკუნეში ისინი ევროპაში 250-ზე მეტ ეკლესია-

მონასტერს ფლობდნენ. ეს საცისტერციანელოები პორტუგალიიდან ნორვეგიამდე იყო გაფანტული.

X–XI კლასის მოსწავლეები ასეთ საკითხებზე არაადექვატურ რეაქციას ამჟღავნებენ. დღევანდელი გარემოს თვალსაწიერიდან ძნელია ბერთა სიქველის დანახვა, მაგრამ 16–17 წლის გოგო-ბიჭები ფიქრდებიან ბერ-მონაზვნების კოლოსალური ნებისყოფის, რწმენის, სიყვარულის შესახებ და მიდიან დასკვნამდე, რომ მართლაც ამოუწურავია ადამიანური შესაძლებლობები. მოსწავლეები გაკვირვებას ვერ მალავენ როცა იგებენ, რომ სამონასტრო შინაგანაწესით ღამის 3 საათიდან-საღამოს 10 საათამდე ბერი განუწყვეტლივ ჯაფაშია: საშუაღამო ლოცვას წმინდა წერილის წაკითხვა ცვლის, შემდეგ ისევ ლოცვა, ამას ტაძარში მსახურება მოჰყვება საცისკრო ლოცვების, ლიტანიის და მსხვერპლის შეწირვის თანხლებით, შემდეგ ოსტიგნად საზრდელის მიღება, მერე ხელსაქმე, ლოცვა, ისევ ხელსაქმე, წმინდანთა ცხოვრების და ეპისტოლეების წაკითხვა, ფიქრი, ფიქრი, ფიქრი და ასე გაუთავებლად. ზოგჯერ მოსწავლეებს გაუჩნდებათ აზრი, ხომ შეიძლება ასეთი მკაცრი ცხოვრების წესს ადამიანი ემსხვერპლოს კიდეც. რა სულელი უნდა იყოს კაცი, რომელმაც იცის – ხანგრძლივად იცოცხლებს თუკი ოდნავ მაინც შეიმსუბუქებს ტვირთს, ის კი ჯიუტად არ ეშვება ერთხელ არჩეულ გზს. აქ შეიძლება ირონიამდეც მივიდეს საქმე, მაგრამ მასწავლებელი უნდა ეცადოს ამგვარ განწყობილებებს გვერდი აუარონ მოწაფეებმა.

საკითხი ასე უნდა დაისვას: რა ძალებს მმატებს მე რწმენა? რწმენა ბევრი რამისა შეიძლება. XX საუკუნეში, ჩვენს ეპოქაში ათასობით სექტა არსებობს, რომელიც აღვივებს ფანატიზმს და ადამიანის რელიგიურ გრძნობებს ბოროტად იყენებს. ასეთი სექტის წევრები თავგამოდებით მიედ-მოედებიან რაღაცას, მაგრამ არავინ იცის, სასარგებლოა მათი თავგამოდება თუ არა. არავინ იცის რით დამთავრდება მათი დაწყებული საქმე. მაგრამ ბერთა ცხოვრებაზე ამას ვერ ვიტყვით, რადგან მათ სულიერ სამყაროს მზესავით ანათებდა იესო ქრისტეს ელვარება, გოლგოთის საიდუმლოების მადლის მომნიჭებელი ძალა. იესო ქრიტეს რწმენას, იესო ქრისტეს საქმის გამგრძელებლად თავის ჩათვლას მონასტრის მკვიდრთათვის უდიდესი ძალების მიცემა შეეძლო. ამის დასადასტურებლად კარგი იქნება თუ გავიხსენებთ წმინდა ილია მართლის ღვაწლს.

ილია ჭავჭავაძე ახალი ისტორიის ის ნათელი პიროვნებაა, რომელმაც სასულიერო და საერო ცხოვრება ერთმანეთს შეურწყა. ილია ჭავჭავაძის აზროვნება, შემოქმედება ღვთის მარადიულობის ძიებას მიეძღვნა. თუმცა, ერთი წუთითაც, არ სცმია ანაფორა და არ ჰხურებია ბარტყულა, მაგრამ მის ერის ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრობის, სულიერი მამობის მისიაში არავის შეჰპარვია ეჭვი. ეს კეთილშობილი პიროვნება, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლთაგანია რაინდული ეპოქებისა.

უფრო ვრცლად, ზემოთ წარმოდგენილი აზროვნების კვალობაზე, უნდა განვიხილოთ ფრანცისკანელების, (დამაარსებელი ფრანცისკო ასიზელი – 1184-1226), დომინიკანელების (დამარსებელი წმინდა დომენიკე – 1170-1221) ორდენების საკითხი. თვით ორდენის შიგნით არსებულ იერარქიასა და სუბორდინაციაზე, ასევე ორდენის განგებაზეც უნდა შევაჩეროთ მოწაფეთა ყურადღება. საინტერესო იქნება 1534 წელს ბერი იგნატი ლოიოლას (1491-1556) მიერ დაარსებული იეზუიტების ორდენის ისტორიაც. თანდათანობით, წმინდა ქრისტიანულ სასულიერო იდეალებს სოციალურ-პოლიტიკური მიზნები შეერწყა.

ბენედიქტიანელთა, ციზალპიელთა, ფრანცისკანელთა, დომინიკანელთა ორდენების გვერდით არსებობდა ალბიგოელთა (იგივე კათარების), ვალენსების და სხვა ორდენები. რადგანაც ისინი არ ცნობდნენ პაპის უზენაესობას-ერესებად ცხადდებოდნენ და ნადგურდებოდნენ.

მოსწავლეთა ყურადღება უნდა შევაჩეროთ რაინდთა სასულიერო ორდენების ტამპლიერების, იოანიტების (ჰოსპიტალიერები, იგივე მალტელი რაინდები ანუ მალტის ორდენი), ტევტონების შესახებ.

## 19. „ოქროს რაინდი“

რაინდული სულის და რაინდული იდეალების გასაცოცხლებლად მოსწავლეებს შეიძლება მოვუყვეთ ერთი შესანიშნავი მოთხრობა „ოქროს რაინდი“[124].

თაკარა სიცხეში, აღმოსავლეთ ლიბანის უდაბნოს ცის ქვეშ შვიდი რაინდი მოალასლასებდა სიცხისგან დაოსებულ ცხენებს. ისინი

ინგლისელი ჯვაროსანი რაინდის რიჩარდის ლაშქრელები იყვნენ. მათ უდაბნოში გზა-კვალი არეოდათ და აგერ უკვე მერამდენე დღეა დაეხეტებოდნენ ქვიშრობში. მალე ცხენებიც დაეხოცათ და ახლა ფეხით აგრძელებდნენ გზას. საით? ჯარის მიახლოებითი სამყოფელისაკენ, რომელიც არავინ იცოდა ზუსტად. შვიდეულს სიცხე და წყურვილი ბოლოს უღებდა. კენტერბერიის გრაფმა ოლივერმა-შევისვენოთო. დადგომა კი ვეღარ შესძლეს. სიარულში წონასწორობას მაინც იჭერდნენ, დაღლილი ფეხები აღარ ემორჩილებოდათ, მოცელილი ბალახის ღეროებივით წამოიქცნენ მძიმე საჭურველში ჩამსხდარი რაინდები. კარგმა ხანმა განვლო. ფოლადის სიმხურვალე აუტანელი გახდა. თითქოს შვიდივე მოგიზგიზე თონეებში ჩაეგდოთ ცალ-ცალკე. ბოლოს ტამპლიერმა რაინდმა ჰუგო ელვისტამმა დაარღვია უდაბნოს მდუმარება. ჰუგომ, რომელსაც სარაცინნი სირიული ლომის სულის მქონედ მიიჩნევდნენ, სთქვა: –რვა დღეა ქვიშის ოკეანეს ვერ მოვწყდით, დავეხეტებით და არკი ჩანს საზღვარი ამ უკიდეგანო სამყაროსი. ამ ორი დღის წინ ცხენებიც რომ დაგვეხოცა სწორედ იმ დღეს უკანასკნელი წყალი შევასვით კეთროვან მგზავრებს. სასწაულის მოლოდინით წმინდა მიწისკენ მიიკვლევდნენ გზას ჯიუტად. აღარც იმედი გვაქვს, რომ ახლო-მახლო წყალი ვიშოვოთ. წყალი არა ლამის არის სისხლიც კი დაშრეს ჩემს ძარღვებში ასეთ სიცხეზე. რადგან ვიხოცებით, მოდით ძმებო, აღვავლინოთ გალობა ჩვენი ზეციური მბრძანებლის, იესო ქრისტეს სახელზე. ვუგალობოთ ჩვენს წინამძღოლს.

ძალა მოიკრიბეს რაინდებმა, მუხლბრჯენით, მახვილებზე დაყრდნობით თანდათან წელში გასწორდნენ, მხარი მხარს მისცეს და გადგეს ფეხები განზე. შვიდივე რაინდი ზე წამოდგა. დაიწყეს გალობა. ეს გალობა უკანასკნელი იყო მათ ცხოვრებაში. გალობდნენ მონდომებით. თითქოს უნდოდათ გულიდან წამოსულ ჰანგებს მათი სულიც თან გამოეყოლებინა.

უდაბნო გაჩუმდა, გამოერკვა გაშეშებიდან, იცვალა ფერი. ალბათ, თავზარი დაეცემოდა გალობის ეს ხმა და უდაბნოს ქვიშრობში ფეხზე მდგარი შვიდი რაინდი რომ ეხილა შორეული არმენიიდან მომავალ ვინმე პილიგრიმს ან თუნდაც ვაჭარს. გალობის სიტყვები დაახშო და, ბოლოს, სულ, შეწყვიტა ცხენების ფლოქვთა თქარა-

თქურმა. ეს არ იყო უბრალო ცხენის ფლოქვების ხმა, იგი ორქისტრატეგოს მიქაელის ცხენის ხმას ჰგავდა. არ მოტყუებულან რაინდები, მართლაც გამოჩნდა ოქროს რაინდი, მას ოქროს ბექთარი ემოსა და ლითამიც ოქროსი ჰქონდა. ჰეროლდად მას იოანე მახარებლის მსგავსი ვინმე მოჰყვებოდა. მოახლოებისთანავე გაისმა ჰეროლდის ხმა:

– ვინ შეებრძოლება ჩემს ბატონს, რაინდებო!

რაინდებს ერთბაშად გაუქრათ წყურვილის და დაქანცულობის გრძნობა. ისინი აღანთო ბრძოლის ჟინმა, ძლევის სახმილმა. თითოეული იოგი დაეჭიმათ, გაუქვავდათ კუნთები და გასალკლდევდნენ.

კენტერბერიის გრაფმა, ოლივერმა მოითხოვა რაინდთა წესისამებრ ლითამი აეხადა და სახე ეჩვენებინა მოსულს. შვიდივემ დაინახა სახე ოქროს რაინდისა. მოულოდნელობის, ბედნიერებისა და თავის გამოჩენის სურვილმა დაუარა ყველა მათგანს.

პირველ ტურნირზე ნორტუმბრიის ჰერცოგი გავიდა. დამარცხდა, მაგრამ მისი გული მხიარულობდა, სული მღეროდა. ასე მოუვიდა ექვსივე რაინდს. ბოლოს ნორვიჩის ბარონი, პირინეების გიგანტური დათვის სიმძლავრის რაინდი გავიდა საბრძოლველად. ისიც დამარცხდა

რაინდთა წესისამებრ, დამარცხებული მოასპარეზენი, ნადიმად, შორიახლოს, მთის ბორცვებში დატანებული მღვიმეებისაკენ მიიწვია ოქროს რაინდმა. დანდობილად მიჰყვებოდნენ შვიდნი ცხენოსნებს. უცებ გაარკვიეს როგორ იცვალა უდაბნომ სახე და მთის კალთებთან სანეტარო ოაზისში მოხვდნენ ყველანი. ნადიმზე მოილხინეს შვიდივემ, ოქროს რაინდმაც მოილხინა ფრიად, იგალობეს, იზმნეს. განსრულდა ლხინი. მზეც დასალიერს მიუახლოვდა. წამოდგა ოქროს რაინდი და მისი ჰეროლდი. დასტოვეს ოსტიგანი. მთის ნაპრალების გამოქვაბულებისაკენ გასწიეს. წამოდგნენ რაინდებიც და გაჰყვნენ უკან. შეამჩნიეს, გამოქვაბულისაკენ მიმავალი გზა მარმარილოს ფილაქანს დაეფთარა სრულიად. ცოტა უფრო მოგვიანებით იმასაც მიხვდნენ, რომ ციცაბო სავალი ვერტიკალურად სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა ცისკენ. ბოლოს, გამოჩნდა დიადი ქალი, რომელიც ასაკით ოქროს ლითმანის დად იგულვეს რაინდებმა, მაგრამ აშკარად ღვთისმშობელ მარიამს ჰგავდა ის. შეეგება ოქროსთმიანს მარიამ ღვთისმშობელი და რაინდებიც გულთბილად მიიღო.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ, ლიბანის აღმოსავლეთით, ინგლისის ჯარებმა ბული ადინეს უდაბნოს ტრამალებს. მოულოდნელად წააწყდნენ ისინი თავიანთი ღირსეული თანამებრძოლების ცხედრებს. დაღონდა მეფე რიჩარდი და ჰკითხა მის გვერდით მომავალ არაბ აქიმს მიზეზი ჩინებული რაინდების დაღუპვისა. გასინჯა აქიმმა ცხედრები და თქვა:

–ისინი მოკლა მზემ, მაგრამ ნუ დაღონდებით მეფეო მათთვის. შვიდივე რაინდს სიკვდილის წინ ისეთი ლამაზი სიზმრები უნახავს, ჩვენთვის, მოკვდავთათვის წარმოსადგენადაც ძნელიაო.

* * *

ეს მოთხრობა არის ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოები. დავსძენდით მხოლოდ, რომ რიჩარდ I პლანტაგენეტი ლომგული (1157-1199) მონაწილეობას ღებულობდა III ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ეს ლაშქრობა მიმდინარეობდა 1189-92 წლებში. ჯერ კიდევ მძარცველური ინტერესებით გაუჯერებელი ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა, რაც შვიდი რაინდის უსარგებლო ხეტიალსა და გარდაცვალებაში გამოჩნდა. ლაშქრობის ქრისტიანული სულისკვეთება აირეკლა ოქროს რაინდის– იესო ქრისტეს სახეში. რაინდთა ქველმოქმედება და მიწიერ ყოფაში სასულიერო მისიონერული მოღვაწეობა გამოჩნდა კეთროვანი პილიგრიმისათვის უკანასკნელი წყლის გაღებაში, ხოლო თავდადება და უანგარო სიყვარული მაცხოვრისადმი – უკანასკნელი საგალობლის შესრულებაში. რაინდული ეტიკეტის წესის დაცვა გამოწვევის მიღებაში, ინახად ჯდომასა და ქრისტეს კვალზე შედგომაში გამომჟღავნდა. ტოლერანტობა და ჯვაროსნული ლაშქრობის კოსმოპოლიტური ტენდენციები გამოხატულია რიჩარდის ბანაკში არაბი მკურნალის საკმაოდ პრესტიჟული მდგომარეობის ჩვენებით და სხვა.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოები მარტო მხატვრულ-ესთეტიკური აღქმისათვის არაა გამიზნული. მას განმარტებაც ესაჭიროება. დაფარულის გამოსააშკარავებლად სახე – სიმბოლოთა ისტორიის ცოდნაა საჭირო. მოსწავლეებს ეს პროცესი „კერკეტი კაკლების“ მტვრევას, „საბურველის გადაცლის“ ხელოვნებას შეასწავლის.

## 20. ისტორიის სწავლება XII კლასში (ისტორიოსოფია)

განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით მესამე საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში გათვალისწინებულია XII კლასის არსებობა. ეს სიახლეა ქართული სკოლებისათვის. ფსიქოლოგიურად შესწავლილი არაა 17 წლის ასაკის ადამიანების - სასკოლო პედაგოგიური თავისებურებები. ბუნებრივიცაა, რადგან წარსულში ამის გამოცდილება არ გვქონია. პრობლემის მოგვარება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის პირველიკურსელების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლით. ამის გარდა, შესაქმნელია სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები,რაც საკმაო დროს და უამრავი ადამიანის ძალისხმევას მოითხოვს.

უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში უკვე დამუშავებულია XII კლასის სასწავლო-საგანმანათლებლო სტრუქტურები, მაგრამ მათი პირდაპირი გადმოღება სასურველი არ არის და არც გვაწყობს. თუმცა მაქსიმალურად უნდა მოხერხდეს ჩვენი და უცხოეთის ქვეყნების საგანმანათლებლო მოთხოვნილებების შეჯერება. საქართველომ უნდა შესძლოს საერთაშორისო სტანდარტების დაცვა.

XII კლასში უნდა მოხდეს მთელი განვლილი მასალის გამეორება. და მასწავლებელი უნდა ასრულებდეს მეგზურის როლს. მან მოსწავლეთა მეხსიერებაში უნდა აღადგინოს განვლილი მასალის სურათები, მოსწავლეთა ყურადღება უნდა შევაჩეროთ კულტურათა პერიოდული და ციკლური განვითარების პრინციპზე.

ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის (1889-1975) თეორიების გაცნობა. ისტორიულ-გეოგრაფიული და ბიოლოგიური სფეროები წარმოქმნიან თავისებურ, ჩაკეტილ, დასრულებულ ცივილიზაციებს, რომლებიც ცალ-ცალკე გაივლიან ონტოგენეზს. ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია ჩასახვა, წარმოშობა, ზრდა-განვითარება, გაქვავება, მსხვრევა, ხრწნა, გადაგვარება. ონტოგენეზის პროცესის დასრულების შემდეგ ახალი

ცივილიზაცია იწყებს იგივე გზის გავლას და ასე დაუსრულებლად. შესაძლებელია მთელი დედამიწა დასახლებული იყოს ადამიანებით, მაგრამ ცივილიზაციის კერა ერთგან უნდა იყოს სადმე ლოკალიზებული. აზროვნების და მსოფლმხედველობის ერთიანი პროცესი უნდა მსჭვალავდეს ლოკალიზებული კულტურული კერის მთლიანობას. მთელი საზოგადოება და კაცობრიობაც ამ ცივილიზაციის პირმშოდ რაცხს თავის თავს. ცივილიზაციის განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს „შემოქმედებითი უმცირესობა“, რომელსაც შესწევს ძალა „ინერტული უმრავლესობის“ თავის კვალზე გაყოლიებისა. ზოგჯერ დგება მომენტი, როცა საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენები მისი მამოძრავებელი ძალების კონტროლიდან გამოდიან. ასეთ შემთხვევაში „შემოქმედებითი უმცირესობიდან“ „გაბატონებულ უმცირესობად“ გადაიქცევიან ცივილიზაციის მაკულტივირებელი ადამიანები. ამის შედეგია აჯანყებები, გადატრიალებები და ცივილიზაციათა მონაცვლეობანი.

ტოინბი „ლოკალური ცივილიზაციების“ კონცეფციის ფუძემდებელთაგანია. მისი აზრით ეროვნულ სახელმწიფოსთან ან პოლისთან შედარებით, სივრცესა და დროში, უფრო დიდი საზღვრები აქვს საზოგადოებას. ამიტომ სწორედ საზოგადოებები ქმნიან ისტორიის შესწავლის „ინტელიგიბელურ სფეროს“. ამ უკანასკნელთან ეროვნულ სახელმწიფოს თუ პოლისს ან სხვა პოლიტიკურ ერთეულს ისეთი დამოკიდებულება აქვთ, როგორიც მთელთან ნაწილს. მეცნიერული შესწავლის ობიექტად უნდა იქცნენ საზოგადოებები, რომლებიც ქმნიან „სოციალურ ატომებს“, და არა სახელმწიფოები. მართალია, სახელმწიფო ან რომელიმე ქალაქ-სახელმწიფო შეიძლება ისტორიული შესწავლის „ინტელიგიბელურ ველს“ ქმნიდეს, მაგრამ ამავე დროს ისინი ერთი ტიპის საზოგადოების წარმომადგენლებიც იყვნენ. ისტორიას, არ ახსოვს, რომ რომელიმე საზოგადოებას მთელი კაცობრიობა მოეცვას ან გავრცელებულიყოს მთელ პლანეტაზე. საზოგადოების სხვადასხვა ისტორიულ თავებს შორის უწყვეტელობა უფრო ძლიერია, ვიდრე – სხვადასხვა საზოგადოებებს შორის არსებული. საზოგადოებების ურთიერთობის განხილვის დროს არსებითია შემდეგი სოციალური მოვლენები: I. უნივერსალური სახელმწიფო აპარატი; II. ეკლესია; III. ხალხთა გადასახლებები.[125] ტოინბს მიაჩნია,

რომ კაცობრიობის გლობალური პრობლემები დაკავშირებულია ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პროცესებთან. მსოფლიო პოლიტიკურ უთანხმოებათა მთავარ მიზეზად მას ნაციონალიზმი ესახება. პოლიტიკური დაპირისპირებების მეორე მიზეზი ქვეყნების მმართველ პიროვნებათა შინაგანი სამყაროს თვალთახედვის და მსოფლაღქმის, მათი ხასიათების დისჰარმონიულობაა[126].

მოსწავლეები იგებენ, რომ კულტურა თავისი პერიოდული განვითარებით ძველ, შუა და ახალ საუკუნეებს მოიცავს. ეს არაა ისტორიის პერიოდიზაციაში გამოყენებული ტერმინოლოგია, რადგან კულტურას აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. არსებობენ ძველი ცივილიზაციები (მესოპოტამია, სპარსეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი), ქრისტიანული შუა საუკუნეები და ახალი ეპოქა. პერიოდიზაციის ეს თანმიმდევრობა ჩამოაყალიბა გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა (1770-1831) თავის ნაშრომში „ისტორიის ფილოსოფია" („Philosoplie der Geschichte").

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰერდერის ისტორიის ფილოსოფია აღიარებდა დიდი ხალხების (ეგვიპტელები, სპარსელები, ბერძნები, რომაელები) კულტურულ ეპოქებზე გავლით, აღმავალი განვითარების გზით კაცობრიობის ჰუმანიზმამდე მისვლის კანონზომიერებებს. ჰეგელიც მიიჩნევს, რომ ისტორიას თავისი, ბუნების კანონებისაგან განსხვავებული, კანონზომიერებები გააჩნია[127]. ისტორიის კანონები ხორცს ისხამს ადამიანების შეგნებული მოქმედების შედეგად. მიუხედავად ამისა, ისტორიას ისეთი კანონზომიერება განაგებს, რომელიც სულაც არ არის ადამიანებზე დამოკიდებული. ისტორია, ჰეგელის თქმით, ერთი შეხედვით გვაგონებს ადამიანთა გვამებით მოფენილ ბრძოლის საშინელ ველს. ისტორიის ფილოსოფიის მიზანს წარმოადგენს გაურკვევლობასა და კატასტროფის ამ გროვაში აზრის, გონის აღმოჩენა.

ისტორიის მასწავლებელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ინდივიდი თავისი განვითარების პროცესში მოკლე, შეკუმშულ დროში გადის იმ გზას, რომელიც კაცობრიობამ გაიარა[128]. ამიტომ, ისტორიის სწავლება მოზარდის ასაკობრივი განვითარების გათვალისწინებით, მათი ფიზიკურ-ბიოლოგიური მდგომარეობის შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს. ამის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, აქ მხოლოდ

დავსძენთ, რომ ადამიანის ონტოგენეზური განვითარების შესახებ
პარალელის მოხმობა კაცობრიობის ისტორიის წარმმართველი გო-
ნის, აზრის ამოჩენაში დიდად შეგვიწყობდა ხელს.

ჰეგელი გამოარჩევს მსოფლიო ისტორიის სამ მთავარ ეტაპს:
I. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის ეპოქა; II. ბერძნულ-
რომაული ხალხების კულტურის ეპოქა და III. თანამედროვე ევროპის
ხალხთა კულტურის ეპოქა. ეს სამი ეტაპი თავისუფლების შეცნობის
თვალსაზრისითაც მკვეთრად დიფერენცირებულია. ძველი აღმო-
სავლეთის სამყაროს ადამიანმა იცოდა, რომ თავისუფალი შეიძლება
იყოს მხოლოდ ერთი ადამიანი მაგალითად ფარაონი. ბერძნულ-
რომაული სამყაროს ადამიანმა იცოდა, რომ თავისუფალი შეიძლება
იყოს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი (ნობილიტეტი). თანამედროვე
ევროპული სამყაროს ადამიანმა იცის, რომ „ყველა ადამიანი თავი-
სუფალია“.

ცხრა წლამდე ასაკის ადამიანი თავის აღმზრდელს ისე შესცქერის,
როგორც ძველი ეგვიპტელი–ფარაონს. 13–14 წლამდე ადამიანები
იწყებენ გამორჩევას, როგორც მასწავლებლებისას, ისე საგნების,
დაინტერესების სფეროების და ჯგუფის შიგნით თვით ერთმანეთისას.
ესაა პერიოდი პატარ–პატარა სამეგობროების, საამხანაგოების შექმ-
ნისა. ამ დროს მიღებული შთაბეჭდილებები არც თუ ისე სწრაფ-
წარმავალია და დიდხანს განაგრძობს ცხოვრებას ადამიანის ქვეცნო-
ბიერებაში. 15–17 წლის ასაკი არის ყველაზე ჯანსაღი პერიოდი
თანასწორობის, ადამიანთაშორისი პატივისცემისა და ნდობის
ჩამოყალიბების. ესაა ნობილიტარული შეგნებიდან საზოგადოებრივ-
სახალხო–სამოქალაქო შეგნებაზე გადასვლის დრო. ქრისტეს იმპულ-
სების შეგნებული გაცნობა ამ პერიოდიდან იწყება. ისტორიის
სიბრძნის აღქმაც ამ ასაკიდანაა შესაძლებელი.

ჰეგელის მიხედვით ისტორიის საბოლოო მიზანია თავისუფლების
განვითარება. თვით ისტორია კი ესაა „მსოფლიო გონის“ განვითარება
დროში. „მსოფლიო გონი“ თავის მიზანს თავისუფლების რეა-
ლიზაციით მიაღწევს. უამრავი მსხვერპლი, რომელიც მსოფლიო
ისტორიამ გაიღო, სწორედ თავისუფლების მისაღწევად იყო საჭი-
რო[129]. ამდენად, თავისუფლება თვითღირებულებადია და მიზანია
თავისივე თავისა, რადგანაც გონი თავისუფლად შეიმეცნებს თავის

თავს, ამიტომ ისტორია „თავისუფლების შემმეცნებელი პროგრესია“[130].

„მსოფლიო გონი“ ვითარდება ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის – „ადამიანური აქტიურობის“ შედეგად. ეგოისტური მოთხოვნილებებით, ინტერესებითა და ვნებებით მოტივირებული ადამიანური აქტიურობა ქმნის „მსოფლიო გონის“ განმავითარებელ ერთადერთ საშუალებას. სწორედ მათი მეშვეობით ანხორციელებს ისტორია თავის ყველაზე შინაგან მიზნებს. როგორც ჰეგელი ამბობს: „სურვილთა, ინტერესთა და ქმედებათა აურაცხელი ოდენობა ის იარაღი და საშუალებაა, რომლითაც მსოფლიო გონი ანხორციელებს თავის მიზანს. ეს უკანასკნელი კი ისტორიას აღამაღლებს ცნობიერებამდე და ხორც შეასხამს მას“[131].

„მსოფლიო მნიშვნელობის ინდივიდები“ ისტორიის ჭეშმარიტი გმირები არიან. მათი ინტერესები, მოთხოვნილებები და მისწრაფებები ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენათა აღსრულებისკენაა მიმართული. მართალია „მსოფლიო მნიშვნელობის ინდივიდთა“ მოქმედებებს ეგოისტური იმპულსებიც მსჭვალავენ, მაგრამ ისინი „მსოფლიო გონის ნებას“ აღასრულებენ და, ამ გაგებით, გარკვეული შემეცნების ჩარჩოებში თავსდებიან. ჰეგელის თქმით, თუ არა ასეთი იმპულსები, ვერ შესრულდებოდა ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის მისიები.

ჰეგელი მიიჩნევს, რომ შეუპოვარი ბრძოლისა და შრომის გარეშე მსოფლიო ისტორიაში ადგილს ვერავინ დაიმკვიდრებს. შრომის იდეა კი კაცობრიობის აღმზრდელი და მასწავლებელია. რადგან გონებას უმოქმედოდ ყოფნა არ შეუძლია, ადამიანიც მოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ამ მოქმედებით ადამიანები მეტს აკეთებენ ვიდრე ეს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას მოჰყვებოდა. განახორციელებენ რა ისტორიის კანონებს,[132] ისინი ისტორიას წინსვლისკენ უბიძგებენ.

ყოველ ისტორიულ ეპოქას გააჩნია თავისი გონი – („ეპოქის სული“). იგი ხასიათდება ეკონომიკურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებით, და ყველა სხვა დანარჩენი, საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტებით (აქ შედის ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია და სხვა) ეპოქის გონი, ყველა მანამდე არსებული გონებების ფორმათა გაგებით,

„შეიცნობს“ თავის თავს, რითაც ერთი ისტორიული ფორმა დასრულდება და გამოჩნდება ახალი ეპოქის ათვლის წერტილი.

იდეა რომ რეალური გახდეს, აუცილებელია მისი შინაგანი ხასიათის გამოვლინება. თავისუფლების, როგორც იდეის გამოვლენაა სახელმწიფო. სახელმწიფო არის „ისეთი რამ, რომელშიც თავისუფლება მოიპოვებს და განიცდის თავის ობიექტურობას“[133]. ისტორია და სახელმწიფო ერთი და იგივე მოვლენებს გამოხატავს. ხალხი, რომელსაც არასოდეს შეუქმნია სახელმწიფო არ ეკუთვნიან ისტორიას. ისინი ისტორიის გარეშე დგანან[134].

მსოფლიო ისტორიული გონის განვითარება თანდათანობით ხდება. თავისუფლება თანდათანობით ისხამს ხორცს. ეს დროში გაწელილი პროცესია. თითოეულ ასეთ შემოსაზღვრულ დროს განსაზღვრავს თავისი ხასიათი – „სახალხო გონი“. საზოგადო ზნის სახელმწიფო მოწყობის თავისებური გაგების გამო, ხალხი რომელსაც თავისი გამოკვეთილი ხასიათი გააჩნია, რაღაც მომენტში, ისტორიული გაგებით, უმთავრეს ფენომენად იქცევა. როგორც კი მსოფლიო გონის განვითარებისათვის აუცილებელ ისტორიულ როლს შეასრულებს, ეს ხალხი ჩამოდის ავანსცენიდან და ადგილს სხვას უთმობს. მსოფლიო ისტორიამ „სახალხო გონის“ განვითარების შემდეგი თანმიმდევრობა იცის: I. ძველი აღმოსავლეთის ხალხები (ძვ. ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი), II. ბერძნული სამყარო, ბერძნული საზოგადოება და თემები, III. უნივერსალური რომაული იმპერია და IV. გერმანული სამყარო (გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია) და ქრისტიანული ევროპა. ეს უკანასკნელნი, მსოფლიო ისტორიის უმაღლესი ეპოქაა.

ისტორიული ხალხების თავდაპირველი „არაისტორიულობა“ მათივე განუვითარებელი ინდივიდუალობის შედეგია. ძველი ხალხების სახელმწიფოში ინდივიდი – უნებისყოფო ორგანიზმი. სახელმწიფო ვერ შეეგუება მისი ინდივიდუალობის განვითარებას. მისი ადგილი არც არის სახელმწიფოში. თუ ადამიანი საზოგადოებისადმი მიკუთვნებას შეამცირებს, მას შეიძლება გაუჩნდეს რაციონალური აზროვნება. ძველი აღმოსავლეთის ხალხები უფრო ბუნებაში ცხოვრობენ, ვიდრე საზოგადოებაში. ასეთი ადამიანების აზროვნება მითის ხასიათს ატარებს. ადამიანი თავის ფიქრსა და აზრს შეერწყმის და, ამიტომაც, იგი თავისუფალია არა სინამდვილეში, არამედ მხოლოდ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში.

ანტიკური საბერძნეთი ესაა „ზნეობრივი სინამდვილის“ პოლისი, სადაც ურთიერთგადაჭდობილია ინდივიდი და საზოგადოება, ინდივიდი და კანონი. ანტიკურ საბერძნეთში ინდივიდი საზოგადოებას ბრმად როდი მორჩილებს, არც საზოგადოება გამოდის პიროვნების მიმართ ფეტიშის როლში. ინდივიდსა და ზნეობრივ ჩვევებს, კანონებს შორის გაიგივებას ღრმა შინაგანი ხასიათი აქვს. ინდივიდი ზნეობრივ კანონებსა და ჩვევებში შეიცნობს საკუთარ ნებას, თუმც ამას ვერ გამოხატავს. ზნეობისა და კანონების მიმართ ინდივიდი გულწრფელი ნდომითაა განმსჭვალული.

ბერძენ მოქალაქეში ჯერ კიდევ არ არის გაგებული კანონის შემეცნების მნიშვნელობა, რაც საერთოდ მოქალაქის თავისუფლებას წარმოადგენს. მოქალაქე კანონს შეიმეცნებს „არა მხოლოდ საგნობრივ რაობას, არამედ როგორც კანონს საკუთარ თავში... სხვისი სხვისთან თავისუფალი ერთიანობა ისე განიმსჭვალება, რომ როგორც სხვები ჩემი მეშვეობით, ასევე მე სხვების მეშვეობით ვჭვრეტ მათ საკუთარ (მედ) თავად, საკუთარ (მეს) თავს როგორც მათ“[135]. („Индивидуум познает законы не только как предметную вещность, но именно познает себя в них... созерцаю свободное единство с иными в иных так, что как они через меня, так я через иных-созерцаю их как себя, себя как их") ბერძენი მოქალაქე სხვებთან ურთიერთობას ბოლომდე ვერ იაზრებს. იგი გადაწყვეტილების მიღებამდე მკითხაობს, ორაკულების რჩევისამებრ მოქმედებს. ეს ცხადყოფს მისი სუბიექტური ნებელობის სისუსტეს და, ამდენად, მისსავე შეზღუდულ დამოუკიდებლობასაც.

რომის იმპერიაში ყალიბდება „პოლიტიკური საზოგადოება“ – სახელმწიფო. რომის მოქალაქე თავისთავად უკვე რაღაცას წარმოადგენს. ბერძენი მოქალაქე და ბერძნული სახელმწიფო გაჟღენთილი იყო ნატურალიზმის გრძნობით, რომში ეს სამართლებრივმა მდგომარეობამ განაქარვა. ბერძნული რელიგიური და სულიერი თვითშემეცნებიდან კაცობრიობა გადავიდა რომაულ გონებისმიერ რაციონალურობაზე. რომის იმპერატორი ამკვიდრებს აბსოლუტური ძალაუფლების იდეოლოგიას. სახელმწიფოს მართვაში მონაწილე ხელქვეითები იმპერატორის ძალაუფლებას აღიქვავენ, როგორც ბედს. ამდენად, იმპერიაში შინაგანი ერთიანობა არ არის. ქვეშევრ-

დიძი ბედის სიმძიმის შეცნობით თავისი უბედური არსებობის გაგებამდე მიდის. ისეთი ფილოსოფიური სკოლების გაჩენა, როგორიცაა სტოიციზმი, ეპიკურელობა ცხადყოფს, რომ რომში ადამიანის ცხოვრების საფუძვლად მიიჩნევენ უბედურებას. ამას თავისი პოზიტიური ნიშანიც ჰქონდა: ადამიანი თავისუფლდებოდა შინაგანად და იგი გარემოცული იყო გადაწყვეტილებათა მიღების უსაზღვრო შესაძლებლობებით.

„სახალხო გონის" განვითარების გზაზე უკანასკნელია გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია. აქ ისტორიის შინაგანი მიზანი სრულადაა ამოქმედებული, ეს იმიტომ, რომ გერმანელი და დასავლეთ ევროპელი ხალხების ისტორია ქრისტიანობის საფუძველზე დგას. ქრისტიანობა შინაგანი თავისუფლების და ყველა ადამიანის უფლებრივი თანასწორობის მოძღვრებაა. მართლაც, ევროპულმა სახელმწიფოებმა შესძლეს თავისუფლების მოპოვება და დღემდე კაცობრიობის განვითარების კერებად რჩებიან.

ასეთია ჰეგელის შეხედულებები ისტორიის ფილოსოფიის შესახებ და მისი ამონარიდების გაცნობა მოსწავლეებს დიდად წაადგებათ საგანში ორიენტაციისათვის. XII კლასის მოსწავლეებისათვის მსგავსი ამონარიდებისაგან შეიძლება მომზადდეს ისტორიის ფილოსოფიური აზრის განვითარების ქრესტომათიული სახელმძღვანელო. აქ თავს მოიყრიან: პლატონის, ჰეროდიტეს, არისტოტელეს, თუკიდიდეს, ნეტარი ავგუსტინეს, ბედა პატივსაცემის, ფსევდო დიონისეს, იოანე პეტრიწის, ჟამთააღმწერლის, ნიკოლოზ გულაბერიძის, ჰუმბოლტის, კანტის, ჰეგელის, ვახუშტი ბატონიშვილის, ბერდიაევის, ტეიარ დე შარდენის, ტოინბის და სხვათა ნაშრომებში გაბნეული შეხედულებები ისტორიის მსვლელობის განსაზღვრის, ისტორიული გარდაუვლობის, ადამიანთა თავისუფალი მოქმედების, პიროვნების და სოციალური გარემოს შესახებ.

სკოლაში ისტორიის სწავლებისას დიდი ადგილი უნდა დავუთმოთ ხელოვნების ისტორიის შესწავლას. მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ გაეცნონ ბერძნული არქაიკის (ძვ. წ. VIII) სკულპტურებს, მინოსური არქიტექტურის ნიმუშებს, ძვ. წელთაღრიცხვის X–IX საუკუნეების გეომეტრიული ეპოქის ხელოვნების ნამუშევრებს, V–IV საუკუნეების ზევსის, ათენის, აპოლონის, აფროდიტეს, ვენერას

და სხვა ქანდაკებებს. ელინისტური ძველი ბერძნული ეპოქების ხელოვნების ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა მოსწავლეებს დაანახვებს ეპოქის სულს, იმავდროულად, გამოუმუშავებს ანალიზისა და სინთეზის უნარ-ჩვევებს.

XII კლასში მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა შეექმნათ კულტურათა განვითარების ციკლურ და ე.წ. მონაკვეთურ თავისებურებებზე. ციკლური კულტურის ტიპური მაგალითია-ჩინეთი. ჩინურ კულტურას არ ახასიათებს კულმინაცია და დეკადანისი. ასეთი კულტურის თვითმყოფადობა არასოდეს წყდება, იგი განუწყვეტლივ ვითარდება. ამასთანავე, იგი მუდმივ მდინარებაშია. არ არის ისეთი ისტორიული დრო, რომ ციკლური კულტურის მოძრაობა წყდებოდეს. ინდიელების კულტურა კი შეწყვეტილი ე.წ. მონაკვეთური კულტურაა. ინდიელების კულტურის განვითარება ალკვეთა, შეწყვიტა როგორც გარეგანმა, ისე შინაგანმა ფაქტორებმა. ცნობილი გეოგრაფიული აღმოჩენები და კონკისტადორების აღვირახსნილობა, როგორც გარეგანი ფაქტორი, და ინდიელ ტომთა ურთიერთდაპირისპირება, როგორც შინაგანი ფაქტორი, გახდა მიზეზი ამ კულტურის დასამარებისა.

ისტორიის სწავლებისას ძალიან ძნელია ისტორიული კანონზომიერებების შინაგანი წყობის და აღმშენებლობითი იმპულსების გადაცემა მოსწავლეთათვის. XII კლასის მთავარი ამოცანა სწორედ ამ სიძნელეების გადალახვა უნდა იყოს. აქ უნდა მოხდეს ადამიანთა იმ შეხედულებების გაანალიზება, რომლებიც ისტორიის საგანს შეეხება. მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ ჩვეულება ფიქრისა ისტორიის შესახებ. განხილული უნდა იყოს ჰეროდოტეს, ტაციტუსის, დიოდორე სიცილიელის და სხვა ისტორიკოსების წყაროები. ეს მოგვცემს საშუალებას მოსწავლეები დავაფიქროთ სხვადასხვა ისტორიული მოვლენების შესახებ. საინტერესოა ისტორიული სიბრძნის შესახებ ნეტარი ავგუსტინეს, ასევე, იოაჰიმ ფონ ფიორეს (Ioachim fon Fiore), პიკო დელა მირანდოლას, მარქსის და სხვათა შეხედულებების გაცნობა. ჰიტლერის ისტორიული როლის შესახებ როცა ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მისი როგორც დარვინისტული შეხედულებების სოციალური ტრანსფორმატორის წარმოდგენა.

ისტორიის იდეალია იმ სიტუაციის აღწერა, რომელშიც ადამიანია ჩაყენებული ამა თუ იმ ეპოქაში, ამა თუ იმ სახელმწიფოში, თხრობა იმ მოვლენების შესახებ რომელიც გარემოიცავს ადამიანებს.

ნეტარი ავგუსტინეს დროს ძლიერი იყო ორმაგი სიბრძნის თეორია. შუა საუკუნეების ისტორია აღწერდა ღვთის სამეფოზე ადამიანური სამეფოს დაპირისპირების მოვლენას. XII საუკუნეში იოაჰიმ ფონ ფიორე შეეცადა ისტორიის დიფერენცირებას. მან გამოარჩია : I – წარმართული სამეფო, II – ქრისტიანული სამეფო და III – წმინდა გონების სამეფო. XV საუკუნეში პიკო დელა მირანდოლა ავეროიზმზე დაყრდნობით ისტორიის მსვლელობაში წინა პლანზე წამოსწევს ადამიანის ფაქტორს. მისი წარმოდგენით სამყარო ანგელოზური, ციური და ელემენტარული სფეროებისაგანაა შედგენილი. გრძნობადი სამყარო უმაღლესი უსხეულო საწყისისაგან წარმოიშვა, რომლის მოუწესრიგებლობას ღმერთი გარდასახავს წესრიგად. პიკო დელა მირანდელას თქმით, სამყაროს წინააღმდეგობრიობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრივ ის ღმერთის გარეშედაა შთენილი, მეორეს მხრივ კი მისი გაჩენა ღვთისმიერია–ღმერთი ბუნებაშია, იგი სამყაროს ამავსებელი არსია. 1486 წელს დაწერილ სიტყვაში „ადამიანის ღირსების შესახებ"* პიკო დელა მირანდოლა საუბრობს განსაკუთრებულ მიკროკოსმოსზე–ადამიანზე. იგი სამყაროს ნეოპლატონური სტრუქტურის (ელემენტარული, ციური და ანგელოზური) მიღმა დგას იმდენად, რამდენადაც ყველა ამ სფეროებს განმსჭვალავს ვერტიკალურად. ადამიანისვე აქტიურობა და არა ვარსკვლავთა თვითღირებულება განსაზღვრავს ადამიანის ბედს.

ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ თვითონვე გამოძერწოს თავისი პიროვნება. პიკო დელა მირანდოლას ისტორიოგრაფია ანთროპოცენტრისტულია, რამეთუ აღიარებს ადამიანს საკუთარი ბედნიერების შემოქმედად („fortunae suae ipse faber"). ამგვარად გამოიკვეთა ადამიანის ისტორიული დანიშნულება ჰუმანიზმში.

მარქსი ისტორიის რაობას კლასთა ბრძოლაში ხედავს. „ისტორიული ეპოქის ეკონ ომიური წარმოება და მისგან გარდაუვლად გამომდინარე აგებულება საზოგადოებისა შეადგენენ ამ ეპოქის

---

* ეს სიტყვა პიკო დელა მირანდოლას უნდა წარმოეთქვა რომში მსოფლიოს ბრძენთა შეკრებაზე Я. Сус, Пико делла Мирандола, История философии, Перевод И.И. Богута, М., 1991, გვ. 302

პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველს. ამის შესაბამისად ისტორია იყო ისტორია კლასობრივი ბრძოლისა, ბრძოლისა ექსპლუატირებულთა და ექსპლუატატორთა, დამონებულ და გაბატონებულ კლასებს შორის საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე"[136]. „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია."[137] მოსწავლეებისათვის ეფექტის მოსახდენად წაკითხული შემდეგი სტრიქონები კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან: „ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერ-სენტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრიწა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობაზე დაიყვანა"[138] ან „თანამედროვე ბურჟუაზიული ოჯახი დამყარებულია კაპიტალზე, კერძო შენაძენზე"[139] ან „კომუნისტებს არ სჭირდებათ ცოლების ერთობის შემოღება, იგი თითქმის მუდამ არსებობდა"[140] ან „მუშებს არა აქვთ სამშობლო"[141] და სხვა, შოკურ რეაქციას გამოიწვევს მათში.

ჰიტლერი და ფაშისტური ისტორიოსოფია ეყრდნობა რა დარვინის მოძღვრებას, დაასკვნის, რომ ისტორია არის ადამიანთა, ხალხთა მსოფლმხედველობა და ბრძოლა ამ მსოფლმხედველობის მატარებელ რასებს შორის. ადამიანი მუდამ იბრძვის, როგორც რასის წარმომადგენელი და ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის ვინც მაღალი რასის სახელით გამოდის.

მოსწავლეებისათვის საინტერესო უნდა იყოს ისტორიული სიმპტომატიკისათვის დამახასიათებელი პიროვნების მნიშვნელობა. ისტორიის წარმოდგენა პიროვნებების სახეებში ჯერ კიდევ პლუტარქეს ეპოქიდან მომდინარე ტრადიციაა. კაცობრიობის ისტორია პიროვნებათა თავგადასავლებია. აქ მთავარია რა ნიშნით შემოდის და შემდგომ როგორ წარიმართება პიროვნების მოღვაწეობა ისტორიაში.

პიროვნებებსა და მათ საქმიანობაში ვერ თავსდება ისტორიის წარმმართველი იდეებისა და იმპულსების მასშტაბები. თუ კი იმპულსები და იდეები ისტორიის ჩონჩხს წარმოადგენს, პიროვნებები და მათი საქმიანობა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ხორციელ გარსად, რომელიც ჩონჩხს გარე აკრავს. კარგი ბიოლოგი აკვირდება რა შროშნის მარცვალს, მთელი მცენარის სასიცოცხლო პროცესის განვითარებას

თვალს მიადევნებს. მან იცის, რომ მარცვალში საკუთარი თავის რეალიზაციის შედეგად შროშანი მიიღება. ისტორიკოსს უფრო რთულად აქვს საქმე. ისტორია, როგორც საგანი იმპულსების, იდეების, პიროვნებების და საქმეების ნარევია. მხოლოდ პიროვნებაზე დაკვირვებით ისტორიკოსი ვერ შესძლებს მისი კანონზომიერებების აღმოჩენას. აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს თვით ამ პიროვნების საქმენი, ასევე იმპულსები და იდეები, რომლებიც ამოძრავებდა პიროვნებას. ისტორიული სიმპტომატოლოგიის ამოცანაა — უამრავი, ქაოსური ფაქტოლოგიური ნიაღვრიდან გამოარჩიოს ის მოვლენები, რომლებიც შესაძლოა ფიზიკურად არც კი შეიმჩნეოდეს, მაგრამ გვაძლევდეს მტკიცე საფუძველს სულიერი განვითარების მოსათხრობად. ამ თვალსაზრისით, ისტორიული მოძღვრება საიდუმლოებათა კვლევასაც ჰგავს. საიდუმლო ისეთი რამეა რასაც სხვათა თვალი ვერ ხედავს, რაც დაფარულია. აქ არის მეორე მომენტი: იმდენად ცხადი, აშკარაა ყოველივე და ისე ახლოსაა ჩვენგან, რომ ვერც კი ვამჩნევთ მის იდუმალებას.

ასე რომ, მოსწავლეები გაეცნობიან აზრებს ისტორიის შესახებ, მაგრამ თავსატეხი კითხვა — რა არის ისტორია? ისევ პასუხგაუცემელი დარჩება. მოსწავლეს ეს არ შეაშინებს, პირიქით, მის ენერგიას და ცნობისწადილს აღძრავს კვლევა-ძიებისაკენ, ფიქრისაკენ. სწავლების დანიშნულება სწორედ ესაა.

XII კლასის მოსწავლეები უნდა გაეცნონ ცივილიზაციის გლობალურ პრობლემებს. ცივი ომის და მისი შედეგების ლიკვიდაციას, ატომური ომის საფრთხის, ეკოლოგიური კატასტროფის, იმპერიალიზმის მემკვიდრეობისაგან თავის დაღწევის, ფემინიზმის, პოსტკომუნისტური სივრცის დაძაბულობის და ფეთქებადსაშიში სიტუაციის, საბჭოთა იმპერიის რღვევის და ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ორიენტაციების, ადამიანის უფლებების, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა შესახებ.

ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი პრობლემა, რომელიც ცივილიზაციის გლობალური პრობლემად მთელი მსოფლიოს წინაშე დგას. ჯერ კიდევ გოეთე აყენებდა საკითხს დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა მორიგების შესახებ.

„ქართული ხელოვნებისა და ესთეტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა აღმოსავლურობის დაძლევა. მხოლოდ რომანტიზმმა შესძლო საბოლოოდ აღმოსავლურობის დაძლევა."[142] მიუხედავად ამისა, „აღმოსავლური ელემენტები ჩვენს პოეზიას დღემდე შემორჩა. დღევანდელი ესტრადიდან ხშირად ისმის ძველ თბილისურ ჰანგებზე აგებული სიმღერები, ხან სასიამოვნოდ გაქართულებული, მაგრამ ზოგჯერ აღმოსავლურობით ზედმეტად დატვირთული."[143]

იგივე პრობლემის შესახებ მსჯელობს და გამოსავალსაც პოულობს მერაბ კოსტავა: „ქართული სიმღერა-გალობა საუკეთესო ვაქცინაა, ბრძოლის უებარი საშუალებაა ჩვენი მუსიკალური კულტურის ორი დაავადების, ორი დაუძინებელი მტრის მასში გავრცელებული აღმოსავლური ბაიათების და ფსევდო-ინტელიგენციის ფენაში მოდებული ჯაზური მუსიკის წინააღმდეგ... დღესაც კი ვიმკით როსტომ მეფის და შაჰნავაზის დროინდელ კომპრომისს მუსლიმანური სამყაროს წინაშე."[144] მერაბ კოსტავა მუსიკალური კულტურის აღმოსავლურ-ბაიათურ და დასავლურ-ჯაზურ ორიენტაციათა შორის ოქროს შუალედის მოძებნას გვთავაზობს. ესაა ქართული სიმღერა — გალობა. უახლესი ისტორიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ჩინებულმა სტრატეგოსმა თავისი პირადი მოღვაწეობით დაამტკიცა მის მიერ ნათქვამი სიტყვების ჭეშმარიტება. მერაბ კოსტავამ კარგა ხნის წინ იგრძნო ის საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოელოდა აღმოსავლური, სპარსოფილური ტენდენციების დაძლევისა და დასავლურისკენ ცალმხრივი ლტოლვის შედეგად რომ შეიძლებოდა გაჩენილიყო.

ევროპაში დასავლურობა ამერიკანიზმში ვლინდება, აღმოსავლურობა—აზიატურობაში. ამერიკანიზმის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ დაბერება და, მით უმეტეს, სიკვდილი არავის უნდა. ცხოვრება მხოლოდ ჰედონისტური და პრაგმატული თვალსაზრისებითაა გაშინაარსებული. მხატვრულ თუ დოკუმენტურ ვიდეო — ფილმებში ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ 70-80 წლის მოხუცები შეინარჩუნონ ახალგაზრდული იერი და გამომეტყველება, ჩვევები და სიცოცხლის ხალისი. ისინი 20 წლის უმწიფარი ბიჭებივით დარბიან ზღვის სანაპიროზე, ტენისის კორტებსა და გოლფის მოედნებზე, არ აკლდებიან კინო-თეატრებს, დისკოთეკებს, ფეხბურთისა

და ჰოკეის მატჩებს. მოკლედ, ყოველნაირად ცდილობენ თავი ახალგაზრდებად მოაჩვენონ ყველას. თვით საკუთარ თავსაც კი ატყუებენ. სადღაა მოხუცის ჭკუადამჯდარი, ცხოვრებისეული გამოცდილებისაგან დაბრძენებული თვალების გამომეტყველება და მიხრა-მოხრა. ძნელია ზომიერება და თანმიმდევრობადარღვეული ამ სამყაროს ცქერა. ეს გვიმტკიცებს რწმენას, რომ საჭიროა კაცობრიობამ თავისი განვითარების ორიენტაცია შეიცვალოს. ეს სენი ევროპასაც შეეყარა. ევროპელი და ამერიკელი ფიზიკურ სხეულში ბედნიერად გრძნობენ თავს. ისინი ფიზიკურის ნაპირზე დგანან და ეძებენ ხიდს სულიერი მიჯნებისაკენ.

სრულიად განსხვავებული ფიქრები და შინაგანი სულიერი წყობა აქვს აზიელს, მაგალითად ინდოელს. იგი ასე უსვამს თვითშემეცნებით შეკითხვებს საკუთარ თავს: რისთვის გავჩნდი მე ამქვეყნად? რატომ მოვედი ამ ფიზიკურ-გრძნობიერ სამყაროში? ინდოელისათვის სიკვდილი მხოლოდ დახსნაა სულისა, განთავისუფლება. სიბერე, ავადმყოფობა და უბედურებები ბედისწერით დადგენილი ნორმები. ინდოელისათვის ფიზიკური ცხოვრება ტყვეობა და ტანჯვაა. აზიელი სულიერი ნაპირებიდან ფიზიკურისაკენ გადმოსასვლელ ხიდებს ეძებს. ყველა ძირითადი კონფლიქტი, რომელიც არსებობს, ამ ორი, აღმოსავლური და დასავლური, პოზიციების განსხვავებაში მდგომარეობს.

## 21. მოსაზრებები ისტორიაში ნასწავლი მასალის გამოკითხვის შესახებ

რამდენიმე მოსაზრება ისტორიაში ნასწავლი მასალის გამოკითხვის შესახებ.

ჩვენი აზრით, ისტორიის სწავლებისას გამოკითხვის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად უნდა იქცეს წერითი გამოკითხვა. ისე როგორც ქართულ ლიტერატურაში თხზულების წერა, ისტორიაშიც შეფასების საუკეთესო საშუალებად შეიძლება იქნეს გამოყენებული. საგამოცდო და საკონტროლო წერითი სამუშაოების 3-4 საათის განმავლობაში შესრულება მოსწავლეს გამოუმუშავებს მობილიზაციის, ოპერატულობის და უამრავი ფაქტოლოგიური მასალის თავის-

უფალი აზროვნებით გაანალიზების უნარებს. ასეთი გამოკითხვა ყველაზე კარგ შედეგებს მოგვცემს XII კლასში.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი მუშაობით 4 თემა მაინც უნდა შესრულდეს. ამათგან ორი სამეცნიერო, ხოლო ორი შეიძლება საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათისა იყოს.

წლიურ ნაშრომში, რომელიც მოცულობითაც საკმაოდ ვრცელი იქნება, მოსწავლემ უნდა გამოავლინოს სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავების, აზრის ანალიტური განვითარების და სამეცნიერო ჩვევების გამომუშავების უნარი. ეს შეუძლებელია საგამოცდო პირობებში იქნას გამოვლენილი. ამიტომ, ამ ნაშრომის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს და მოწაფის შეფასების ძირითად კრიტერიუმად იქცეს.

მოსწავლეები ყოველდღიურად უნდა ასრულებდნენ წერით საშინაო დავალებებს. ეს არ უნდა შემოიფარგლოს ე.წ. ქრონოლოგიური ცხრილების შედგენით, ან კითხვებზე პასუხების გაცემით. დავალება უნდა წარმოადგენდეს თხზულებას მოცემულ თემაზე.

მოსწავლეთა მჭერმეტყველებითი, ლოგიკური და ზეპირი აზროვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის გაკვეთილებზე ზეპირი გამოცდებისა და გამოკითხვების სისტემატურ ჩატარებას.

და ბოლოს, გვინდა დავამთავროთ იმით რითაც დავიწყეთ. ისტორიის სულიერი სწავლების მთავარი მიზანი უნდა იყოს ადამიანის აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა. ისტორიამ უნდა ცხადყოს, რომ თავისუფლება კაცობრიობის მამოძრავებელია. მოსწავლეთა და, საერთოდ, ადამიანთა ინდივიდუალობა არ უნდა შეიზღუდოს, არ უნდა არსებობდეს არავითარი დაბრკოლება, რომელიც წინ დაუდგება ადამიანის თავისუფლებას. პედაგოგმა მოსწავლესთან მიმართებაში უნდა იპოვოს ისეთი წესები, პრინციპები, ქცევის ნორმები, რომ როცა ზრდადასრულებული შეგირდი უკან მოიხედავს, განვლილ გზაზე არ უნდა დახვდეს თავისუფლებისაკენ შემაბრკოლებელი რაიმე კენჭიც კი. მოსწავლემ მისი აღზრდის პროცესის გახსენებისას ვერ უნდა ნახოს თავისუფლების შემზღუდველი ელემენტები.

Звиад Миминошвили

# ДУХОВНОСТЬ ИСТОРИИ

## Изучение исторического мышления в школе

## (Резюме)

Грузинская историческая письменность имеет большой опыт формирования и воспитания личности. В сохранении самобытности Грузии всегда помогало знание истории. Грузинское историческое письмо полностью христианское. В нем центральное место занимает обращение грузин. Христианство в Грузии гос. религией объявили с 337 года.

Изучение сущности человека, подвластно не только анатомии, так как человек – это нечто большее, чем его физическое тело. Деяниями человека подтверждается, что он разумное существо. А разум принадлежит душе и является его неразДельной частью.

В воспитании будущего поколения и в самопознании человека, истории является наилучшим средством. В тоталитарном государстве она становится служителем правящего режима. Покорность истории режиму нужна для подтверждения законности и естественности своего существования. Вот тогда и начинается искажение фактов. Грузия тоже перенесла давление атеистического тоталитаризма, что сильно исказило историческое мышление.

Главное назначение истории – воспитать у подростков свободолюбивое мышление. Это должно произойти с учетом возрастных особенностей детей. Дети в семилетнем возрасте, воспринимают неизвестные им явления с боязнью. В восьмилетнем возрасте любопытство подавляет страх и появляется интерес. В десятилетнем возрасте любопытность переходит в любознательность. С этого возраста человек начинает вникать в историю. После ознакомления с историей родины, ребенок постепенно овладевает и мировой цивили-

зацией. Перед ним последовательно раскрываются картины, частнособственнические (др. Иран), из гражданской жизни (Междуречье), государственности и его структуры (Египет), индивидуализма, мышления и интеллектуализма (Греция), имперского космополитизма (Элинизм); юридических наук, развития гражданской жизни (Рим).

С 11-12 – летнего возраста интелектуальное мышление ребенка улучшается, у него формируется суждение и воля. Особенно возрастает интерес к технике. Именно в это время дети знакомятся с эпохой средневековья.

Превращение христианства в европейскую культуру, крестовые походы, наряду с географическими открытиями окажут формирующее влияние на личность подростка. Роль грузинской культуры в эпоху средневековья очень значительна. Это выражается в большом интересе Западной Европы к нашеи стране, а также культурному прогрессу Грузии в X – XII вв. Переписывание старых церковных книг, их обновление и создание новых ("Обращение Картли", "Житие св. Нины" и др.); прекрасные архитектурные памятники (Алаверди, Светицховели, Гелати и др), гимнографическая и светская письменность (Иоанэ Минчхи, Иоанэ-Зосиме, Руставели, Мосе Хонели и др ), памятники зарубежной культуры (Сабацминда, Сина, Джвари, Шави мта, Атони, Петрицони и др) – способствовали тому, чтобы Грузия стала ойкуменским центром.

В пубертатном возрасте целесообразно ознакомить учеников с историческим мышлением. Ученики должны рассмотреть последовательную изменчивость человеческих взглядов. В эпоху средневековья человек центром вселенной считал земной шар, а во время ренессанса – человека. Просветительство "освободило" его от бога, романтизм остро поставил вопрос о душе, эволюционизм признал законы материи законами вселенной. Материализм принес нам глобализм и политическую дегенерацию (в виде фашизма и коммунизма).

В завершающих классах ученики должны в общих чертах ознакомиться с сущностью историософии, на примере суждений и мнений: Блаженного Августина, Пико делла Мирандола, Николоза Гулаберидзе, Жамтаагмцерели, Вахушти Батонишвили, Ильи Чавчавадзе, Ивана Джавахишвили, Бердяева, Соловьева.

Общая цель изучения истории слияние воедино прошлого, настоящего и будущего и в этой целостности восприятие творческих импульсов душевных сил.

## შენიშვნები და დამოწმებული ლიტერატურა

1. დ. უზნაძე, შრომები, ტ. V. თბ. 1967, გვ. 498.

2. Ch. Bühler. Kindhait und Jugend, 1931; ლიტერატურა მითითებულია დ. უზნაძის, შრომები, ტ. V. თბ. 1967, გვ. 500-დან

3. დ. უზნაძე, შრომები, ტ. V., 1967, გვ. 500

4. რ. შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, გერმანულიდან თარგმნა მერაბ კოსტავამ, თბ., გვ. 19

5. რ. შტაინერი, სწავლების მეთოდიკა და აღზრდის სასიცოცხლო პირობები, თბ., 1995, გვ. 17-24.

6. "Христианство исторично и в другом смысле, быть может, более глубоком: судьба человечества от грехопадения до страшного суда– предстает в сознании христианства как некое долгое странствие, в котором судьба каждого человека, каждое индивидуальное **"поломничество"** является в свою очередь отражением; центральная ось всякого христианского размышления, великая драма греха и искупления, разворачивается во времени, т.е. в истории". Марк Блок, Апология истории, или ремесло историка, М., 1986 стр. 6

7. თარგმანი გ. მურღულიას წიგნიდან „დავითიანის" მხატვრულ სახეთა სისტემა, თბ., 1997, გვ. 80-81

8. სიტყვა „აღმაშენებლის" შინაარსს პროფესორმა რევაზ სირაძემ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა (რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992 წ., აღმაშენებელი, გვ. 90-96.). მკვლევარი დავით IV -ის წმინდანობის ნიშნად მიიჩნევს „აღმაშენებლობას". ძველი ქართული ენის ლექსიკონში სიტყვის მნიშვნელობა შემდეგნაირად განიმარტება: აშენება, სიკეთით აღვსება, დაფუძნება, განახლება. იმისათვის რომ სახარებიდან დამოწმებული სიტყვის მნიშვნელობა გავიგოთ, აღვადგინოთ მთელი შინაარსობრივი კონტექსტი ციტატისა „რომელმან აღაშენა სახლი თვისი" (მათ., 7., 24).

აქ სიტყვა „აღშენება" „კაცსა გონიერსა" და „კაცსა ცოფსა" მიმართ არის ნათქვამი. იესო ქრისტე „მთაზე ქადაგების" ბოლოს ყვება იგავს, რომლის შესახებ მოგვითხრობს ლუკა მახარებელიც

(ლუკა, 6., 47–48). იესო ქრისტეს მთელი მოძღვრების კვინტესენცია გადმოცემულია მთაზე ქადაგების ეპიზოდში. მათეს სახარებაში მთაზე ქადაგებას დათმობილი აქვს V–VI–VII თავები. აქ საუბარია მოსეს კანონის – ათი მცნების, მადლით – ცხრა ნეტარებით გაცოცხლებაზე, ადამიანის დანიშნულების და რაობის შესახებ, რჯულის ბოროტების, ოჯახის, შურისძიების, სიყვარულის, მოწყალების, ლოცვის („მამაო ჩვენო"), მარხვის, სასუფევლის განძის, საზრუნავის, განკითხვის, მოლოდინის და მოთმინების, გამძლეობის შესახებ. ამის შემდეგ მაცხოვარი საუბრობს კეთილსა და ხენეშ ხეთა შესახებ (კეთილი ხე და ბოროტი ხე). ეს იგავი გვასწავლის, რომ კაცი ვერ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მანამ სანამ ის ცუდად, ბოროტი ცხოვრებით ცხოვრობს. ხე ეს ადამიანის სულია, ნაყოფი კი ესაა კაცის მიერ ჩადენილი საქმე. ავმა ხემ (ავმა კაცმა) კეთილი ნაყოფი (კეთილი საქმე) რომ გამოიღოს (ჩაიდინოს) ჯერ თვით ეს ხე (ეს კაცი) უნდა გარდაიქმნას კეთილ ხედ (კეთილ ადამიანად). ამას კი უშუალოდ მოყვება ჩვენთვის საინტერესო სიტყვის შემცველი იგავი: „ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყ ჳნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თ ჳისი კლდესა ზედა". ...... „და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე ჩემნი და არა ყ ჳნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თ ჳისი ქჳშასა ზედა" (მათე 7. 24; 26) აქ სიტყვა „აღაშენა" ორ სხვადასხვა ობიექტს მიემართება: „კაცსა გონიერსა" და „კაცსა უგუნურსა". ორივე აშენებს, მაგრამ აშენებულს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პირველ შემთხვევაში, როცა გარდამოხდა წვიმა, მოვიდეს მდინარენი, ჰქროდეს ქარნი, და ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა" (მათე 7., 25). ეს იმიტომ, რომ კაცმა გონიერმა ისმინა იესოს სიტყვები და „ჰყ ჳნეს იგინი" ე.ი. ასრულებს მათ, კაცმა უგუნურმა კი ისმინა იესოს სიტყვები „და არა ჰყ ჳნეს" ე.ი. არ ასრულებს მათ „და გარდამოხდა წვიმა, მოვიდეს მდინარენი, ჰქროდეს ქარნი, და ეკუთნეს სახლსა მას, და დაეცა, და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად" (მათე 7. 27). ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი იესო ქრისტეს აღმსარებლობას თან არ ახლავს ადამიანის ქრისტიანული ცხოვრება, მაშინ ის შეუძლებელია წმინდა გულიდან გამოდიოდეს და რაიმე მაცხონებელი თვისება ჰქონდეს.

ამდენად, აღმშენებლობა აქ მოხსენებულია სიტყვის მოსმენასთან და ამ მოსმენილი სიტყვის ყოფასთან, რაიც არის გონიერება და ჭეშმარიტი აღმშენებლობა. ეს კი, იმავდროულად, სიკეთით აღვსებაც შეიძლება იყოს, დაფუძნებაც, განახლებაც, აგებაც. „აღშენება" დაკავშირებულია სიყვარულთან. როგორც დავით აღმაშენებლის ნიშანი: „ეტიმოლოგიურად „დავითი" ღვთისთვის საყვარელს ნიშნავს" (რ. სირაძე, აღმაშენებელი, დასახ. ნაშრომი გვ. 93). სიყვარულია ის ძალა, რომელიც განაბრძნობს ადამიანს. სიყვარულის ძალით წარმოსთქვა გრიგოლ ხანძთელმა თავისთან მისული დედის წინაშე ბრძნული სიტყვები, რომელმაც „ნუგეშინი-სცა" და „აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული" (თავი XXIX). სიტყვითა და სიბრძნით აღშენებულობას მოწმობს ბ-ნი რ. სირაძის მიერ მოხმობილი შემდეგი ციტატაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან": „ესევითარითა სიტყვითა აღეშენნეს ხელმწიფენი იგი და ადიდებდეს ქრისტესა" (თავი XXXV). XXXV-თავში მოთხრობილია მეფეთა დამოძღვრა და განსწავლა გრიგოლის მიერ „არა ესე ვითარისა დიდებისათვის", როცა ხელმწიფეთა მისი ეპისკოპოსობა განიზრახეს. წინა XXXIII თავში კი ვკითხულობთ: „ნეტარი მამა ჩვენი გრიგოლ... ხანძთას და შატბერდს იქცეოდა მარადის და მოძღვრებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თვისთასა " (თავი XXXIII). XXXIV თავში ვკითხულობთ: ნეტარი გრიგოლი „ყოველთა მათ ასწავებდა კეთილ მათ სიტყვათა სულისა ცხოვრებისათა". XXXV თავში კი საუბარია წმინდა უდაბნოთა ეკლესიების მნიშვნელობაზე და მსოფლიო წმინდა საყდართა რაობაზე. „აქ მხოლოდ ის იგულისხმება, რომ გრიგოლის მიერ ხელმწიფენი სიკეთით აღივსნენო, ანდა–სულიერად ამაღლდნენო". ეს მოხდა გრიგოლის სიტყვებით, რომელსაც ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ადამიანებს ყოფისა და ქმნისათვის აღძრავდნენ. აღშენების სწავლასთან პირდაპირი მიმართება ყველაზე თვალსაჩინოა „ილარიონ ქართველის ცხოვრების" შემდეგი ციტატიდან: „მოვიდოდეს ურიცხვნი სულნი და აღეშენებოდეს სწავლითა მისითა" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II. თბ., 1967, გვ. 26; რ. სირაძე, აღმაშენებელი, დასახ. ნაშრ. გვ. 92).

9. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 219.

10. რ. სირაძე, „წმინდა ნინოს ცხოვრება" და დასაწყისი

ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997, გვ. 47-60; 127-129; 219;
11. ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ტ. I, გვ. 450.
12. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882, გვ. 235.
13. ibid., გვ. 236
14. ზ. მიმინოშვილი. თორმეტი ნაბიჯი, რელიგია, 1997, №4-5-6 გვ. 41-59.
15. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 21.
16. მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინეპოლი, 1924, გვ. 77-106.
17. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ, 1944, გვ. 53.
18. А. Болтунов, К вопросу об Армази, Вестник древней истории, № 2, М, 1949, ст. 236-240.
19. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту; Тб. 1954, ст. 420.
20. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ; 1954. გვ. 70.
21. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ, 1970, გვ. 667-672.
22. გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ; 1988, გვ. 150.
23. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თბ; 1960 გვ. 94.
24. В. Иванов, В. Топоров, Исследования в области славянских древностей, М., стр., 217-242; От прибаутки до былины, Русский фольклор, М., 1991, стр. 369-370.
25. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., I, თბ., 1955, გვ. 25) იზოფსეფსიით „ფარნავაზი გვაძლევს 666-ს (თ. ჩხენკელი, „ფარნავაზ-666“, საბჭოთა ხელოვნება, № 8, 1978, გვ. 68; თ. ჩხენკელი, „მეფეთა ცხოვრება“ და თვლის შვიდობითი სისტემა, ლიტერატურა და ხელოვნება, 1, 1991, გვ. 51) გემატრიით „არმაზი“-ც გვაძლევს 6-ს. თვით სიტყვა შედგება 6 ასოსაგან. რიცხვითი შესაბამისობები:

1+100+40+1+7+10 = 159; 1+5+9 = 15; 1+5=6.

26. ქართლის ცხოვრება, დასახ. ნაშრ. გვ. 88-89.

27. ქართლის ცხოვრება, დასახელებული ნაშრომი გვ. 89-90.

28. ბიზანტიური წონითი ერთეულების სისტემით ლიტრა 136, 44 გრამს უდრის. (В. Кобрин, Г. Леонтева, П. Шорин, Вспомогательные исторические дисциплины, М., 1984. стр. 60) ძველი ქართულ წონით სისტემაში 4-5 კგ-მდეა. 50 ლიტრა ≈ 250 კგ-ია. (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ.4; 1557; იხ. აგრეთვე ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. IX თბ., 1996. გვ. 603-604; ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ტ. I. თბ., 1991. გვ. 417).

29. იხ. ო. გვინჩიძე, ათიმ ივერიელი, თბ.; 1973.

30. რუდოლფ შტაინერი, სწავლების მეთოდიკა და აღზრდის სასიცოცხლო პირობები, თბ., 1995, გვ. 38.

31. А. Морэ, Цари и боги Египта, М., 1914. стр. 21; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1988, გვ. 132.

32. И. Клима, Общество и культура древного Двуречья, Прага 1967. стр. 19.

33. М. Боис, Зороастрийцы, верования и обычии. М., 1987. стр. 7; სემიუელ ნ. კრამერი. ისტორია იწყება შუმერიდან. თბ. 1988. გვ. 39-40.

34. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია. 1988. გვ. 85.

35. რ. მიმინოშვილი, ჰომეროსის სამყარო, თბ.; 1988.

36. რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 107.

37. ibidi., გვ.107

38. რ. მიმინოშვილი დასახ. ნაშრ. გვ. 201.

39. ძველი აღმოსავლეთის ხალხის ისტორია, დასახ. ნაშრ. გვ. 260; ასევე ნ. ხაზარაძე, ფრიგიის სავაჭრო -კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე." 1963. №3

40. ჰერაკლიტე, ფრაგმენტები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, ლარი, №1. თბ. 1991. გვ. 99-116.; ჰერაკლიტეზე აგრეთვე რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრომი. გვ. 294-302 და სხვა.

41. Казимеж Куманецкии, История културы древней Греции и Рима. М. 1990. стр. 93.

42 ქართლის ცხოვრება დასახ. ნაშრ. თბ., 1955. გვ. 18.

43. ჭ. თვალიაშვილი, ც. ჩიკვაიძე, ძველი მსოფლიოს ისტორია, II ნაკვეთი, თბ., 1995 გვ. 48, 51, 53, 54.

44. ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ; 1968.

45. Диоген Лаэртский, О жизни, учениях и изречениях знаменитых философов, М. 1979, стр. 295

46. რ. შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, გერმან. თარგმნ. მერაბ კოსტავამ, თბ. 1990, გვ. 30.

47. რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ. 1983 გვ. 296-352; დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ. 1947; დ. უზნაძე, ტექნიკური აზროვნების განვითარება სასკოლო ასაკში. შრომები, ტ.I, თბ. 1956. გვ. 201-236.

48. ამერიკულ და დასავლეთ ევროპულ სკოლებში უამრავი ასეთი ლიტერატურაა. ერთ-ერთი მათგანია L. Sprague de Camp, Men and Power, New York – 1961.

49. კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა, შუა საუკუნეების ისტორია, I ნაკვეთი, თბ. 1996.

50. იგულისხმება კოლონიების ხელში ჩაგდების მიზნით ინგლის-ესპანეთს შორის წარმოშობილი კონფლიქტი. ინგლისის დედოფალმა ელისაბედ I-მა (1558-1603) ამ წელს გაანადგურა „უძლეველი არმადა" 130 აფრიანი ხომალდისაგან შემდგარი 20. 000 კაციანი ესპანური ფლოტი.

51. Панекук А., История астрономии, М., 1966. стр. 44.

52. Перель Ю. Г., Развитие представлений о Вселенной, 2 изд, М., 1962, стр. 76.

53. კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა შუა საუკუნეების ისტორია,I ნაკვეთი, VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1996. გვ. 100-101; 181-182.

4. კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა. შუა საუკუნეების ისტორია. I ნაკვეთი, VII კლასი, გვ. 14.

55. სვეტი-ცხოვლის მოტივი უფრო ვრცლად 14 წლის ასაკში უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა, როცა შემეცნებითი პროცესი მაქსიმალურად ინტენსიფიცირდება. თანაც, ფსიქოლოგიურად დად-

გენილია, რომ ადრეული ბავშვობის ასაკში – 6-7 წლამდე პერიოდში, ბავშვის ფსიქიკაში ხის მოტივი ცენტრალურ ადგილს იკავებს. შვეიცარიელი ფსიქოანალიტიკოსის კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) ექსპერიმენტებმა კი ცხადყვეს, რომ ხის ხატები ყველაზე შესაფერისია ქვეცნობიერის გამოსაძიებლად (რაიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ფესვებად), ასევე ცნობიერის რეალიზაციის (ხის ტანი) და ტრანსცნობიერი მიზნების (ზრო, ვარჯი) აღსაქმელად.

56. ქართლის ცხოვრება დასახ. ნაშრომი., გვ. 146.

57. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989, გვ. 96.; იხ. აგრეთვე ამავე წიგნში დასახელებული ლიტერატურა სადაც „მეფეხუცეს იოანე" და „დავით მეფე" ერთი და იგივე პიროვნებადაა წარმოდგენილი.

Radulfus de Coggeshale, Chronicon anglicanum, Reinhold Rohricht, 1882, p. 334.

58. წმინდა საფლავის კანტორის-მეფსალმუნის ანსელუსის წერილი პარიზის მღვდელმთავარ გალონის მიმართ, რომელიც 1108 წლითაა დათარიღებული, მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის ძელიცხოველის ჯვრის პალესტინიდან პარიზში გამოგზავნის, ძელიცხოველის აღწერილობის და მისი პატრონის ვინაობის შესახებ. იხ. ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 17-21.

59. დიდგორის ბრძოლაში ჯვაროსნების მონაწილეობის შესახებ იხ. ცნობა ფრანგი ჯვაროსანი რაინდისა გოტიესი „გოტიე-კანცლერის" „ანტიოქიის ომები," ომი II, მუხლი XVI ზ. ავალიშვილი, გარეშემო ერთის ომისა, ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 45-47.

60. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ, 1982. გვ. 157.

61. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975. გვ. 215

62. Sources of the Western tradition (From the Renaissance to the present), Marvin Perry, Ioseph R. Peden, Teodore H. Von Loue, Boston, 1991, 12-13 p.p.

63. რ. სირაძე, სახისმეტყველება. დასახ. ნაშრომი. გვ. 165.

64. ჰენრი VIII ტიუდორის დროს (1491-1547), 1534 წელს „სუპერმატიის აქტი"-თ ინგლისის ეკლესია გამოეყო რომის კათოლიკურ ეკლესიას.

65. ენ ბოლეინი და კეთრინ ჰაუარდი

66. 1495-1566 -სულთანია 1520 წლიდან.

67. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1948. გვ. 318.

68. ამ საკითხებზე მოთხრობილია VIII კლასის სახელმძღვანელოში ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, თბ. 1992 გვ. 88–90.

69. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1954. გვ. 292 (ავტორი ა. ბარამიძე)

70. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II 1952. გვ. 155.

71. ქართლის ცხოვრება, დასახ. ნაშრ. ტ. II. თბ. 1959 წ. გვ. 25.

72. ქართლის ცხოვრება, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

73. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ. 1982. გვ. 171.

74. რ. სირაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 172.

75. **ibid.**, გვ. 175.

76. გ. აკოფაშვილი, რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 1992 და სხვ.

77. დ. უზნაძე, შრომები, V, თბ., 1967. გვ. 514.

78. რ. ნათაძე. ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1983. გვ. 318.

79. დ. უზნაძე, დასახ. ნაშრომი, გ., 593.

80. რ. შტაინერი, ბავშვის აღზრდა, დასახ. ნაშრ. გვ. 25.

81. გუსტავ შვაბი, ოქროს საწმისი, თბ., 1979, გვ. 25–30.

82. Ponofsky D. end E., Pandora's box. The changing aspects of a mythical symbol, New York. 1956.

83. ო. ლორთქიფანიძე, ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის, თ.ს.უ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი VI, თბ; 1953. გვ. 164.

84. Успенский Ф.И. История Византийской империи. т. 3. М. - Л., 1948; стр. 500. ასევე რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ; 1991. გვ. 195.

85. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ; 1983. გვ. 272–273.

86. მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, თარგმანი და კომენტარები ალ. გამყრელიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33, თბ; 1960 გვ. 16.

87. Волский С., Пизарро, М; 1935.

88. Шарль Луи Монтескье, Персидские письма, М; 1956.

ასევე Орловская Н.К. , Грузия в литературах западной европы XVII–XVIII веков, Тб; 1965. стр. 18.

89. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994, გვ. 32, 34.

90. ibid., 34

91. შ.ლ. მონტესკიე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

92. შ. ლ. მონტესკიე, დასახ. ნაშრ. გვ. 36.

93. **From Wordsworth and Coleridge, The Lyrical Ballads 1798- 1805, introduction and notes by George Sampson, London, 1940, p.p. 20-26.**

**94. Sources of the Western Tradition, Volume II, From the renassiance to the present, Marvin Perry, Joseph R. Paden, Theodore H. Von Laue, Boston, 1991.**

95. მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, თბ., 1961 წ.

96. შ. რევიშვილი, ჰერდერი ქართველებისა და ბასკების შესახებ, „ცისკარი"–1983, № 9.

97. „Бутон будущего цветка" – Гердер И. Г., Идей к философии истории человечества, М., 1977, стр. 131.

98. საინტერესო პარალელი ეძებნება სახარებაში „იყჳნით თქჳნ სრულ, ვითარცა მამა თქჳნი ზეცასა სრულ არს" (მათ.5, 48) სახარებაში ეს მუხლი უშუალოდ ეხმაურება ამავე თავის 44-45-ე მუხლებს, სადაც საუბარია მტერთა სიყვარულსა და მაწყევართა დალოცვაზე: „კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის" (ცხოვრების წიგნი, დიატესარონი, **Georgian Patriarchate Danish European Mission, 1993.** გვ. **28)** „რათა იყჳნეთ თქჳნ შვილ მამისა თქჳნისა ზეცათასა; რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და ჰსწვამს მართალთა ზედა და ცრუთა" (მათე 5,45; ლუკა 6, 36). ღმერთთან მსგავსების ეს სახარებისეული ანალოგია „ვეფხისტყაოსანშიც" გვხვდება:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების ! ...
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების" სტროფი 49 (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1992).

99. И.Г. Гердер, Идей к философии истории человечества, М., 1977, ст. 464

100.Ч. Дарвин, Происхождение видов путем естественного отбора, Соч. Т.3. М–Л. 1939 стр. 6.

101. А. Мень, История религии, Т–I стр. 192.

102. მალთუსმა ნაშრომში „მოსახლეობის კანონის ცდა" ჩამოაყალიბა შეხედულება, რომლის თანახმადაც მოსახლეობის ზრდა ბევრად სჭარბობს არსებობის საშუალებათა ზრდას. მაშასადამე, ბიოლოგიური ფაქტორები, რომელიც მოსახლეობის ზრდას იწვევს საზოგადოებრივი კრიზისების გამომწვევი მიზეზი ხდება. ამ კრიზისების აღმოფხვრა შესაძლებელია მოსახლეობის რაოდენობისა და არსებობის საშუალებებს შორის თანაფარდობის რეგულირებით. ეს მარეგულირებელი საშუალებები შეიძლება იყოს ქორწინებათა რეგლამენტირება, შობადობის რეგულირება, ეპიდემიები, შიმშილობები, ომები, მძიმე და გამთანგველი შრომა და სხვა. მალთუსის თეორია თვლის, რომ დემოგრაფიული მართვა ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტიაა. ნეომალთუსიანელები კი დემოგრაფიული ბერკეტებით პოლიტიკური და ეროვნული პრობლემების გადაჭრასაც ითვალისწინებენ. ხშირად ეს თავს იჩენს ეთნოკონფლიქტებსა და გენოციდებში. (ე. კოდუა, სოციოლოგიის ისტორია, II ნაკვეთი, თბ., 1996 წ., გვ. 82-130).

103. ქ. თვალიაშვილი, ც. ჩიკვაიძე, ძველი მსოფლიოს ისტორია, I ნაკვეთი. თბ., 1995. გვ. 14-22.

104. Уоллес, Естественный отбор, СПб . 1878. стр. 382. ლიტერატურა მითითებულია. А. Мень. История религии. т. I. М. 1991. стр. 258-დან. იგივე აზრი გამოთქმული აქვს ფსიქოლოგ ლ. ვიგოდსკის.

105. А. Мень. История религии. т. I. стр. 100.

106. А. Мень. История религии. т. I стр. 88.

107. А. Мень. დასახ. ნაშრომი. გვ. 87.

108. ადოლფ ჰიტლერი „ჩემი ბრძოლა" თბ., 1992 გვ. 5.

109. ibid., გვ. 26

110. ibid., გვ. 42

111. ჰეროდოტე, ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. 1. თბ., 1975 წ. გვ. 57.

112. Arthur A. Jones, Illustrated Dictionary of World Religions, Oxford, 1982

113. М. Э. Матье, Древнеегипетские мифы, М., 1956, стр. 154.

114. ჰერაკლიტე, ფრაგმენტები. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, ლარი № 1, 1991 წ. გვ. 99–116.

115. საერთოდ ისტორიის სწავლება სკოლაში, ისევე როგორც ქართული ლიტერატურისა, წარმოუდგენლად მიგვაჩნია წერითი დავალებების გარეშე. დავალებათაგან უფრო მნიშვნელოვანია თხზულების წერა ისტორიულ თემატიკაზე. ისტორიულიო რომ ვამბობთ, სულაც არ ვგულისხმობთ ამ მეცნიერების ოდენ ეპიმეთესეულ გაგებას. თხზულებაში მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ ისტორიული აზროვნება, განსხვავებული ფიზიკური, ქიმიური, მათემატიკური და, თუნდაც, ლიტერატურული ან მხატვრული აზროვნებისაგან. სხვადასხვა ასაკში დავალების მოცულობა და შინაარსი განსხვავებული იქნება, მაგრამ მიზანი – ყველგან ერთი და იგივე. გამოუმუშავოს მოსწავლეს ისტორიული აზროვნების უნარი და ისტორიოსოფიის სიყვარული.

116. ამის შესახებ არსებობს უამრავი ლიტერატურა. მაგალითად: ა) პლატონი, ფედონი, თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1966. ბ) პლატონი, იონი, დიდი ჰიპია, მენონი, თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1974 გ) პლატონი, ფედროსი, თბ., 1966; დ) პლატონი, ნადიმი. თბ.; 1964. ე) პლატონი, ტიმეოსი, თბ.; 1994. ყველა წიგნს თან ახლავს მთარგმნელის ვრცელი ფილოსოფიური კომენტარები. მოცემულ საკითხზე გამოკვლევები აქვთ: ა) უილამ გათრის, ბერძენი ფილოსოფოსები (თალესიდან არისტოტელემდე). თარგმნა გ. ნოდიამ. თბ., 1983, ბ) გ. თევზაძე, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1995. გ) მ. გოგიბერიძე. ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1. თბ., 1941; დ) ს. წერეთელი. ანტიკური ფილოსოფია თბ., 1968. რუსულ ენაზე არსებობს უამრავი ლიტერატურა.

117. რ. თვარაძე, რელიგია და კულტურა (ქრისტიანული მოძღვრების შესავალი), IV კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1996. გვ. 46.

118. ცხოვრების წიგნი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის შესავალით თბ., 1993. გვ. 41.

119. Помятники византийской литературы IV–IX веков, М, 1968. стр. 70-83.

120. იერუსალიმში ჯვრის სასწაულებრივი გამოცხადების ჟამს, 351 წელს, პატრიარქი იყო კირილე იერუსალიმელი (315–387; პატრი-

არქია 349 წლიდან. იხ. Г. В. Флоровский, Восточные отцы IV века, Париж, 1931, გვ. 45). რომის იმპერატორი ამ დროს იყო კონსტანტინე დიდის ვაჟი კონსტანციუსი (323– 361 წ.წ.). ორივე ეს პიროვნება დაკავშირებული იყო აკაკი კესარიელთან. აკაკი კესარიელი და პატროფილ სკვითოპოლელი იყვნენ კირილე იერუსალიმელის ხელდამსხმელნი, ხოლო იმპერატორი სულიერი შვილი იყო აკაკისა. ეს უკანასკნელი, შემდგომ, გადრკა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობიდან, რის გამოც 358 წლიდან კირილე იერუსალიმელი გამოდის მის წინაალმდეგ პირველობისა და მიტროპოლიური უფლებების გამო, რომლის უკანაც დოგმატური უთანხმოებანიც იგულისხმებოდა.

121. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 188.

122. М. Э. Поснов, История христианской церкви, Брюсель, 1964 стр. 261.

123. A. A. Jones, Illustrated Dictionary of World Religions, Oxford, 1982; ასევე National Catholic Almanac, editor Felican A. Foy, New York, 1968.

124. Н. С. Гумилев, Огненый столп, Ижевск, 1991. стр. 265-270.

125. რაინდობის კულტურული ფენომენის რაობის შესახებ მასწავლებელთათვის სასურველია ჰოლანდიელი ისტორიკოსის იოჰან ჰაიზინგას ნაშრომის გაცნობა (И. Хеизинга, Осень средневековья, M, 1988)

125[ა]. A. A. Toynbee, Study of History, London, 1934, V.I, p. p. 51-62

126. Arnold Toynbee, " For the first time in 30, 000 years", Sources of the Western Tradition, V. II, From the Renaissance to the present, Boston, 1991, p.p. 434-437, ტოინბის კაპიტალური ნაშრომია „ისტორიის გამოკვლევა“ (A. Toynbee, The stady of History, v. XII, London, 1961). ტოინბის ისტორიოსოფიის შესახებ კრიტიკული განხილვა მოცემულია ედ.კოდუას წიგნში (ედ. კოდუა, ისტორიის საკითხის საზრისისათვის, თბ, 1976, გვ. 258-282).

127. ე. კოდუა, ისტორიის ფილოსოფია, თბ., 1966, გვ. 58-82.

128. Гегель Г. В. Ф., Феноменология духа. сочинения. т. IV. М. 1959. стр. 15-16.

129. Гегель. Г. В. Ф. Философия истории. Сочинения. т. VIII. М. Л. 1935. стр. 19.

130. ibid., стр. 19.

131. Гегель Г. В. Ф. Сочинения. т. VIII. М. 1935, стр. 24.

132. Гегель Г. В. Ф. Сочинения. т. VIII. стр. 30. 133. Гегель. Г. В. Ф. Сочинения. т. VIII стр. 38.

134. Гегель Г. В. Ф. Сочинения. т. VIII стр. 100.

135. Гегель Г. В. Ф. Сочинения. т. IV. М. 1959. стр. 189.

136. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1948. გვ. 14-15.

137. ibid., გვ. 41.

138. ibid., გვ. 48.

139. ibid., გვ. 71.

140. ibid., გვ. 73.

141. ibid., გვ. 73.

142. რ. სირაძე „სახისმეტყველება" თბ., 1982. გვ. 217.

143. ibid., გვ. 217.

144. მერაბ კოსტავა, სიმღერა-გალობა, როგორც სუბსტანტი, შეწყვეტილი ფიქრები, თბ., 1991, გვ. 68.

## გარეკანზე გამოსახული სურათები

1. დავით აღმაშენებელი, გელათის ფრესკა, ფრაგმენტი. ≈ XII ს.

2. ღვთისმშობელი ყრმასა და იოანე ნათლისმცემელთან ერთად- „მშვენიერი მებაღე", რაფაელი, 1507 წ. პარიზი, ლუვრი.

3. სარკის წინ (ფოტოსურათი)

4. წმ. გიორგი, რაფაელი, ≈ 1502 წ. პარიზი, ლუვრი.

5. „სიბრძნემან აღიშენა სახლი თვისი", ნოვგოროდული სკოლის რუსული ხატის ფრაგმენტი, ≈ 1548 წ. მოსკოვი, ტრეტიაკოვის გალერეა. (მარცხნივ - სოფია სამმაგ წრეში; მარჯვნივ - ღვთისმშობელი ყრმით ორმაგ წრეში, როგორც „მიწიერი განხორციელება" სოფიისა. ერთ-ერთ კოშკზე მეფე სოლომონი. სოფიის ქვემოთ ჩანს მისი სამი მსახური: რწმენა, იმედი და სიყვარული).

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ........................................ 3
1. სწავლება და აღზრდა ........................................ 7
2. ისტორიის სწავლების საკითხები ელემენტარულ სკოლაში და ბავშვთა ფსიქიკურ-ასაკობრივი მდგომარეობა ........................................ 8
3. საღვთო წერილი და ისტორიულობა ........................................ 11
4. მასწავლებელი და მოსწავლე ........................................ 12
5. „ქართველთა მოქცევის“ სწავლების საკითხი ........................................ 19
6. სამშობლოსმცოდნეობა. სვლა თანადროულობიდან დროული სიღრმეებისაკენ ........................................ 24
7. ძველი მსოფლიოს ეპოქა ........................................ 27
8. შუა საუკუნეთა ეპოქა ........................................ 39
შეჯიბრი ცოდნაში ........................................ 42
აღორძინების ეპოქა ........................................ 63
რეფორმაციის ეპოქა ........................................ 67
9. მოზარდთა ლიტერატურული გემოვნების ასაკობრივი თავისებურებები ........................................ 74
10. ახალი ისტორიის ეპოქა ........................................ 77
ფული
11. პროგრესის საკითხი ........................................ 79
12. ახალი ისტორიის ეპოქა და საქართველო ........................................ 84
13. კიდევ ერთხელ ჯვაროსნების, რენესანსის, კონკვისტადორების შესახებ ........................................ 88
14. განმანათლებლობის, რომანტიზმის, ფილოსოფიის და ევოლუციის თეორიის შესახებ ........................................ 91
15. ფაშიზმი და კომუნიზმი ........................................ 105
16. სიახლე ისტორიის სწავლებაში ........................................ 106
17. ისტორიის „კაკლები“ ........................................ 111
18. შუა საუკუნეების გახსენება (ბერ-მონაზვნობა) ........................................ 115
19. „ოქროს რაინდი“ ........................................ 123
20. ისტორიის სწავლება XII კლასში (ისტორიოსოფია) ........................................ 127
21. მოსაზრებები ისტორიაში ნასწავლი მასალის გამოკითხვის შესახებ ........................................ 140
Духовность истории
Изучение исторического мышления в школе ........................................ 142
შენიშვნები და დამოწმებული ლიტერატურა ........................................ 145
გარეკანზე გამოსახული სურათები ........................................ 157

ზვიად მიმინოშვილი

## ისტორიის სულიერება
### ისტორიის საზრისის სწავლება სკოლაში

**Звиад Миминошвили**

## ДУХОВНОСТЬ ИСТОРИИ
### Изучение исторического мышления в школе

დაიბეჭდა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობა „სკოლა“

გამომცემლობის რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — მანანა უკლება

ტექნიკური რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — ციური ქამუშაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა — ირმა გრიგალაშვილი, მეგი ქამუშაძე

კორექტორები — სოფიო სიხარულიძე, ნინო თანანაშვილი

ტირაჟი: 500

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №180
ტელ. 34-31-79; 34-11-34